პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 სექტემბერი **სამშაბათი** 2013

№ 225 (14 141) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 71 წლის მეათეადგილოსანი

ფარიკაობაში საქართველოს თასზე სუპერვეტერანი **ნიკოლოზ ანდრიაძე** საუკეთესო ათეულში შევიდა

11

ლეგიონერები

## ყენიას 75 წუთი



2

### ლევან კობიაშვილი: ფეხბურთისგან ყველაფერი უნდა მივიღო



### ალექსანდრე იაშვილი: მოგების ტოლფასი ფრე



მარიო ბალოტელიმ მორიგი დისკვალიფიკაცია მიიღო

## 3 ტური უნდა დაისვენოს



7

კალათბურთი

## კალათბურთი ყველამ უნდა ითამაშოს

სამოყვარულო ლიგის პრეზენტაცია გაიმართა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



12

## ევროპა ტონი პარკერის გარშემო

საინტერესო ამბები ევროპის ახალ ჩემპიონსა და მის ლიდერზე



14

თავისუფალი ჭიდაობა

## გვაკლია: შრომა, მონდომება, ხასიათი

რევაზ მინდორაშვილი ერთ ბრინჯაოს აფასებს



10

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

## ლევან კობიაშვილი: სანამ ფეხბურთიდან წავალ, მინდა, მისგან ყველაფერი მივიღო


ლევან კობიაშვილი

22 სექტემბერს **ლევან კობიაშვილი** 17-თვიანი შესვენების შემდეგ გერმანულ ბუნდესლიგას დაუბრუნდა და 338-ე მატჩი ითამაშა. ლევანი „ფრაიბურგთან" მატჩის მე-20 წუთზე შევიდა თანაგუნდელის ტრავმის გამო. შეხვედრა 1:1 დასრულდა. „შპორტალმა" ქართველის გარჯა 3,5 ბალით შეაფასა, ხოლო ბუნდესლიგის ოფიციალურმა საიტმა ის მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. 3,5 ბალი დაუწერა კობიაშვილს „კიკერმაც".

მატჩის შემდეგ ჩვენებური ბუნდესლიგის ოფიციალურ საიტს ესაუბრა:

*„დიდებულია, ვითამაშე ჩემი ძველი კლუბის წინააღმდეგ და ეს იყო ჩემი პირველი თამაში სეზონში. ვწუხვარ, რომ მოედანზე გამოსვლამ ჩემი თანაგუნდელის, იონ ბრუკსის ტრავმის გამო მომიწია, მაგრამ ძალიან მიხარია, რომ გუნდს დავეხმარე. მოედანზე სასიამოვნო წუთები გავატარე.*

*ჩვენ შინ სამი ქულით წასვლას ვგეგმავდით, მაგრამ ვერ შევძელით. თუმცა მიმაჩნია, რომ ქულას ორივე გუნდი იმსახურებდა.*

*მე კარგად ვიცი, რა ძნელია ფრაიბურგში თამაში. აქ ძალიან კარგი დრო მაქვს გატარებული.*

*წლევანდელი „ფრაიბურგი" ძალიან აგრესიული გუნდია, ამიტომაც პირველი 15-20 წუთი საკმაოდ გაგვიჭირდა. შემდეგ კი ჩვენი თამაში ვიპოვეთ. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ძალიან მაგრად არც ერთ გუნდს არ უთამაშია, ამიტომაც ფრე სამართლიანი შედეგი იყო",* - განაცხადა 36 წლის კობიაშვილმა.

შეგახსენებთ, ერთი კვირის წინ ლევანმა „ბილდს" განუცხადა, რომ სეზონის შემდეგ კარიერას ასრულებს.

*„ფრაიბურგში" 5 წელიწად-ნახევარი ვიყავი. ამიტომ განსაკუთრებული გრძნობაა, რომ სწორედ აქ დავბრუნდი ბუნდესლიგის მატჩებში. იმიტომ, რომ „ფრაიბურგს" საოცარი გულშემატკივრები ჰყავს. მე კი, სანამ ფეხბურთს თავს დავანებებ, მინდა, რომ მისგან მაქსიმალურად ყველაფერი მივიღო. ფეხბურთში დარჩენა ძალიან მინდა, „ჰერტაშიც" თავს ბედნიერად ვგრძნობ, მაგრამ ჩემს მომავალზე მეტი არაფერი ვიცი",* - განუცხადა „გოლს" ლევანმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დილა

## ტრანსფერები უკომპენსაციოდ
### გორი ისევ ევროპისკენ იხედება

**გორის „დილამ" წლევანდელ ევროსარბიელზე დანიურ „ოლბორგსა" და ხორვატულ „ჰაიდუკს" მოუგრიხა კისერი შეკოწიწებული შემადგენლობით, თუმცა „რაპიდისთვის" ეს შემართება საკმარისი აღარ იყო. ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, რა ელის სამომავლოდ ამ გუნდს...**

წლევანდელი ევრომილწევებისთვის „დილა" უეფასგან 420 ათას ევროს მიიღებს და ეს თანხა ანგარიშზე, სავარაუდოდ, ნოემბრის ბოლოს დაუჯდება. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონის დაწყების წინ გორულ კლუბს სახელმწიფომ 2 მილიონი ლარი გამოუყო, საიდანაც 1 200 000 ძველი დავალიანების დაფარვას მოხმარდა და გუნდის ასწაყობად 800 ათასი ლარი დარჩა. ეს ყველაფერი ოფიციალური ინფორმაციაა, კულუარული წყაროდან კი შევიტყვეთ, რომ „დილას" სახელფასო ფონდი ამ დროისთვის თვეში 80-100 ათას ლარს შეადგენს. ეს იმის ვარაუდის საშუალებას გვაძლევს, რომ გუნდი მიმდინარე სეზონს ღირსეულად ჩაამთავრებს, მაგრამ საკითხავი ისაა, გაისადაც თუ მოახერხებს ევროსარბიელზე გასვლას და მერე იქ რაღაცის მიღწევას. ამ ყველაფერს ხომ საფუძველი ახლავე უნდა ჩაეყაროს...

ამას წინათ, ფეხბურთის ფედერაციაში დავით ყიფიანის სახელობის თასის 1/8-ფინალის კენჭისყრა რომ გაიმართა, რამდენიმე კლუბის წარმომადგენელი ერთმანეთს შეუთანხმდა კლუბების თავყრილობის მოწყობაზე. ქართული კლუბების მხარდასაჭერი სახელმწიფო პროგრამა უახლოეს ხანში გამოქვეყნდებაო - იყო ასეთი დაპირება სპორტის მინისტრისგან, თუმცა ამ პროგრამას დღის სინათლე ჯერ არ უნახავს. ცხინვალის „სპარტაკი", გორის „დილა", „ზუგდიდი" და ბოლნისის „სიონი" - ეს კლუბები გეგმავენ შეკრებასო, გვითხრა „დილას" მენეჯერმა **გია ისიანმა**.

წლევანდელი ევროსარბიელის შემდეგ „დილა" ორმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა - 21 წლის **გიორგი ილურიძე** სპლიტის „ჰაიდუკში" გადავიდა, მისივე კბილა **ლაშა გვალია** კი ეკატერინბურგის „ურალში". ისინი თავისუფალი აგენტის სტატუსით წავიდნენ და, შესაბამისად, „დილას" მათ ტრანსფერებში ცენტიც არ აუღია. ფიფას კანონების მიხედვით, გორელებს საკომპენსაციო თანხა ეკუთვნოდათ ამ ტრანსფერებიდან, რადგან ილურიძესა და გვალიას ჯერ არ შესრულებიათ 23 წელი, თუმცა „დილას" და ამ ფეხბურთელებს შორის ისეთი შეთანხმება ყოფილა, რომ კლუბი მათ ტრანსფერებში კომპენსაციასაც ვერ გამორჩა - ეს ამბავი ისიანმაც დაგვიდასტურა.

გამოცდილი მენეჯერი ისიანი იმითიც გემახსოვრებათ, რომ საქართველოში საკლუბო ფეხბურთის განვითარების პროგრამა წარმოადგინა, რომლის განხორციელება რეალობასთან ახლოს უნდა იყოს და იმედია, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მაინც სახელმწიფო ამისთვისაც მოიცლის.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერები


მათე ლვინიანიძე

## კანკავას პასები, ლვინიანიძის ჩაჭრები, ოქრიაშვილის დრიბლინგი

**ტრავმის** გამო **მათე ლვინიანიძე** სეზონის დასაწყიში „სევასტოპოლის" შემადგენლობაში არ ჩანდა. სექტემბერში კი ლვოვის „კარპატისა" და დონეცკის „მეტალურგთან" ძირითადში ადგილი დაიბრუნა. კლუბის ვებ-გვერდმა ქართველ ლეგიონერს ინტერვიუ ჩამოართვა. პატარა ფრაგმენტი ამ ინტერვიუდან:

*„თანაგუნდელებს კარგი თამაშისთვის, ხოლო გულშემატკივრებს მხარდაჭერისთვის ვუხდი მადლობას. ჩვენი ახალი მთავარი მწვრთნელი გენადი ორბუ მენდო და ძირითადში დამაყენა. იმედია, ჩვენ ერთად წარმატებებს მივაღწევთ, რასაც კლუბის ხელმძღვანელობა და გულშემატკივარი ელის კიდეც. ორბუსთან მუშაობა მომწონს, რადგან ბევრს ნიშნავს, მწვრთნელი მოედნის მიღმა კარგი ადამიანი რომ არის. მასში კი ამ თვისებებს ვხედავ. რვა ტურის შემდეგ ჩვენ მერვე ადგილზე ვართ. შეიძლებოდა, უკეთეს პოზიციაზე ვყოფილიყავით, მაგრამ უარესიც არ იყო გამორიცხული. შევეცდებით, შედეგები გავაუმჯობესოთ",* - ამბობს ლვინიანიძე.

აღსანიშნავია, რომ მე-10 ტურის სტატისტიკური მაჩვენებლებით 26 წლის ქართველი მცველი პრემიერლიგაში საუკეთესოთა შორის იყო: მან დონეცკის „მეტალურგთან" მოგებულ შეხვედრაში ბურთი 10-ჯერ ჩაჭრა. უკეთესი შედეგი არავის ჰქონია, მსგავსი კი - 5 მოთამაშეს.

ამავე ტურში საუკეთესო დრიბლიორებში მარიუპოლის „ილიჩივეცის" ქართველი ლეგიონერი **თორნიკე ოქრიაშვილი** მოხვდა - პოლტავის „ვორსკლასთან" შეხვედრაში (0:0), საქართველოს ნაკრების შემტევი ნახევარმცველი მეტოქეებს 5-ჯერ წარმატებით დაუსხლტა. თუმცა უკეთესი შედეგი (6 დრიბლინგი) დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" პორტუგალიელ თავდამსხმელ **ბრუნო გამას** ჰქონდა - 6.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ გასაოცარია **ჯაბა კანკავას** მაჩვენებელი: მისმა „დნიპრომ" ზაპოროჟიეს „მეტალურგთან" გასვლით მატჩში 3:2 გაიმარჯვა, „ჯვაროსნების" კაპიტანმა კი 93 გადაცემა გააკეთა, რომელთაგან 88 ზუსტი გამოდგა.

**მერაბ მამულაშვილი**

## ალექსანდრე იაშვილი: ეს ფრე მოგების ტოლფასი იყო

**აზერბაიჯანის ჩემპიონატის წინა ტურში ბაქოური დერბი გაიმართა - კახა ცხადაძის გაწვრთნილი „ინტერი" „ნეფთჩის" დაუზავდა (2:2). „ინტერში" თავისი პირველი აზერბაიჯანული გოლი გაიტანა 35 წლის ალექსანდრე იაშვილმა. ამ შეხვედრაში მან საგოლე გადაცემაც მიითვალა. იაშვილს ბაქოში შევეხმიანეთ და რამდენიმე კითხვა დავუსვით.**

**- ალბათ, საკმაოდ მნიშვნელოვანია თქვენთვის, რომ ნავსი გატეხეთ და გოლი გაიტანეთ. აზერბაიჯანულმა პრესამ როგორ შეაფასა თქვენი გარჯა „ნეფთჩისთან"?**

- სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, როგორია აზერბაიჯანული პრესის შეფასება, ეს გოლი კი მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. საერთოდ, გოლის გატანა ყოველთვის უდიდესი სიამოვნებაა და სწორედ ამისთვის ვთამაშობ ფეხბურთს.

**- ბაქოს დერბი პრინციპული დაპირისპირებაა და საინტერესოა, როგორი იყო კახა ცხადაძის დავალება...**

- კახა ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს ტაქტიკას, ფეხბურთელის მხრიდან სწორი გადაწყვეტილებების მიღებას - ცხადაძის გუნდში ყველა ფეხბურთელმა ზუსტად იცის, საკუთარ პოზიციაზე რა უნდა გააკეთოს.

**- მატჩი როგორი გამოვიდა? სათამაშო უპირატესობა უფრო რომელ მხარეს იყო?**

- მსაჯმა ძალიან დიდი როლი შეასრულა იმაში, რომ ეს შეხვედრა ვერ მოვიგეთ. ჯერ პენალტი აჩუქა მოწინააღმდეგეს, მერე კი ისეთი ჯარიმა დანიშნა... მოკლედ, ორივე გოლი ასე გაგვიტანეს. ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდით, რომ ფრე მოგების ტოლფასი გამოდგა, ორჯერ მოვახერხეთ რთული ვითარებიდან თავის დაღწევა. სეზონში ყოველთვის დგება ხოლმე გარდატეხის მომენტი და დარწმუნებული ვარ, ეს მომენტი სწორედ „ნეფთჩისთან" შეხვედრა იყო.

**- ძალიან ძნელი გამოდგა გოლის გატანა და საგოლე გადაცემის შესრულება აზერბაიჯანში? როგორ ატყობთ, რა არის ყველაზე დიდი სირთულე თქვენთვის?**

- გოლი და საგოლე პასი. ფეხბურთში ეს ყოველთვის და ყველგან რთულია.

**- „ინტერმა" სეზონი ცუდად დაიწყო. ახლა მეცხრე ადგილზეა, დაუგეგმავი ქულები დაკარგეთ და აქედან გამომდინარე, ამ სეზონში რა მიზნისთვის უნდა იბრძოლოთ?**

- ცუდი სტარტის მთავარი მიზეზი ალბათ ის არის, რომ „ინტერში" ბევრი ახალი ფეხბურთელი მოვიდა ამ სეზონისთვის. დარწმუნებული ვარ, ზედა ადგილებს დავუბრუნდებით და ისევ სამეულისთვის ვიბრძოლებთ.

**დავით თავართქილაძე**


ალექსანდრე იაშვილი

## ბიუსკენსი: გააღვიძეთ ყენია და მიეცით ბურთი

**გუშინ** მეორე ბუნდესლიგის მორიგ ტურში **ლევან ყენიას** „ფორტუნა" ჰამბურგის „ზანკტ პაულის" ესტუმრა და ოდენ 1:1-ს გამორჩა. ქართველმა შემტევმა მატჩი ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და 75-ე წუთამდე ითამაშა. თამაშამდე კი დიუსელდორფელთა თავკაცმა **მიხაელ ბიუსკენსმა** „კიკერთან", სხვათა გარდა, ყენიაზეც ილაპარაკა.

ბიუსკენსის თქმით, „ფორტუნას" კომპაქტურობა და ფანტაზია აკლია, რგოლებს შორის კარგი კავშირი არ არის და ამ პრობლემების მოგვარება ქართველს შეუძლია, რომელსაც კარგი ტექნია აქვს.

*„ყენია ღამე რომ გააღვიძოთ და ბურთი მიაწოდოთ, მეოდანზე გასვლა და თამაში არ დაეზარება",* - ამბობს ბიუსკენსი.

„კიკერი" იმასაც დასძენს, რომ მხოლოდ „ფორტუნას" მწვრთნელი და ფეხბურთელები კი არა, მეტოქე გუნდების მოთამაშეებიც გაოცებულები არიან ყენიას ტექნიკური შესაძლებლობებითა და გონიერებით, „ფორტუნას" რისკიანი თამაში აკლია და ყენიას შეუძლია გუნდს ამაშიც დაეხმაროსო.

**დავით თავართქილაძე**


ლევან ყენია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნეიტრალური მოედნ(ებ)ის ფაქტორი

**ჩვენი ვარაუდი გამართლდა: გასული ტურის ექვსი მატჩიდან, სულ მცირე, ოთხი შეხვედრა მოულოდნელი შედეგით დამთავრდა; ამას გარდა, VI ტურის წინათქმაში ისიც ვივარაუდეთ, რომ სატურნირო ცხრილში გარკვეული გადაადგილებები იყო მოსალოდნელი და ასეც მოხდა: ჩემპიონატში ზედიზედ მესამე გამარჯვების წყალობით პირველ ადგილზე თბილისის „დინამომ" გადაინაცვლა! თანაც, „დინამოს" ერთობ ხელსაყრელი კალენდარი აქვს და ძალიან დიდია იმის ალბათობაც, რომ პირველი წრის გამარჯვებული სწორედ მოქმედი ჩემპიონი გახდეს...**

## უკონკურენტო ლიდერი

სამი მატჩი, სამი მოგება, შვიდი გატანილი და არც ერთი გაშვებული გოლი, - აი, ასეთი წარმატებული სერიის წყალობით „დინამო" ცხრილის სათავეში მოექცა და ვეჭვობთ, რომ არა მხოლოდ პირველი წრის ბოლომდე, არამედ, ზამთრის პაუზამდე ეს პოზიცია რომელიმე გუნდს დაუთმოს. თანაც, გულახდილად ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში „დინამოს" რაიმე „განსაკუთრებულ" თუ „შთამბეჭდავ" თამაშთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ... კონკურენტების დასუსტების ტენდენცია შეინიშნება!

ეგ კი არა, ბევრს მიაჩნია, რომ ამ სეზონში „დინამოს", ფაქტობრივად, კონკურენტი არა ჰყავს და ძნელია, ამ ვარაუდს კაცი არ დაეთანხმოს, ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით ასეა და ზამთრის პაუზის მერე სიტუაცია როგორ შეიცვლება, ამას ახლა ვერავინ იტყვის. არადა, „დინამოს" დიდი ხანია მცხეთაში არ ჰქონდა „ვიტ ჯორჯიასთან" მოგებული და ამ ნავსის გატეხვა იოლი ნამდვილად არ აღმოჩნდა: პირველ ტაიმში მასპინძლები ფავორიტ მეტოქესთან შედარებით ბევრად უფრო მოტივირებულად გამოიყურებოდნენ და რამდენიმე მწვავე იერიშიც განახორციელეს.

თუმცა, გამოცდილებამ და ცალკეულ ფეხბურთელთა საშემსრულებლო კლასმა მატჩის მიწურულს გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია და არცთუ დამაჯერებელი თამაშის „ფონზე", ჩემპიონმა მაინც შეძლო მასპინძელთა ახალგაზრდული გუნდის წინააღმდეგობის დაძლევა. ისე, მეორე ტაიმში მოედანზე **ჩისკო** რომ არ გამოჩენილიყო, მართლაც ძნელი სათქმელია, თუ რამდენად შეძლებდა **დუშან უჰრინის** გუნდი ზედიზედ მესამე გამარჯვების მოპოვებას.

## მერანის სიურპრიზები

„მერანი" კვლავაც გვაოცებს: ახალგაზრდა სპეციალისტის **მალხაზ ჟვანიას** გუნდი წარმატებულ სვლას აგრძელებს და ექვსი ტურის შემდეგ ერთპიროვნულ ლიდერს თბილისის „დინამოს" მხოლოდ და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება!

იმასაც შეგახსენებთ, რომ მარტვილის სტადიონის ნაცვლად „მერანი" საშინაო შეხვედრებს სამტრედიაში ატარებს, თუმცა მეტოქეთათვის ეს დიდი ვერაფერი შეღავათია: მალხაზ ჟვანიას გუნდმა, ფაქტობრივად, ნეიტრალურ მოედანზე ოთხიდან ოთხივე მატჩი მოიგო!

ლიდერებს შორის მარტვილელთა ყოფნა ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი სასიამოვნო სიურპრიზია; თუმცა პირველი წრის ბოლომდე „მერანს" ერთიმეორეზე ურთულესი მატჩები ელოდება: „დინამოსთან", „ტორპედოსთან", „მეტალურგთან", „ზესტაფონთან", „დილასთან"...

## გურულების უცნაურობები

„მერანის" მსგავსად, „გურიასაც" სხვა ქალაქში უწევს მეტოქეთათვის მასპინძლობის გაწევა, მაგრამ მარტვილელთა მსგავსად, ამ შემთხვევაშიც ასპროცენტიან შედეგთან გვაქვს საქმე: **დავით მახარაძის** გუნდმა ქობულეთში მესამე შეხვედრა ჩაატარა და მესამე მატჩი მოიგო! თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ ლანჩხუთელთა მეტოქე ევროტურნირების საგზურის ერთ-ერთი კანდიდატი „მეტალურგი" იყო, მაგრამ „გურიამ" ამჯერადაც ჩინებულად იასპარეზა და თავისი ერთგული ქომაგები კიდევ ერთხელ გაახარა.

შეგახსენებთ, რომ ფაქტობრივად, სეზონის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე შეკრებილმა გუნდმა 31 აგვისტოს თბილისის „დინამოს" მოუგო (2:1), ახლა კი კიდევ ერთი ძლიერი მეტოქეც დაჯაბნა. თანაც, „გურიამ" ისეთი მატჩი „შემოატრიალა", თავიდან რომ აგებდა: მეორე ტაიმის დასაწყისში 33 წლის **ლევან კორღალიძემ** „მეტალურგის" მაისურით პირველი გოლი გაიტანა და სტუმრები დააწინაურა;

აი, ამის შემდეგ კი მასპინძელთა თავკაცმა **დავით მახარაძემ** გონივრული გადაადგილებები მოახდინა და მასპინძელთა უპირატესობა მეტოქის კარში




ვიტ ჯორჯია-დინამო (თბ) 0:2

სამი უპასუხო გოლითაც გამოიხატა! თანაც, გოლებსაც ხომ გააჩნია: 24 წლის **ალექსანდრე შენგელიამ** და 28 წლის **კობა შალამბერიძემ** ეფექტური კომბინაციები არანაკლებ ეფექტური და ზუსტი დარტყმით დააგვირგვინეს, 30 წლის **თენგიზ ჩიკვილაძემ** კი „საფირმო" სტანდარტული ჩინებულად შეასრულა!

ჩიკვილაძეს ორი წელიწადია გოლი არ ჰქონდა გატანილი უმაღლეს ლიგაში, არადა, ამპლუით ცენტრალურ (ხანდახან - მარცხენა) მცველს სეზონის განმავლობაში ექვს-ექვსი ბურთიც შეუგდია (ჯერ „ოლიმპში", მერე - „დინამოში" ასპარეზობისას) შენგელია და შალამბერიძე ვახსენეთ და ამ ორი გარემარბის გარდა, როგორც ჩვენი ადგილობრივი კორესპონდენტი **მამუკა ქანთარია** იუწყება, ჩინებულად გარჯილა 20 წლის **ნოდარ გაჩეჩილაძე**: დავით მახარაძემ დიდი ნდობა გამოუცხადა „გურიას" დებიუტანტს და ამ უკანასკნელმაც ეს ნდობა გაამართლა.

...ექვსი ტურის შემდეგ „გურიას" 9 ქულა აქვს და ზედა ექვსეულშია; ანუ, თერთმეტწლიანი პაუზის მერე უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული გუნდისათვის (რომელსაც სეზონის წინ შეკრება არ გაუვლია და პირველი ტურის მატჩზე შემადგენლობა ძლივს შეკრიბა) მართლაც რომ ჩინებული შედეგია. თუმცა, „გურიას" მესვეურები, ეტყობა, სხვანაირად უცქერენ მოვლენების განვითარებას: „გურიას" ახალი მწვრთნელი, უკრაინელი **რომან პოკორა** ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს თავისი ახალი გუნდის „შემოტრიალებულ" თამაშს!

## უიღბლოთა დუელი

...ბოლო წუთები მართლაც კოშმარად ექცა „ზესტაფონს": ისე როგორც „დინამოსთან" პირველი ტურის მატჩში, იმერულმა კლუბმა გოლი მსაჯის მიერ დამატებულ დროში გაუშვა და ამ შემთხვევაშიც უქულოდ დარჩა; არადა, ამ სეზონში თუ რომელიმე გუნდი თამაშობს ყველაზე შემტევ და სანახაობრივ ფეხბურთს, ეს „ზესტაფონზე" ითქმის, - თუმცა, ცალკე უიღბლობისა და ცალკე - საგოლე მომენტების დაბალი რეალიზაციის ხარისხის გამო, საქართველოს ორგზის ჩემპიონი ერთობ სახიფათო ზონაში აღმოჩნდა.

ახლაც, „სპარტაკთან" მატჩში „ზესტაფონს" არაერთხელ ჰქონდა გოლის გატანის შანსი, მაგრამ მასპინძელთა ჩინებულად მოასპარეზე მეკარეს ვერაფერი მოუხერხა: 21 წლის **გიორგი ნადირაძემ** ძირითად შემადგენლობაში დაბრუნება შთამბეჭდავი თამაშით აღნიშნა! ისე, „ზესტაფონის" მსგავსად, „სპარტაკსაც" უიღბლობა სდევდა სეზონის სტარტზე და აი, პირველი გამარჯვების დროც დადგა: შეცვლაზე შემოსულმა 20 წლის **კახაბერ კაკაშვილმა** შორეული დარტყმით თავის გუნდს პირველი სამი ქულა მოუტანა!

## დანავსული იმერული ტურნე

...კოშმარულზე მეტი ეთქმის „დილას" „იმერულ ტურნეს": ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს, მიზეზთა გამო, 9 დღის განმავლობაში ქუთაისსა და ზესტაფონში სამი მატჩის ჩატარებამ მოუწია და მხოლოდ და მხოლოდ ერთ ქულას დასჯერდა.

რაღა თქმა უნდა, გორელთა გუნდის საკადრო პრობლემებიც გასათვალისწინებელია: „დილადან" უკვე წასულ **გიორგი ილურიძესა** და **ლაშა გვალიას** ძირითადის ტრავმირებული ფეხბურთელებიც, **გულვერდ თომაშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი, გრიგოლ დოლიძე** დაემატა; თუმცა, ამით სულაც არ გვინდა „ჩიხურას" წარმატების დაკნინება: **სოსო ფრუიძის** გუნდმა დამსახურებულად აჯობა ძლიერ მეტოქეს და ასევე დამსახურებულად იმყოფება ლიდერთა შორის.

აქვე, იმასაც შეგახსენებთ, რომ „მერანისა" და „გურიას" მსგავსად, „ჩიხურაც"... სხვა ქალაქში (ქუთაისში) მასპინძლობს მეტოქეებს, ანუ ეტყობა, რომ წლეულს ნეიტრალური მოედნის ფაქტორი „პირობით მასპინძლებს" დამატებით სტიმულს აძლევს...

**გია ტუხაშვილი**

***P.S.** სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: უკვე მერამდენე შემთხვევაა, როცა „ლელოს" ფურცლებზე „ზუგდიდის" საშინაო მატჩების რეპორტაჟს ვერ ნახულობთ; არადა, ეს მართლაც პრობლემატური საკითხი, რაც შეიძლება მალე უნდა მოგვარდეს და „ზუგდიდის" ხელმძღვანელებსა თუ ამ გუნდის ქომაგებს ვპირდებით, რომ უახლოეს მომავალში ყველაფერი დადებითად გადაწყდება.*

*კარგად გვესმის „ზუგდიდის" მწვრთნელ-ფეხბურთელებისაც: წინა სეზონიდან მოყოლებული, ამ გუნდის საშინაო მატჩების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა არ გაშუქებულა, ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც ამ გუნდის საშინაო მატჩებიდან ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ შეგვყავს ხოლმე და საერთოდაც, წარმატებული თამაში ვინმეს რატომ უნდა დავუკარგოთ?*

*აი, ახლაც, თვითმხილველთა თქმით, „ზუგდიდი"-"ტორპედოს" მატჩი ერთობ საინტერესოდ წარმართულა და დებიუტანტი მწვრთნელის, კობა ნიტაიშვილის გუნდმა იმდენი მოახერხა, რომ ქუთაისის „ტორპედოს" ლიდერობა დააკარგვინა. მოკლედ, ყველანაირად ვეცდებით, რომ ისე, როგორც სხვა შეხვედრები, „ზუგდიდის" საშინაო მატჩებიც სრულად და ოპერატიულად გაშუქდეს.*

## III ტურის სიმბოლური ნაკრები




| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 6 | 4 | 1 | 1 | 11 | 4 | 13 |
| 2 | ჩიხურა | 6 | 4 | 0 | 2 | 13 | 8 | 12 |
| 3 | მერანი | 6 | 4 | 0 | 2 | 9 | 7 | 12 |
| 4 | ტორპედო | 6 | 3 | 3 | 0 | 6 | 3 | 12 |
| 5 | გურია | 6 | 3 | 0 | 3 | 6 | 8 | 9 |
| 6 | ვიტ ჯორჯია | 6 | 2 | 2 | 2 | 7 | 5 | 8 |
| 7 | დილა | 6 | 2 | 2 | 2 | 7 | 7 | 8 |
| 8 | მეტალურგი | 6 | 2 | 2 | 2 | 6 | 9 | 8 |
| 9 | სიონი | 6 | 2 | 1 | 3 | 7 | 7 | 7 |
| 10 | ზუგდიდი | 6 | 1 | 2 | 3 | 3 | 9 | 5 |
| 11 | ზესტაფონი | 6 | 1 | 1 | 4 | 5 | 7 | 4 |
| 12 | სპარტაკი | 6 | 1 | 0 | 5 | 2 | 8 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დ. ტატანაშვილი (ჩიხურა) | 4 |
| დ. გოგა (დინამო (თბ) | 3 |
| ი. მოდებაძე (დილა) | 3 |
| ლ. ახალაია (სიონი) | 3 |
| გ. დოლიძე (დილა) | 3 |
| ი. ძოზალია (ზესტაფონი) | 3 |

### დუბლების ჩემპიონატი

#### VI ტური

| | |
|---|---|
| ჩიხურა – დილა | 2:0 |
| გურია –მეტალურგი | 1:2 |
| ზუგდიდი – ტორპედო | 1:0 |
| მერანი – სიონი | 4:1 |
| სპარტაკი – ზესტაფონი | 1:2 |
| ვიტ ჯორჯია – დინამო | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 6 | 5 | 0 | 1 | 16-7 | 15 |
| 2. მეტალურგი | 6 | 5 | 0 | 1 | 17-11 | 15 |
| 3. ზუგდიდი | 6 | 4 | 1 | 1 | 14-8 | 13 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 2 | 1 | 9-8 | 11 |
| 5. მერანი | 6 | 3 | 2 | 1 | 12-5 | 11 |
| 6. ჩიხურა | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| 7. დილა | 6 | 2 | 1 | 3 | 11-14 | 7 |
| 8. სიონი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-12 | 7 |
| 9. ზესტაფონი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-10 | 7 |
| 10. ტორპედო | 6 | 2 | 0 | 4 | 12-10 | 6 |
| 11. სპარტაკი | 6 | 1 | 0 | 5 | 6-14 | 3 |
| 12. გურია | 6 | 0 | 0 | 6 | 4-16 | 0 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# დიმიტრი ტატანაშვილი: ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის

**ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურში საჩხერის „ჩიხურამ“ მეტად პრინციპული მატჩი მოიგო - გორის „დილა“ 3:1 დაამარცხა და ამ დროისთვის საჩხერული გუნდი ცხრილში მეორე ადგილზეა.**

**29 წლის თავდამსხმელი დიმიტრი ტატანაშვილი „ჩიხურაში“ ამ სეზონისთვის მივიდა, „დილასთან“ შეხვედრაში მან ჯერ საგოლე გადაცემა შეასრულა, მერე კი, როცა ანგარიში 1:1 იყო, „ჩიხურა“ წინ გაიყვანა. მოკლედ, საკუთარი გუნდის წარმატებაში ძალზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.**

**ტატანაშვილის კარიერა ალმა-დალმა წარიმართა, ის ჯერ კიდევ მაშინ იყო გამორჩეული, როცა თბილისის „სპარტაკში“ ინყებდა ინყებდა თამაშს. მაშინ ის, გოლების გარდა, დრიბლინგით, სასიამოვნო თამაშით გამოირჩეოდა, მერე იყო „ამერი“, წარმატებები, ჩეხური გუნდები...**

**ტატანაშვილთან საუბარი „დილასთან“ მატჩით დავიწყეთ.**



დიმიტრი ტატანაშვილი

**- „დილასთან“ შეხვედრაში ნუკრი რევიშვილის შეცდომა გამოიყენეთ და „ჩიხურა“ ხელმეორედ დააწინაურეთ. ეს გამოდგა გარდამტეხი მომენტი ამ მატჩში?**

- ჩვენს გამარჯვებას მხოლოდ რევიშვილის ამ შეცდომას ვერ დავაბრალებ, იმ ეპიზოდის გარდა, მან ჩინებულად ითამაშა და რამდენჯერმე იხსნა საკუთარი გუნდი. მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას ვფლობდით, ძალიან მონდომებულები ვიყავით და ღირსეული გამარჯვება მოვიპოვეთ. მოკლედ, მეტოქეს ვაჯობეთ. „დილა“ რომ კარგი გუნდია, ამას ერთხელაც ვიტყვი, უბრალოდ, მიმაჩნია, რომ ამ შეხვედრაში ჩვენ უფრო გვინდოდა გამარჯვება.

**- „ჩიხურაში“ გამოკვეთილი თავდამსხმელი თქვენ ხართ, „დილასთან“ შეხვედრისას შეტევაში ყველაზე უფრო, ალბათ, გიორგი გაბედავა გეხმარებოდათ...**

- თავდასხმის ცენტრში მე ვიდექი, ფლანგებიდან კი გაბედავა და დეკანოიძე უტევდნენ. გაბედავამ ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ჩაატარა, მატჩის ბოლოს ძალიან კარგი გოლიც გაიტანა.

**- მატჩის ბოლოს მწვრთნელმა ალბათ იმიტომ შეგცვალათ, რომ დაღლა დაგეტყოთ...**

- შეხვედრის ბოლოსკენ ცოტათი მართლა დავიღალე და მოედანზე დასვენებული რატი წინამძღვრიშვილი შემოვიდა ჩემ მაგივრად.

**- წინამძღვრიშვილთან თბილისის „ამერშიც“ გითამაშიათ, თუმცა „ჩიხურა“ ახლა ორი გამოკვეთილი თავდამსხმელით არ თამაშობს და, ალბათ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ საჩხერეშიც ვიხილოთ ტატანაშვილ-წინამძღვრიშვილის დუეტი...**

- რა თქმა უნდა, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია და, შესაძლოა, რომელიმე თამაშში „ჩიხურაშიც“ ვიხილოთ ასეთი დუეტი. რატისთან ერთად „ამერში“ ბევრჯერ მითამაშია და ეს კარგადაც გამოგვდიოდა.

**- როგორ ფიქრობთ, ტატანაშვილი მეწყვილესთან უფრო ეფექტურია თავდასხმაში თუ მაშინ, როცა ორი ფლანგელი შემტევი ეხმარება?**

- გააჩნია, როგორ მოწინააღმდეგესთან გიწევს თამაში. ისე კი, უფრო მაშინ მიადვილდება თამაში, როცა გუნდი ორი თავდამსხმელითაა და თუ რატისნაირი მეწყვილე მეყოლება, ეს საქმეს კიდევ უფრო გამოადგება.

**- წინა სეზონის მეორე ეტაპზე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი იყავით, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ის პერიოდი თქვენთვის წარმატებული იყო...**

- წინა სეზონის პირველი ეტაპი რუსთავის „მეტალურგში“ დავიწყე, გოლებიც გავიტანე, „დინამოში“ კი ძალიან დიდი კონკურენცია იყო და თამაშის შესაძლებლობა თითქმის არ მქონია...

**- „დინამოში“ მანამდეც იყავით, 2010/11 წლების სეზონში და, ალბათ დამეთანხმებით, ყველაზე ტიტულოვან გუნდში რომ ხარ, სულ სხვა რამაა. გული ძალიან გწყდებათ, „დინამოში“ სრულად რომ ვერ მოახერხეთ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა?**

- იმ სეზონში ჯერ ტრავმა მქონდა და დაახლოებით ორი თვე გამიცდა, მერე კი უკვე გოლებიც გამქონდა. „დინამო“ ყოველთვის განსხვავებული, გამორჩეული გუნდი იყო ჩემთვის, მაგრამ რაც მოხდა, იმას დიდად არ განვიცდი - გოლების გატანა სხვა გუნდშიც შეიძლება, იქ, სადაც გაცილებით მეტი სათამაშო დრო გექნება.

**- „ჩიხურაში“ ახლა ორი ნათხოვარი ფეხბურთელია „დინამოდან“. ჯაბა ჯიღაურისა და გიორგი რეხვიაშვილის გარეშე თქვენი გუნდი მნიშვნელოვნად დასუსტდება. ეთანხმებით ასეთ შეხედულებას?**

- კი, იმიტომ, რომ ისინი „ჩიხურაში“ ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო ფეხბურთელები არიან. ფაქტია, ჯიღაური და რეხვიაშვილი სტაბილურად და გამორჩეულად თამაშობენ.

**- „ამერის“ შემდეგ გქონდათ იმის შანსი, რომ ევროპული კარიერა მოგეწყოთ - ჯერ „პლზენში“ იყავით, მერე კი „კლადნოში“. მალე 30 წლის გახდებით და როგორ ფიქრობთ, ისევ არის შანსი, რომ ბევრი გოლი გაიტანოთ?**

- პესიმისტურად არ ვარ განწყობილი, ასაკიც მომემატა და გამოცდილებაც, იმ შეცდომებს აღარ დავუშვებ, რაც უკვე იყო. საუკეთესო პერიოდი „ამერში“ მქონდა, მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის...

**დავით თავართქილაძე**

ეს საინტერესოა...

# გუჯა კახაძე: ამ მეთოდის გამო, ბევრი ჩემში მტერს ხედავს

**ქართველი ფეხბურთელების ფიზიკური სისუსტე ცნობილი ამბავია. ახალი (უცნაურიც) კი ის არის, რომ ამ პრობლემის მოგვარება, თურმე, დატვირთვების გარეშეც ყოფილა შესაძლებელი. დიახ, თბილისელმა არქიტექტორმა გუჯა კახაძემ სპორტსმენების მომზადების უნიკალური მეთოდიკა - „ფიზმომზადება დატვირთვის გარეშე“ - შეიმუშავა. ის მოკლე პერიოდში აღწევს შედეგს, თუმცა ჩვენში რატომღაც სიახლეების დანერგვას ერიდებიან. კახაძის მეთოდი კი აბსოლუტურად განსხვავდება იმისგან, რასაც აქამდე ფიზმომზადების სპეციალისტები ეყრდნობოდნენ. აი, რას გვიყვება ჩვენი რესპონდენტი:**

## წარუმატებელი მძლეოსნის აღმოჩენა

- ინერგება აზრი, თითქოს ქართველები ფიზიკურად სუსტები ვართ. არადა, საპირისპიროს ამტკიცებს კიევის „დინამოს“ ფიზმომზადების ყოფილი მწვრთნელი ალექსანდრ შტელინი, რომელიც ქუთაისის „ტორპედოს“ ავარჯიშებდა. მეც ამ აზრზე ვარ - გენეტიკურად, ქართველები ფიზიკურად ძლიერები ვიყავით და ვართ. მაგრამ სპორტსმენების სწორი მომზადება არ ვიცით, რაც ადვილი საქმეა. 10 წელია, ვარჯიშების ახალი სისტემა შევიმუშავე, რომელსაც მოკლე დროში ფიზიკური კონდიციების საგრძნობი მატება და ორგანიზმის მაქსიმალური გაჯანსაღება შეუძლია, თანაც, სპორტსმენი მინიმალურ ენერგიას ხარჯავს. აქ 90 პროცენტი ფსიქოლოგიური მომზადებაა და მხოლოდ 10 - ფიზიკური, ისიც დატვირთვის გარეშე. ამ დროს პულსიც არ უჩქარდებათ. რაც შეეხება თავად მეთოდს. ყველაფერი ჩემი მოსწავლეობის პერიოდიდან იწყება. მძლეოსანი ვიყავი, თანაც წარუმატებელი და კიდევ კარგი, ასე იყო. რაც უფრო მეტს ვცდილობდი, შედეგები მით უფრო მიუარესდებოდა და მე-9 კლასში სპორტს შევეშვი.

მიზეზებზე ბევრი ვიფიქრე და სრულიად შემთხვევით ერთ აღმოჩენამდე მივედი. არსებობს დაფარული ცოდნა, რომელსაც კომუნისტები გვიმალავდნენ. მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არქივები გაიხსნა და ისეთი მასალები აღმოვაჩინე, დავრწმუნდი, რომ არ ვცდებოდი - სპორტსმენი ვარჯიშით კი არ უნდა მოკლა, არამედ, მრავალმხრივი უნდა გახადო. არქიტექტურის ფაკულტეტი დავამთავრე და ვიცი, რომ უმცირესი ენერგია სხვა ენერგიასთან რეზონანსში საოცარ ძალას წარმოქმნის და შენობებს ანგრევს. მაგალითად, ჯარისკაცებმა ხიდზე მწყობრი ნაბიჯით თუ გაიარეს, ხიდი დაინგრევა.

ამას გარდა, ეკლესიური სწავლებიდან ვიცით, რომ ადამიანს ენერგიის ოთხი წყარო გააჩნია - ფიზიკური, გონებრივი, ემოციური და სულიერი. ჩვენი სპორტსმენები მხოლოდ ფიზიკურს იყენებენ. არადა, დანარჩენი სამიც აუცილებელია. ვიფიქრე, ფიზიკურ ენერგიას სხვა წყაროსთან რეზონანსში თუ მოვიყვანდი, ადამიანი უდიდეს ძალას წარმოქმნიდა და ვერ დაიღლებოდა. საბოლოოდ, ამ რეზონანსის გამოწვევა მოვახერხე.

## ევრიკა! იკურნებიან!

- თუ ტრადიციული მეთოდით, ბავშვის მომზადებას წლები სჭირდება, ჩემთან ეს 47 დღეში ხდება. უბრალოდ, ვასწავლი, როგორ გააკეთოს საქმე იოლად. ამის შემდეგ ვისთანაც უნდა მივიდეს, ვერ დაიღლება, რადგან მოძრაობაში ფიზიკურ ენერგიას არ ხარჯავს - ის ხომ ტრადიციული ერთის ნაცვლად, ენერგიის ოთხი წყაროდან იკვებება. ამიტომაა, ჩემთან ნავარჯიშები სპორტსმენები უდიდეს შვებას რომ გრძნობენ. ოღონდ, ამ ენერგიების გამოყენება უნდა ასწავლო. ამ მეთოდით ჯერ ჩემი შვილი ვავარჯიშე. ფეხბურთიდან დაბრუნებული, კიდევ საათნახევარი ისე ვარჯიშობდა, არ იღლებოდა. მერე სხვებმაც გაიგეს, მათაც დავეხმარე და მერე ხალხმა თავად მომაკითხა. ბევრი ცნობილი სპორტსმენი მახსენდება, გაოცებულები რომ წასულან ჩემგან...

ამ ვარჯიშებით მეორე აღმოჩენამდეც მივედი: ერთხელ ტრავმირებული ბავშვი მოვიდა - მუხლი მტკივა, ორ დღეში თამაში მაქვს და უნდა ვითამაშოო. ორი დღის შემდეგ ტკივილებმა გაუარა და თავადაც გაოცებული დავრჩი. მერე იგივე სხვასთანაც რომ განმეორდა, მივხვდი, რაღაც ხდებოდა. საბოლოოდ, ამ შემთხვევების წყალობით, აღმოვაჩინე, რომ ჩემი მეთოდი ტრავმირებულთა განკურნებასაც უწყობდა ხელს.



გუჯა კახაძე

სხვა მაგალითსაც გეტყვით: ამბობენ, მენისკი პროფესიული დაავადებააო. არადა, ეს არასწორი სირბილის შედეგია. მაგალითად, ჩემთან მოსულ არც ერთ ფეხბურთელს მენისკი არ აწუხებს. მეტიც, ბევრს დაუსვეს ეს დიაგნოზი, მაგრამ ჩემთან ყოველგვარი ოპერაციის, რეაბილიტაციისა და დიდი ხარჯის გარეშე, ვარჯიშით გამოჯანმრთელებულა. გარდა იმისა, რომ სწორი მოძრაობა სპორტსმენს ფიზიკურად აყალიბებს და აჯანსაღებს კიდეც.

ეს ბავშვობაში არასწორად ნასწავლი სირბილის შედეგია, რაც წლების შემდეგ იჩენს თავს. შესაძლოა, ბავშვმა დილიდან დაღამებამდე ეზოში ითამაშოს, მაგრამ ის ამ დროს ერთობა, საფეხბურთო სკოლაში კი საათ-ნახევარი თუ ორი საათი ვარჯიშით იღლება და მერე იფიტება.

მქონდა შემთხვევა, როცა ბავშვს ძვლის მოტეხილობის დიაგნოზი დაუდგინეს და ერთი წლით დასვენება ურჩიეს. რეალურად, ქუსლი სტკიოდა და ორ დღეში ჩვეულებრივ დატვირთვებზე გადავიყვანე. ორკვირიანი კურსით ფეხბურთელს სწორ სირბილსაც ვასწავლი, რაზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამის შემდეგ 15 კილომეტრს ძუნძულით ისე ირბენს, დაღლა გამორიცხულია. არ დავმალავ, ამ მეთოდის გამო, ბევრი ჩემში მტერს ხედავს.

## კონკურენცია და შიში

- ლოგიკურად ისმის კითხვა: რატომ არც ერთი ნაკრები და კლუბი არ მომმართავს? ბევრი მცდელობაც მქონდა, ხმა მიმეწვდინა, ორ გუნდთან ვიმუშავე კიდეც და ერთი კვირის შემდეგ შედეგიც დაინახეს, ბიჭები დაფრინავდნენ, დაღლა არ იცოდნენ, მაგრამ ორივე მწვრთნელთან პრობლემა შეიქმნა. გარკვეულწილად, ჩემში კონკურენტს ხედავდნენ, ისინი კი მიჩვეულები არიან, რომ ფიზმომზადების მწვრთნელის საქმე შეითავსონ, უფრო - საფეხბურთო სკოლებში. დატვირთვებს ისინი ადგენენ მაშინ, როცა ადამიანის ორგანიზმს ყველა არ იცნობს - როდის და რა დოზით დატვირთოს ბავშვი და ასე შემდეგ...

ბევრიც ვერ ხვდება, რომ ჩემი მეთოდი სულიერებისა და მეცნიერების ცოდნის შედეგად შევიმუშავე და არ არის შარლატანობა. მაგრამ ამით მწვრთნელებს დისკომფორტი ექმნებოდათ. კლუბების პრეზიდენტებსაც ლოგიკით ვერ აუხსნი, რომ ფეხბურთელის მომზადება დატვირთვის გარეშეც შესაძლებელია. ის ხომ ამის შესახებ პირველად ფიზმომზადების მწვრთნელს ეკითხება, რომელიც ეუბნება, რომ ჩემი მეთოდი ბლეფია. მათი კარგად მესმის, მათ იციან ის, რაც ასწავლეს. სხვაგვარი მომზადება ვერც წარმოუდგენიათ. მაგრამ შედეგი რომ გვაქვს, ეს ფაქტია და ვერავინ უარყოფს.

უმოკლეს დროში ჩემი მოსწავლეების შედეგები იმდენად დაუჯერებელია, ვინმეს რომ გაუმხილონ, აბსურდულად მოეჩვენებათ და, შესაძლოა, გიჟადაც ჩათვალონ. მეორეცაა - გუნდები სხვაგან ვარჯიშს უკრძალავენ და გაჩუმებას ამჯობინებენ.

## მუჯირს, კალაძეს და კობახიძეს არ უნანიათ...

- იქნებ, ახლა დაინტერესდნენ და ეს მეთოდი ქართულ ფეხბურთში გამოვიყენოთ. არასწორი იქნება იმის თქმა, თითქოს კარგად არ მიცნობენ და ამიტომ არ მენდობიან. მაგრამ ეს მეთოდი ბევრის წარმოდგენაში არ ჯდება. რამდენიმე პროფესიონალი ფეხბურთელი მოვიდა და რაც ვიცი, არ უნანიათ. მაგალითად, დავით მუჯირი, კახა კალაძე, სანდრო კობახიძე...

ამ მეთოდის უარყოფითი მხარე ისაა, რომ დასაჯერებლად ძნელია, სხვა უარყოფითი ჩვენება არ გააჩნია. პირველად საჯაროდ ეს მუჯირმა განაცხადა, რადგან იაპონიაში წასვლამდე შედეგები ნახა. არადა, ექიმისგან დატვირთვები აკრძალული ჰქონდა, წელი სტკიოდა და მოვურჩინე. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ტრავმირებულ ფეხბურთელს სიარულითა და სირბილით ვარჩენ.

მე ვიცი თავის ტვინის ის თვისება, რაც ადამიანის ფიზიკურ გაჯანსაღებასაც იწვევს და ისიც ვიცი, ეს თვისება როგორ გავააქტიურო. ესეც დაუჯერებელია და უცნობთან რომ თქვა, გიჟად ჩაგთვლიან. ერთი ფეხბურთელი კი, ეს რომ თქვა, გუნდიდან გააგდეს...

## ქვეყნის ღირსების საკითხი

- ასეთი სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, რამდენიმე მწვრთნელმა, სელექციონერმა და აგენტმა საკუთარი თვალით ნახა ვარჯიშის შედეგები და დარწმუნდა, რომ მართლაც თვისობრივად ახალი მეთოდია და, ასე ვთქვათ, სპორტული ექიმბაშობა არ არის. საქმე ისაა, რომ სპორტსმენთა მომზადების ყველა ძველმა მეთოდმა უკვე თავისი დრო მოჭამა და წამყვანი ქვეყნები ახალ გზებს ეძებენ, რაშიც უზარმაზარ თანხებს იხდიან.

ჩემი მეთოდის შესახებ რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში იციან, სერიოზული შემოთავაზებებიც მივიღე. და საქართველომ არ უნდა გამოიყენოს?

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. V ტურის შეჯამება და VI ტურის წინ

# მარტინო უკმაყოფილოა, დი მარია კი ქომაგებმა გააბრაზეს

**ლა ლიგის მეხუთე ტური გუშინ, „ესპანიოლის" და ბილბაოს „ატლეტიკის" (3:2) მატჩით დასრულდა, დღეს კი უკვე მომდევნო, მე-6 ტური იწყება. ჯერ უკვე დასრულებული ტურის შესახებ ვთქვათ, შემდეგ კი მომავალ შეხვედრებზეც ვისაუბროთ...**


დი მარიამ თანაგუნდელი დაიცვა

## მარტინო: იდეალურად ნამდვილად ვერ ვთამაშობთ

„ბარსელონამ" ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა და პირველი ადგილი შეინარჩუნა. მიუხედავად იმისა, რომ კატალონიელებმა ბოლო ორ შეხვედრაში 4-4 გოლი გაიტანეს, საკუთარი კარი კი მშრალად შეინახეს, მათი მთავარი მწვრთნელი **ხერარდო მარტინო** გუნდის გარჯით ბოლომდე კმაყოფილი მაინც არაა:

*„ქულების თვალსაზრისით ყველაფერი იდეალურად არის, მაგრამ იდეალურად ნამდვილად ვერ ვთამაშობთ. სამუშაო ჯერ კიდევ ბევრ კომპონენტზე გვაქვს,"* - განუცხადა 50 წლის სპეციალისტმა კატალონიურ „სპორტს".

შეგახსენებთ, რომ „ბარსა" „რაიო ვალეკანოსთან" შეხვედრაში ბურთის ფლობის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით დამარცხდა, ასეთი რამ კი ბოლოს 5 წლის წინ **ფრანკ რაიკარდის** ხელმძღვანელობის დროს მოხდა.

ისევ მარტინო: *„ჩვენთვის ბურთის ფლობას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მთავარი მაინც შედეგია. გარდა ამისა, აუცილებელია მეტოქის ფაქტორის გათვალისწინებაც. შარშან, „ბარსელონას" „რაიოსთან" ბურთის ფლობის მაჩვენებელი 55 პროცენტი ჰქონდა, ზოგადად ლიგაში კი ამ კომპონენტში მადრიდელები ჩვენს შემდეგ მეორე ადგილზე იყვნენ".*

არგენტინელს გრძელი გადაცემების შესახებაც ჰკითხეს, რაზეც „ტატამ" შემდეგი რამ უპასუხა: *„გაიხსენეთ რაფაელ მარკესი ან რონალდ კუმანი - „ბარსელონაში" გრძელი გადაცემები ადრეც აქტუალური იყო".*

საინტერესოა, რომ ჩემპიონატის სტარტზე „ბარსამ" პირველი ხუთი მატჩი მეექვსედ მოიგო. წინა ხუთი შემთხვევა 1985, 1991, 1998, 2010 და 2013 წლებში დაფიქსირდა და კატალონიელები ხუთივე სეზონში ჩემპიონი გახდა.

## ბენზემას ისევ უსტვინეს

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ **ქარიმ ბენზემა** არავის აღარ უყვარს. „რეალის" ფორვარდს საფრანგეთის ნაკრების ქომაგები აძაგებენ, კვირას კი მას მადრიდული კლუბის გულშემატკივრებმაც უსტვინეს. 25 წლის ფორვარდმა „ხეტაფესთან" რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, მე-80 წუთზე კი ის **ალვარო მორატამ** შეცვალა.

პარტნიორი არგენტინელმა **ანხელ დი მარიამ** დაიცვა, რომელმაც გულშემატკივრები გააკრიტიკა: *„ქარიმის მიმართ ასეთი დამოკიდებულება მიუღებელია. მორატამაც კარგი მომენტი ვერ გამოიყენა, მაგრამ მისთვის არავის დაუსტვენია. აუცილებელია, რომ გულშემატკივრებს ყველას მიმართ ერთნაირი დამოკიდებულება გააჩნდეთ და ორმაგ სტანდარტებს ადგილი არ ჰქონდეს,"* - განაცხადა დი მარიამ.

მცირე მადრიდულ დერბიში თავი **კრიშტიანო რონალდომ** გამოიჩინა, რომელსაც „ხეტაფესთან" გოლები თითქმის ყოველ შეხვედრაში გააქვს. ამჯერად, პორტუგალიელმა დუბლი შეასრულა და თანაქალაქელთა კარში გატანილი ბურთების რაოდენობა 13-მდე გაზარდა. პრიმერადივიზიონში, „ხეტაფეს" კარში ამდენი გოლი სხვას არავის გაუტანია.

## ატლეტიკოს და სევილიას სერიები

მადრიდის „ატლეტიკო" ყოველი ტურის შემდეგ ამტკიცებს, რომ მზადაა სერიოზული მიზნების გადაჭრაზე იფიქროს. მორიგ ტურში **დიეგო სიმეონეს** სამწყსომ „ვალიადოლიდს" სძლია. „როხიბლანკოდან" განსაკუთრებით კარგად სამმა ფეხბურთელმა ითამაშა: **კოკემ, დიეგო კოშტამ** და **რაულ გარსიამ** საკუთარი გუნდის გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს.

კოკემ ორი საგოლე გადაცემა გააკეთა, რაულ გარსიამ და დიეგო კოშტამ კი მორიგი გოლები გაიტანეს. ბრაზილიელმა ფორვარდმა ყოფილი გუნდის კარი დალაშქრა და ახლა, მის ანგარიშზე უკვე 5 გოლია.

ისევ ვერ მოიგო „სევილიამ". მოგება კი არა, **უნაი ემერის** გუნდმა კვლავ წააგო (1:3, „ვალენსიასთან) და 20-გუნდიან ჩემპიონატში ბოლო ადგილზე დარჩა. ასეთი მძიმე სტარტის მიუხედავად, უნაი ემერი მთავარი მწვრთნელის პოსტს ინარჩუნებს და ანდალუსიელებს „რაიოსთანაც" გაუძლევება. აი, თუ მადრიდულ გუნდსაც ვერ მოუგო, ბასკს, ალბათ, ახალი სამსახურის ძებნა მოუწევს.

## ბასკები კამპ ნოუზე

კატალონიელების და ბასკების დაპირისპირებით დაიხურა მეხუთე ტურიც და ამავე დაპირისპირებით იხსნება მეექვსეც - „ბარსელონა" „სოსიედადს" უმასპინძლებს. ბოლო წლებში, „ანოეტას" ბინადრები „ბარსასთვის" უხერხულ მეტოქედ ჩამოყალიბდნენ. სან სებასტიანში გამართული ბოლო სამი მატჩიდან „სოსიედადმა" ორი მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა, თუმცა ბარსელონაში გამართული მატჩების მხრივ სულ სხვა სურათია: 1996 წლიდან მოყოლებული გუნდები „კამპ ნოუზე" ერთამენთს სულ 15-ჯერ შეხვდნენ და მასპინძლებმა 15-ვე მატჩი მოიგეს.

„ბარსელონას" ამ შეხვედრისთვის **სერხიო ბუსკეტსი** უბრუნდება, რომელმაც წინა თამაში გამოტოვა, სამაგიეროდ არ იქნება **სესკ ფაბრეგასი**, ვინც „რაიოსთან" მცირე დაზიანება მიიღო და ხერარდო მარტინო მას დასვენების საშუალებას მისცემს.

„სოსიედადს" ჩემპიონატში დამაჯერებელი სტარტი არ გამოუვიდა - 6 ქულა 5 ტურში არაა ის შედეგი, რომელზეც ბასკი ქომაგები იოცნებებდნენ. ქულათა მარაგის შევსება სან სებასტიანელებს ამ ტურშიც ძალიან გაუჭირდებათ.

## გააგრძელებს ატლეტიკო წინსვლას?

მეორე ადგილზე მყოფი და ასევე 15 ქულის მქონე „ატლეტიკო" „ოსასუნას" უმასპინძლებს და მორიგი გამარჯვების მოპოვებას ეცდება. პამპლონელებს დედაქალაქელები 2009 წლის შემდეგ არ დაუმარცხებიათ, ბოლო სამი ურთიერთშეხვედრა კი „ატლეტიკოს" გამარჯვებით დასრულდა. მასპინძლებს საკადრო პრობლემა არ აწუხებთ, „ოსასუნას" კი ბევრი მოთამაშე აკლია, რაც გუნდის სატურნირო მდგომარეობაზეც ადეკვატურად აისახება.

დიეგო კოშტა, რაულ გარსია, კოკე და მადრიდელთა სხვა ფეხბურთელები შესანიშნავ ფორმაში არიან და წესით, „როხიბლანკომ" წარმატებული სვლა უნდა გააგრძელოს.

ასევე, დღეს ითამაშებს გამოღვიძებული „მალაგა", რომელმაც ბოლო 3 ტურში 5 ქულა დააგროვა. **ბერნდ შუსტერის** შეგირდები „ალმერიას" უმასპინძლებენ, ვისაც ჯერ თამაში არ მოუგია, ვალენსიაში კი 4-მატჩიანი წაუგებელი სერიის მქონე „ლევანტე" „ვალიადოლიდს" დახვდება და სერიის გაგრძელებას ეცდება.

### 24 სექტემბერი

**ბარსელონა-სოსიედადი 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ალბა, აფელაი, კუენკა, პუიოლი - გრანერო, ელუსტონდო, იფრანი

ურთიერთშეხვედრები
**სულ 34 თამაში: +21 =8 -5 (73:28)**

**ლევანტე-ვალიადოლიდი 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** პედრო ლოპესი, რუბენ გარსია - ა. რუბიო, მარკ ვალიენტე, დ. ლარსონი, ვიქტორ პერესი

ურთიერთშეხვედრები
**სულ 6 თამაში: +2 =1 -3 (7:11)**

**მალაგა-ალმერია 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ველიგტონი (მალაგა)

ურთიერთშეხვედრები
**სულ 10 თამაში: +4 =3 -3 (13:12)**

**ატლეტიკო-ოსასუნა 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ადრიანი - სეხუდო, ეჩაიდე, დე ლას კუევასი, ფლანიო, ნინო

ურთიერთშეხვედრები
**სულ 28 თამაში: +12 =5 -11 (31:28)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 5 | 5 | 0 | 0 | 18-4 | 15 |
| 2. ატლეტიკო | 5 | 5 | 0 | 0 | 16-4 | 15 |
| 3. რეალი | 5 | 4 | 1 | 0 | 12-5 | 13 |
| 4. ვილიარეალი | 5 | 3 | 2 | 0 | 10-5 | 11 |
| 5. ესპანიოლი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-5 | 11 |
| 6. ბილბაო | 5 | 3 | 0 | 2 | 10-9 | 9 |
| 7. სოსიედადი | 5 | 1 | 3 | 1 | 4-3 | 6 |
| 8. სელტა | 5 | 1 | 3 | 1 | 7-7 | 6 |
| 9. ვალენსია | 5 | 2 | 0 | 3 | 8-10 | 6 |
| 10. ლევანტე | 5 | 1 | 3 | 1 | 4-10 | 6 |
| 11. მალაგა | 5 | 1 | 2 | 2 | 7-4 | 5 |
| 12. ბეტისი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-5 | 5 |
| 13. გრანადა | 5 | 1 | 2 | 2 | 3-4 | 5 |
| 14. ვალიადოლიდი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-6 | 4 |
| 15. ხეტაფე | 5 | 1 | 1 | 3 | 5-10 | 4 |
| 16. ალმერია | 5 | 0 | 3 | 2 | 10-13 | 3 |
| 17. ელჩე | 5 | 0 | 3 | 2 | 4-8 | 3 |
| 18. ოსასუნა | 5 | 1 | 0 | 4 | 4-10 | 3 |
| 19. ვალეკანო | 5 | 1 | 0 | 4 | 4-16 | 3 |
| 20. სევილია | 5 | 0 | 2 | 3 | 6-11 | 2 |

ბომბარდირები: 6 - მესი (ბარსელონა); 5 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო), პედრო (ბარსელონა); 4 - რაულ გარსია (ატლეტიკო), როდრი (ალმერია), ისკო (რეალი), კრიშტიანო რონალდო (რეალი)

**ტატო ბაციკაძე**

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




ინციდენტები

## 66 დაპატიმრებული სტამბოლში

22 სექტემბერს თურქეთის ჩემპიონატის მე-5 ტურში სტამბოლის დერბი გაიმართა - „ბეშიქთაში" „გალათასარაის" მასპინძლობდა. პირველ ტაიმში პორტუგალიელი **უგო ალმეიდას** გოლით „ბეშიქთაში" დაწინაურდა, მაგრამ მეორეში **დიდიე დროგბამ** ანგარიში გაათანაბრა. 73-ე წუთზე კოტდივუარელმა ფორვარდმა დუბლი შეასრულა. „ბეშიქთაში" აგებდა, ამის გამო განრისხებული ფანები ბოლო წამებზე მოედანზე შევარდნენ.

მსაჯის კომპენსირებულ დროში „გალათასარაის" ბრაზილიელი ნახევარმცველი **ფელიპე მელო** ორი ფეხით ნავიდა **რამონ მოტაზე**, რისთვისაც წითელი ბარათი მიიღო. სწორედ ეს ეპიზოდი აღმოჩნდა არეულობის დაწყების ინსპირატორი.

არბიტრმა ორივე გუნდი გაიყვანა მოედნიდან და თამაშიც შეწყდა.

„ათათურქის ოლიმპიურ სტადიონზე" არეულობა დაიწყო. პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა ფანების დასაშოშმინებლად. თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, **მუამერ გულერის** განცხადებით 66 კაცია დაკავებული.

## ბენფიკას მწვრთნელს საქმე პოლიციასთან აქვს

პორტუგალიის ჩემპიონატის მე-5 ტურის მატჩში ლისაბონის „ბენფიკა" „გიმარაეშს" ესტუმრა და 1:0 მოუგო. 73-ე მასპინძელმა **მატიაშმა** თავის კარში ჩაჭრა ბურთი. 5 ტურის შემდეგ „ბენფიკას" 10 ქულა აქვს. მთავარი მოვლენები კი თამაშის დასრულებისთანავე დაიწყო.

მოედანზე „ბენფიკას" ერთ-ერთი ფანი შევარდა, რათა საყვარელი ფეხბურთელისთვის მაისურა ეთხოვა, მაგრამ პოლიციამ ფანის დაკავება გადაწყვიტა. აქ ჩაერია „ბენფიკას" მწვრთნელი **ჟოზე ჟეზუში** და ფანი დაიცვა პოლიციისგან.

ამის მიუხედავად, სამართალდამცავებმა მწვრთნელი ინციდენტს მოაცილეს და ფანი მაინც დააკავეს. ხოლო ჟეზუშს საქმე ცუდად აქვს - მას პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა ედება ბრალად. ფულადი ჯარიმის გარდა, მას შეიძლება დისკვალიფიკაციაც მიუსაჯონ (მაქსიმუმ, სამი წლით).

*„ერთი წუთითაც არ მიფიქრია, რა უნდა გამეკეთებინა - ყოველთვის დავიცავ „ბენფიკას" ფეხბურთელებს და ფანებს"* - არ ტყდება ჟეზუში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ჟოზე ჟეზუში: „ბენფიკას" ფეხბურთელებს და ფანებს ყოველთვის დავიცავ



ბრაზილია. სერია A. XXIII ტური

# ბოტაფოგოს მოულოდნელი მარცხი

**ფლუმინენსე-კორიტიბა 1:1**

გოლები: 0:1 ლინკოლნი (31), 1:1 გუმი (51)
გაძევება: რაფინია (90. ფლუმინენსე)

**ბოტაფოგო-ბაია 1:2**

გოლები: 1:0 ედილსონი (31), 1:1 ფერნანდაო (81), 1:2 ობინა (86)

**ინტერნასიონ.-პორტუგეზა 0:1**

გოლი: 0:1 ვანდერსონი (86)
გაძევება: ინდიო (49. ინტერნასიონალი)

**გოიასი-სან პაულო 1:0**

გოლი: 1:0 როდრიგო (90)

**ატლ. მინეირო-ვასკო 2:1**

გოლები: 1:0 ფერნანდინიო (3), 2:0 რონალდინიო (19), 2:1 დაკსონი (72)

**ატლ. პარანაენსე-პონტე პრეტა 1:0**

გოლი: 1:0 პაულო ბაიერი (11)

**სანტოსი-კრისიუმა 2:1**

გოლები: 1:0 ტიაგო რიბეირო (20), 2:0 ვილიან ჟოზე (42), 2:1 ლეონარდო მოურა (79)

ვიტორია-გრემიო 0:0
კორინთიანსი-კრუზეირო 0:0
ნაუტიკო-ფლამენგო 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კრუზეირო | 23 | 15 | 5 | 3 | 48-19 | 50 |
| 2. ბოტაფოგო | 23 | 12 | 6 | 5 | 36-27 | 42 |
| 3. ატლ. პარან. | 23 | 11 | 8 | 4 | 40-28 | 41 |
| 4. გრემიო | 23 | 11 | 6 | 6 | 29-21 | 39 |
| 5. ინტერნასიონ. | 23 | 8 | 10 | 5 | 35-32 | 34 |
| 6. გოიასი | 23 | 8 | 9 | 6 | 25-27 | 33 |
| 7. სანტოსი | 22 | 8 | 8 | 6 | 27-21 | 32 |
| 8. ატლ. მინეირო | 22 | 8 | 7 | 7 | 24-24 | 31 |
| 9. ვიტორია | 23 | 8 | 7 | 8 | 29-31 | 31 |
| 10. ბაია | 23 | 8 | 7 | 8 | 26-29 | 31 |
| 11. კორინთიანსი | 23 | 7 | 10 | 6 | 20-13 | 31 |
| 12. კორიტიბა | 23 | 7 | 10 | 6 | 28-28 | 31 |
| 13. ფლუმინენსე | 23 | 8 | 6 | 9 | 28-30 | 30 |
| 14. პორტუგეზა | 23 | 7 | 7 | 9 | 33-34 | 28 |
| 15. სან პაულო | 23 | 7 | 6 | 10 | 21-23 | 27 |
| 16. ფლამენგო | 23 | 6 | 9 | 8 | 24-29 | 27 |
| 17. კრისიუმა | 23 | 7 | 3 | 13 | 29-38 | 24 |
| 18. ვასკო | 23 | 6 | 6 | 11 | 31-40 | 24 |
| 19. პონტე პრეტა | 22 | 5 | 4 | 13 | 23-33 | 19 |
| 20. ნაუტიკო | 22 | 2 | 4 | 16 | 10-39 | 10 |

**ბომბარდირები:** 13 - ედერსონი (ატლეტიკო პარანაენსე); 11 - ვილიამი (პონტე პრეტა); 10 - ალექსი (კორიტიბა), ფერნანდაო (ბაია); 9 - ანდრე (ვასკო და გამა)

**14 გოლი 10 შეხვედრაში - ბრაზილიის ჩემპიონატის მორიგი ტური ძალიან მწირგოლიანი გამოდგა, თუმცა, მიუხედავად ამისა, საინტერესო მოვლენებს და შემთხვევებს ადგილი მაინც უხვად ჰქონდა...**



„ბაიას“ ფეხბურთელები ობინას (მარჯვნივ) გოლს ულოცავენ

## კრუზეირომ ვერ მოიგო, მაგრამ...

ჩემპიონატის ლიდერმა ქულები დაკარგა და 8-მატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მდევართან სხვაობა მაინც გაზარდა. „კრუზეიროს“ მთავარმა კონკურენტმა შინ „ბაია“ მიიღო და ძალიან მოულოდნელად, 1:2 დამარცხდა.

თავიდან ყველაფერი ლოგიკურად დაიწყო - **ოსვალდო დე ოლივეირას** გუნდი უპირატესობას ფლობდა და 31-ე წუთზე **ედილსონის** გოლით დაწინაურდა კიდეც. პირველი ტაიმის შემდეგ მოედანი **კლარენს ზეედორფმა** დატოვა და მის ნაცვლად თამაშში ახალგაზრდა **იური** ჩაერთო. სიტუაცია ამის შემდეგ შეიცვალა. თამაშმა მასპინძელთა ნახევარზე გადაინაცვლა, რაზეც დარტყმების რაოდენობაც მეტყველებს: 23-11-ის წინააღმდეგ „ბაიას“ სასარგებლოდ. საბოლოოდ, სტუმართა შეტევებმა შედეგი მატჩის ბოლო 10 წუთში გამოიღო. ჯერ გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა **ფერნანდაომ** იხეირა, რამდენიმე წუთში კი გოლი „პალმეირასიდან“ გადმოსულმა **ობინამ** გაიტანა. აღსანიშნავია **ვალისონის** კარგი თამაში, რომელმაც ორივე ეპიზოდში საგოლე გადაცემა მიითვალა.

„ბოტაფოგოს“ მარცხი სენსაციად კი შევრაცხეთ, მაგრამ თუ ამ გუნდების ბოლო წლების შეხვედრებს გადავხედავთ, შესაძლოა, ასე აღარც ვიფიქროთ. „ბაიამ“ „ფოგოს“ ზედიზედ მესამედ მოუგო და საერთოდ, ურთიერთშეხვედრებშიც უპირატესობას სწორედ ბრაზილიის 2-გზის ჩემპიონი ფლობს: 35 მატჩიდან „ბაიამ“ 12 მოიგო, „ბოტაფოგოს“ ანგარიშზე კი 10 გამარჯვებაა.

ტურის ცენტრალური მატჩი კი გოლების გარეშე დასრულდა. „კორინთიანსი“ და „კრუზეირო“ ერთმანეთს 57-ედ ხვდებოდნენ და აბსოლუტურად თანაბარი ბალანსი (21-21 მოგება და 14 ფრე) არ შეცვლილა. თუ „კრუზეიროს“ ხანგრძლივი დაუმარცხებელი სერია ჰქონდა, „ტიმაო“ აშკარად კრიზისშია. ამ შეხვედრის ჩათვლით, **ტიტეს** გუნდს უკვე 6 მატჩია, არ უმარჯვია, თანაც საკმაოდ კარგი თავდამსხმელების ყოლის მიუხედავად, „კორინთიანსმა“ ამ 6 შეხვედრაში მხოლოდ 1 გოლი გაიტანა.

## ვეტერანის წყალობით

„ატლეტიკო პარანაენსემ“ ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე გადავიდა. ახლა, **ვაგნერ მანჩინის** შეგირდები „ბოტაფოგოს“ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებიან. მორიგ ტურში, სერია A-ს დებიუტანტმა, ერთ-ერთ აუტსაიდერ „პონტე პრეტას“ უმასპინძლა და 38 წლის **პაულო ბაიერის** გოლის წყალობით მოუგო. ვეტერანმა ნახევარმცველმა სეზონში უკვე მეხუთე ბურთი გაიტანა და საკუთარი გუნდის ბომბარდირთა დავაში მეორე პოზიცია გაიმყარა. ისევ ვერ მოახერხა თავის გამოჩენა ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერმა **ედერსონმა**, ვინც ბოლო 6 ტურში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა.

## ვასკოს თავისუფალი ვარდნა

მიჯრით მეოთხე მატჩი წააგო „ვასკო და გამამ“ და გავარდნაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. **დორივალ ჟუნიორის** გუნდი „ატლეტიკო მინეიროსთან“ დამარცხდა, რომლის რიგებშიც თავი **ფერნანდინიომ** და **რონალდინიომ** გამოიჩინეს. გაუჩო საერთოდ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა, რადგან გოლის გარდა, აქტივში საგოლე პასიც ჩაიწერა.

ბოლო 4 ტურში მოპოვებული სამი გამარჯვების წყალობით, 2013 წლის ლიბერტადორესის თასის გამარჯვებული უკვე მე-8 ადგილზე გადავიდა და მეხუთეზე მყოფ „ინტერნასიონალს“ მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება.

ამ უკანასკნელის არასტაბილური თამაში კი მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი მოულოდნელობაა. რეალურად, **დუნგას** ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ „ინტერი“ მიჯრით რამდენიმე მატჩის მოგებას ვერაფრით ახერხებს.

ამჯერად, ბრაზილიის სამგზის ჩემპიონი „პორტუგეზასთან“ დამარცხდა, რაც ტურის ერთ-ერთ სენსაციად უნდა მივიჩნიოთ. მართალია, „ინტერს“ ტრავმირებული **დიეგო ფორლანი** აკლდა, მაგრამ შემადგენლობაში იყვნენ „ბაიერის“ და „რომას“ ყოფილი მცველი **ჟუანი**, „სპარტაკის“ და „კორინთიანსის“ ყოფილი ნახევარმცველი **ალექსი, ლეანდრო დამიაოა, ანდრეს დალესანდრო**, ცვლილებაზე გამოვიდა არგენტინის ბოლო ორი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **იგნასიო სკოკო**... გუნდმა კი მაინც წააგო. „პორტუგეზას“ მხრიდან გოლი გუნდის ახალწვეულმა **ვენდერსონმა** გაიტანა, რომელიც ახალ კლუბში მხოლოდ მეორე შეხვედრას ატარებდა. სხვათა შორის, ამ გუნდს „ინტერთან“ უკვე 4 მატჩია არ წაუგია, რისი წყალობითაც ურთიერთშეხვედრებში ბალანსი გათანაბრდა: 13 მატჩი „ინტერნასიონალმა“ მოიგო, 13 „პორტუგეზამ“, 6 შეხვედრა კი ფრედ დასრულდა.

**ტატო ბაციკაძე**

ამბები



რობინ ვან პერსი

## ვან პერსი მზად უნდა იყოს

ხვალ „ოლდ ტრეფორდზე“ დიდი მატჩია: „მანჩესტერ იუნაიტედი“ ლიგის თასზე „ლივერპულს“ უმასპინძლებს. „წითელი ეშმაკების“ თავდასხმის ლიდერმა **რობინ ვან პერსიმ** უქმეებზე „მანჩესტერ სიტისთან“ შეხვედრა საზარდულის ტრავმის გამო გამოტოვა. ექიმების თქმით, 30 წლის ჰოლანდიელი მერსისაიდელებთან შეძლებს მოედანზე გასვლას. *„ვან პერსის გამოჯანმრთელებას კვირასაც ბოლო მომენტამდე ველოდით. სერიოზული არაფერი იყო, თუმცა რისკს მოვერიდეთ. მომავალ თამაშებში კი რობინი ძირითადში იქნება,“* - განაცხადა **დევიდ მოიესმა**.

## მატას ბენიტესი თავისთან უხმობს

**ჟოზე მოურინიოსა** და **ხუან მატას** შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობებზე იმდენი იწერება, რომ „ჩელსის“ თავკაცი იძულებული გახდა, კომენტარი გაეკეთებინა. პორტუგალიელი ესპანელ შეგირდს ლიგის თასზე „სუინდონთან“ მატჩში ძირითადში დაყენებას შეჰპირდა. ჩნდება ცნობები, რომ ხუანის აგენტი იანვარში ფეხბურთელს ახალ გუნდში მოწყობის პირობას აძლევს. ერთ-ერთი ყველაზე რეალური ვარიანტი მატას „ნაპოლიში“ გადასვლაა. იტალიურ გრანდს „ჩელსის“ ყოფილი თავკაცი **რაფა ბენიტესი** წვრთნის. „ჩელსის“ 25 წლის ვარსკვლავის გადაბირების პრეტენდენტთა შორის სახელდება მადრიდის „რეალიც“. ექსპერტთა გათვლებით, მატას ტრანსფერი მინიმუმ 40 მილიონი ევრო დაჯდება.

## სტერლინგი ციხეს გადაურჩა

„ლივერპულის“ 18 წლის ფეხბურთელი **რაჰემ სტერლინგი** სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო 20 წლის ყოფილი მეგობარი გოგონას **შეინ ენ როუზის** ფიზიკურ შეურაცხყოფაში. გაუგებრობა სულ რაღაც თვე-ნახევრის წინ, მის ბრიტანეთის ტიტულის მფლობელის დაბადების დღეზე მოხდა. ქალაქგარეთ გასეირნების შემდეგ წყვილი ლივერპულში ბრუნდებოდა, როცა შეინმა რაჰემის ტელეფონში საეჭვო შინაარსის ტექსტური შეტყობინება ნახა, რასაც დიდი სკანდალი მოჰყვა. გოგონამ პოლიციას განუცხადა, რომ რაჰემმა მას მანქანაშივე ორჯერ ჩაარტყა მუშტი. პოლიციამ ფეხბურთელი რამდენიმე საათში დააკავა. მოსამართლის შეფასებით, დაზარალებულის ჩვენებები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა, გამოძიების მიერ მოკვლეული სხვა მტკიცებულებებით კი არასაკმარისი იყო მსჯავრის დასადებად. „ლივერპულის“ პრესსამსახურის განცხადებით, აღნიშნული საქმეს ფეხბურთთან კავშირი არ აქვს და შესაბამისად, კლუბი საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას არ აპირებს.

**ლევან ბიბილაშვილი**

## ბეილის ბარძაყი

ესპანეთის ჩემპიონატში მადრიდული დერბის წინ **გარეთ ბეილი მადრიდის** „რეალის“ სასტარტო შემადგენლობაში იყო „ხეტაფესთან“ შეხვედრაში, მაგრამ უელსელმა მატჩისწინა გახურებაზე ბარძაყი დაიშავა. მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, გარეთ ბეილი სასწრაფოდ შეეცვალა - მან „ხეტაფესთან“ 4:1 დასრულებულ შეხვედრაში მონაწილეობა ვერ მიიღო. დერბიში ორი გოლი **კრიშტიანო რონალდოს** ანგარიშზეა.

**კარლო ანჩელოტი** იმედოვნებს, რომ გარეთი მადრიდული დერბისთვის მწყობრში იქნება „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ. ეს თამაში კი 29 სექტემბერსაა დანიშნული.

ესპანური პრესის ცნობით, ბეილი აუცილებლად გამოტოვებს „ელჩესთან“ მატჩს. ექიმთა მტკიცებით, მას ჯერ კიდევ აქვს შანსი „ატლეტიკოსთან“ მატჩისთვის გამოჯანმრთელობისთვის.

## ინიესტა გრანდებს სურთ

**ანდრეს ინიესტა** არ თანხმდება „ბარსელონას“ კონტრაქტის გაგრძელებაზე. მიზეზი ფინანსური საკითხია. 29 წლის ნახევარმცველს „ბარსელონასთან“ 2015 წლის ზაფხულამდე აკავშირებს კონტრაქტი. „მარკას“ ცნობით, ინიესტამ უარი თქვა ახალ კონტრაქტზე, რომლის მიხედვითაც მას წელიწადში 12 მილიონი ევრო უნდა მიეღო.

ანდრესს კი სურს, ახალი პირობებით წელიწადში 17 მილიონი ევრო მიიღოს.

„ბარსელონასა“ და მისი მოწინავე ფეხბურთელის შეუთანხმებლობამ ეგრევე გააჩინა ხმები, რომ მოსალოდნელია მისი ტრანსფერი სხვა გრანდებში.

ესპანური პრესა ირწმუნება, რომ მისით „ბაიერნის“ თავკაცი **ხოსეპ გვარდიოლაა** დაინტერესებული. ასევე ინიესტას ხელში ჩაგდება „მანჩესტერ იუნაიტედს“ და „მანჩესტერ სიტისაც“ სურთ. „ტრანსფერმარკტის“ ცნობით, ინიესტას საბაზრო ფასი 65 მილიონი ევროა.

## პსჟ-მ მოწინავე მცველი თვე-ნახევრით დაკარგა

საფრანგეთის ჩემპიონატის ტურის ცენტრალურ მატჩში „პარი სენ-ჟერმენსა“ და „მონაკოს“ შორის (1:1) ტრავმა მიიღო **ტიაგო სილვამ**. 29 წლის ტიაგო სილვამ მოედანზე სულ 15 წუთი გასტანა, შემდეგ კი მოედნის დატოვებამ მოუწია.

პსჟ-ს ექიმთა პირველადი დასკვნით ბრაზილიელ მცველს თვე-ნახევარი უქმობა მოუწევს. *„მას სათანადო ტესტირებას ჩაუტარებენ, ტიაგოს კუნთის პრობლემა აქვს. სამწუხაროდ, მგონი მოგვიწევს გარკვეული დრო მის გარეშე თამაში“,* - განაცხადა პსჟ-ს თავკაცმა **ლორან ბლანმა**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ტიაგო სილვამ კუნთი „მონაკოსთან“ მატჩში გაიწყვიტა

იტალია. სერია A. IV ტურის შეჯამება და V ტურის წინ

# მოკეტე, რა!

**სერია A-ს მეოთხე ტურმა ჩაიარა და მეხუთეც, აგერ, ყურის ძირშია - დღეს „უდინეზე“-„ჯენოა“ შუა კვირის ბრძოლებს გახსნიან. მანამდე კი გასული უქმეების საინტერესო მოვლენებს შევეხოთ.**

## ეჰ, მარიო, მარიო...

**მარიო ბალოტელიმ** პროფესიულ კარიერაში პირველი 11-მეტრიანი გააფუჭა. „ნაპოლის“ მეკარე **პეპე რეინამ** მას კუთხე გამოუცნო და ბურთი ნახტომში მოიგერია. ნამატჩევს რეინა დაიტრაბახებს - ბალოტელის პენალტები შესწავლილი მქონდაო. არადა, „ბალოს“ აქამდე, 22 უშეცდომო დარტყმა ჰქონდა შესრულებული, მათ შორის 10 - სერია A-ში.

რეინას კი, ბალოტელის პენალტებზე რომ უმეცადინია, ეტყობა აქამდე არაფერი სმენოდა (თუ ენახა) მის „მოჭრილ“ დარტყმებზე, რასაც მატჩის ბოლოს ვერაფერი მოუხერხა და „მილანს“ თამაშის გადარჩენის შანსი გაუჩნდა, თუმცა ის საღამო მაინც „ნაპოლისა“ იყო...

თან ეს „ნაპოლიც“ რაღაც წყევლასავითაა ბალოტელისთვის. „მილანამდე“ მას „ინტერშიც“ უთამაშია და „მანჩესტერ სიტიშიც“, მაგრამ სადაც კი „ნაპოლის“ გადაყრია, ყველგან წაუგია...

საფინალო სასტვენის შემდეგ თითქოს დამშვიდებული ვნებები ისევ ბალოტელიმ აადუღა. ერთი ყვითელი ბარათი თამაშისას ჰქონდა მიღებული და იმდენი ქნა, არბიტრთან საქმის გარჩევით მეორეც „გაიჩალიჩა“. მთავარი ფორვარდის წითელი ბარათი და 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია (გასაჩივრების უფლებით) - „მილანს“, რომელსაც თავდასხმის ხაზში ისედაც უჭირს, ეს არაფერში სჭირდებოდა.

ბალოტელის საქციელმა მუდამ გაწონასწორებული **მასიმო ალეგრიც** კი გამოიყვანა წყობიდან. „მილანის“ თავკაცი ყოველთვის ცდილობდა, მარიოს სიგიჟეები რამენაირად გაემართლებინა, მაგრამ კვირას თავი ველარ შეიკავა და პირდაპირ განაცხადა - ბოლოს და ბოლოს, ამ ბიჭმა უნდა მოკეტოსო!

## უფლისწული დუბლით დაბრუნდა

ამ ტურს გმირებიც ჰყავდა, თან არა ერთი, მაგრამ მათგანმაინც **დიეგო მილიტო** გვინდა გამოვარჩიოთ. გახსოვთ 14 თებერვალი? ევროპალიგის მატჩი „ინტერსა“ და „კლუჟს“ შორის და მატჩის მე-7 წუთი - მილიტო იღებს მუხლის ტრავმას და დიდი ხნით გამოდის მწყობრიდან...

„ინტერის“ ყველა უბედურებას მის არყოფნას ვერ დავაბრალებთ, მაგრამ გასული სეზონის ჩაფლავებაში ძირითადი ფორვარდის დაკარგვამაც რომ ითამაშა ერთ-ერთი როლი, ამას მტკიცება რად უნდა...

და აი, „უფლისწული“ კვლავ მოედანზეა. **ვალტერ მაძარიმ** „იუვენტუსთან“ არ ათამაშა, ალბათ, ვერ გარისკა, „სასუოლოსთან“ კი 54-ე წუთიდან აუნთო მწვანე შუქი, ანუ იმ დროისთვის როცა „ინტერს“ უკვე გაცამტვერებული (4:0) ჰყავდა სერია A-ს დებიუტანტი. ჰოდა, მილიტოსაც კარგი მოთელვა უნდა გამოსვლოდა...

გამოუვიდა კიდეც - დუბლი და ძირითადში სწრაფადვე დაბრუნების პერსპექტივა. ცხადია, მილიტოსთან ერთად „ინტერი“ კიდევ უფრო ძლიერი იქნება...



მარიო ბალოტელი „მილანს“ „იუვენტუსთან“ მატჩში დააკლდება

## ვინ იქნება პირველი შერისხული?

დიდი ჩემპიონატებიდან სეზონის სტარტზე სამწვრთნელო ცვლილებებს ძირითადად იტალიიდან ველოდებით ხოლმე. იტალიელი კი მოხსნეს უკვე, მაგრამ „სანდერლენდში“ (**პაოლო დი კანიო**), რაც შეეხება უშუალოდ იტალიურ გუნდს, აქ უმთავრესი კანდიდატი „სასუოლოა“, რომელსაც მწვრთნელად „რომას“ ყოფილი ნახევარმცველი **ეუსებიო დი ფრანჩესკო** ჰყავს.

სტატისტიკა თვალსაჩინოებითვის - „სასუოლომ“ 4 ტურში 15 გოლი გაუშვა, რაც ბოლო 80 წლის განმავლობაში ყველაზე ცუდი შედეგია (1933/34 წლების სეზონში „კაზალემ“ ეს 16-ჯერ „მოახერხა“). პლუს ამას, „სასუოლოს“ ზედიზედ 4 მარცხი არ ჰქონია 2010 წლის მარტის შემდეგ (როცა სერია B-ში ასპარეზობდა).

რაც შეეხება დი ფრანჩესკოს, „ინტერთან“ დარბევის შემდეგ მან თქვა, რომ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებდა. თუმცა არ დაუკონკრეტებია, რას გულისხმობდა ამ პასუხისმგებლობაში.

შესაძლოა, კლუბის ხელმძღვანელობა არც დაელოდოს დი ფრანჩესკოს გადაწყვეტილებას და თავად მიუთითოს კარისკენ, ოღონდ, ეს შუა კვირაში გასამართი ტურის შემდეგ მოხდება. „სასუოლო“ „ნაპოლის“ სტუმრობს და გამოცხადებული კატასტროფის წინ უფროსებს უკვე შეგულებული ჰყოლიათ ორი კანდიდატურა - **დომენიკო დი კარლო** და **სერსე კოზმი**.

### ეს იცოდით?

■ ■ ■ „ნაპოლიმ“ პირველი გამარჯვება მოიპოვა „მილანთან“ გასვლით შეხვედრებში 1986 წლის აპრილის შემდეგ. აქვე ორი დამთხვევაც - „ნაპოლი“ იმ მატჩშიც 2:0-ს იგებდა და „მილანმა“ მოგვიანებით შეძლო პრესტიჟის გოლის გატანა. ნეაპოლელთაგან ერთი ბურთი **დიეგო მარადონამ** შეაგდო.

■ ■ ■ „ფიორენტინასთან“ მარცხის (1:3, 2012 წლის ნოემბერში) შემდეგ „მილანს“ სერია A-ში საკუთარ მოედანზე წაგება არ ჰქონდა. ეს პერიოდი „როსონერიმ“ 11 მოგებითა და 2 ფრით განვლო.

■ ■ ■ პროფესიულ კარიერაში **მარიო ბალოტელიმ** პირველი 11-მეტრიანი გააფუჭა. აქამდე, მას 22 უშეცდომო დარტყმა ჰქონდა შესრულებული, მათ შორის 10 - სერია A-ში. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: უშუალოდ „ნაპოლის“ წინააღმდეგ ბალოტელი არასოდეს ყოფილა გამარჯვებული მაშინაც, როცა „ინტერსა“ და „მანჩესტერ სიტიში“ თამაშობდა.

■ ■ ■ **მიგელ ანხელ ბრიტოსმა** („ნაპოლი“) სერია A-ში ბოლოს 2012 წლის 13 თებერვალს გაიტანა („ნაპოლი“-„კიევო“ 2:0).

■ ■ ■ პირველი 4 ტურის შემდეგ „რომა“ არ ყოფილა ცხრილის სათავეში 2007/08 წლების სეზონის მერე. ამას გარდა, „ჯალოროსის“ 4 ტურის შემდეგ 100-პროცენტიანი შედეგი მანამდე მხოლოდ ორჯერ - 1952/53 და 1960/61 წლების სეზონში ჰქონდა.

■ ■ ■ „რომა“-„ლაციო“ იყო სერია A-ს პირველი რომაული დერბი, რომელიც სექტემბერში ჩატარდა. ბოლო 6-დან ოთხ „საგარეო“ დერბიში „ლაციოს“ ერთი გოლიც არ აქვს გატანილი. ამას გარდა, „ლაციალეს“ მცველი **ანდრე დიასი** გახდა მე-16 ფეხბურთელი („ლაციო“ 9, „რომა“ 7), რომელიც ბოლო 11 რომაულ დერბიში მოედნიდან გააძევეს.

■ ■ ■ აღმოჩნდა, რომ „ფიორენტინას“ ფორვარდ **ჯუზეპე როსის** გოლები ყოველ 94 წუთში გააქვს. ამ სეზონში მის ანგარიშზე (ყველა ტურნირის გათვალისწინებით) 5 გოლია (4 სერია A-ში, ერთიც ევროპალიგაში). გოლების სიხშირით როსი უსწრებს **გონსალო იგუაინს** (გოლი ყოველ 106 წუთში), **კარლოს ტევესსა** (139) და **მარიო ბალოტელის** (161).

■ ■ ■ **ფედერიკო ბალცარეტის** („რომა“) სერია A-ში გოლი არ ჰქონდა გატანილი 2011 წლის აპრილის მერე („პალერმო“-„ნაპოლი“ 2:1. მაშინ ბალცარეტი „პალერმოს“ ღირსებას იცავდა).

■ ■ ■ „რომას“ მიერ პირველ 4 ტურში გატანილი 10 გოლიდან ყველა მეორე ტაიმზე მოდის.

■ ■ ■ აქამდე, სერია A-ს ყველაზე უილბლო დებიუტანტი, რომელსაც 4 ტურის შემდეგ 1 ქულაც არ ჰქონდა, „ტრევიზო“ იყო (2005/06).

■ ■ ■ „სასუოლოსთან“ 7:0 „ინტერის“ ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით მოგებული საგარეო შეხვედრაა სერია A-ს ეგიდით. აქამდე, იტალიის მთავარ ლიგაში ანალოგიური გასვლითი შოუ მოაწყვეს „იუვენტუსმა“ („პრო პატრიასთან“, 1950 წლის 10 სექტემბერს) და „უდინეზემ“ („პალერმოსთან“, 2011 წლის 27 თებერვალს). რეკორდი კი ეკუთვნით „მილანს“, რომელმაც 1955 წელს „ჯენოას“ 8:0 მოუგო, და „პადოვას“ - 1949 წელს, „ვენეციასთან“.

■ ■ ■ „ინტერმა“ სერია A-ში 2700-ე (1339 მოგება, 757 ფრე, 604 წაგება, ბურთები - 4539:2793) მატჩი ჩაატარა. ის იტალიის ერთადერთი კლუბია, რომელსაც მთავარი ლიგის არც ერთი სეზონი არ გაუცდენია.

■ ■ ■ 2002/03 წლების სეზონის შემდეგ, „ინტერი“ გახდა პირველი გუნდი სერია A-ში, რომელმაც სასტარტო 4 ტურში 13 გოლი გაიტანა. ხსენებულ სეზონში ანალოგიური მაჩვენებელი ჰქონდა „მილანსაც“.

■ ■ ■ „უდინეზეს“ ფორვარდმა **მაიკო სუელმა** მიმდინარე სეზონის უსწრაფესი გოლი გაიტანა - მას სულ 150 წამი დასჭირდა იმ „კიევოს“ კარის დასალაშქრად, რომელთანაც უდინელებს სტუმრად 2006 წლის მერე არ ჰქონდათ წაგებული.

■ ■ ■ „ვერონამ“ „იუვენტუსთან“ საგარეო შეხვედრებში (სერია A და B) ზედიზედ მე-9 მარცხი იწვნია, მოყოლებული 1988 წლის 14 თებერვლიდან (0:0).

■ ■ ■ ყველა ტურნირის ჩათვლით „ფიორენტინამ“ ზედიზედ 7 საგარეო შეხვედრა მოიგო. **მანუელ პასკუალიმ** ფლორენციელთა მაისურით 243-ე მატჩი ჩაატარა და ამ მაჩვენებლით „იების“ ლეგენდა **გაბრიელ ბატისტუტას** გაუტოლდა.

■ ■ ■ „ატალანტას“ მწვრთნელ **სტეფანო კოლანტუონოს** უშუალო დაპირისპირებებში არასოდეს დაუმარცხებია „ფიორენტინას“ თავკაცი **ვინჩენცო მონტელა** („ფიორენტინამდე“ „რომასა“ და „კატანიაში“ მუშაობდა) - 1 ფრე, 5 წაგება.

■ ■ ■ „სამპდორიამ“ სერია A-ს ბოლო 15 მატჩიდან მხოლოდ 1 მოიგო (მაისში, „იუვენტუსთან“). „კალიარი“ არ დამარცხებულა „სამპდორიასთან“ ბოლო 10 დაპირისპირებაში (შინ და გარეთ).

■ ■ ■ **ალესიო ჩერჩიმ** („ტორინო“) სერია A-ს ბოლო 6 მატჩში 5 გოლი გაიტანა. „ბოლონიასთან“ გამარჯვებით „ტორინომ“ დაასრულა 9-მატჩიანი მოუგებელი საგარეო სერია - 3 ფრე, 6 მარცხი 20 იანვრიდან 23 სექტემბრამდე. ამას გარდა, „ტორინოს“ ბოლონიაში 1980 წლის მერე არ ჰქონდა მოგებული.

■ ■ ■ „პარმას“ არასოდეს მოუგია „კატანიასთან“ გასვლითი მატჩი - 8 ფრე და 8 მარცხი ყველა ტურნირის ჩათვლით. პლუს ამას, „პარმას“ „კატანიასთან“ ბოლო 10 დაპირისპირებიდან 7-ში გოლი არ გაუტანია. თავად პარმელთა მწვრთნელ **რობერტო დონადონისაც**, როგორც მწვრთნელს, ჯერაც არ გაუმარჯვია „კატანიაში“ - მხოლოდ 2 ქულა 6 მატჩში.

■ ■ ■ „ჯენოამ“ და „ლივორნომ“ სერია A-ს ეგიდით ჩატარებულ 11 ურთიერთდაპირისპირებაში მე-9 ფრე ითამაშეს (პლუს თითო მოგება აქეთ-იქით). თავის მხრივ, „ლივორნომ“ ბოლო 13 საგარეო მატჩში (სერია A და B) მხოლოდ 1 მარცხი იწვნია - 5 მოგება, 7 ფრე.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რომა | 4 | 4 | 0 | 0 | 10-1 | 12 |
| 2. ნაპოლი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-3 | 12 |
| 3. ინტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 13-1 | 10 |
| 4. იუვენტუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-3 | 10 |
| 5. ფიორენტინა | 4 | 3 | 1 | 0 | 10-4 | 10 |
| 6. ლივორნო | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| 7. ტორინო | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 8. ლაციო | 4 | 2 | 0 | 2 | 6-7 | 6 |
| 9. ვერონა | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| 10. კალიარი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-7 | 5 |
| 11. მილანი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-7 | 4 |
| 12. უდინეზე | 4 | 1 | 1 | 2 | 6-6 | 4 |
| 13. ჯენოა | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 14. კიევო | 4 | 1 | 1 | 2 | 4-8 | 4 |
| 15. ატალანტა | 4 | 1 | 0 | 3 | 3-6 | 3 |
| 16. ბოლონია | 4 | 0 | 2 | 2 | 4-8 | 2 |
| 17. სამპდორია | 4 | 0 | 2 | 2 | 4-8 | 2 |
| 18. პარმა | 4 | 0 | 2 | 2 | 2-6 | 2 |
| 19. კატანია | 4 | 0 | 1 | 3 | 1-7 | 1 |
| 20. სასუოლო | 4 | 0 | 0 | 4 | 1-15 | 0 |

**ბომბარდირები:** 4 - ჰამშიკი (ნაპოლი), ჯ. როსი (ფიორენტინა); 3 - კალიეხონი (ნაპოლი), ჩერჩი (ტორინო), პაულინიო (ლივორნო), პალასიო (ინტერი), ტევესი (იუვენტუსი), ვიდალი (იუვენტუსი), ბალოტელი (მილანი), იგუაინი (ნაპოლი).

**ასისტენტები:** 3 - ბონუჩი (იუვენტუსი), ტოტი (რომა); 2- რ. ალვარესი (ინტერი), ჩიგარინი (ატალანტა), გუარინი (ინტერი), იმობილე (ტორინო), მურუ (კალიარი), პიანიჩი (რომა), პოგბა (იუვენტუსი), ვიდალი (იუვენტუსი), სუნიგა (ნაპოლი).

### მომდევნო ტური

**24 სექტემბერი**

**უდინეზე-ჯენოა 22:45**

**დისკვალიფიკაცია:** მარკეზე, მანფრედინი (ჯენ)

**ტრავმა:** დომიცი, ბრკიჩი, პინცი (უდი); ანტონელი, კუცკა (ჯენ)

ურთიერთშეხვედრები

**სულ 38 თამაში: +13=10-15 (62-57)**

**25 სექტემბერი**

ბოლონია-მილანი
კიევო-იუვენტუსი
ლაციო-კატანია
ლივორნო-კალიარი
ნაპოლი-სასუოლო
პარმა-ატალანტა
სამპდორია-რომა
ტორინო-ვერონა

**26 სექტემბერი**

ინტერი-ფიორენტინა

გვერდი მოამზადა
**გიორგი ბელაშვილმა**

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით






ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. V ტურის შეჯამება

# ცისფერი სამოთხე, ალისფერი ჯოჯოხეთი


სიტის სამაია (ნეგრედო, აგუერო, ნასრი)

## ტაქტიკური ანალიზი

პრემიერლიგის V ტურის ცენტრალური მატჩის ტაქტიკური ანალიზისთვის ჩვენს ინგლისელ კოლეგა **მაიკლ კოქსს** დავესესხებით, ვინც მასპინძელთა კოლოსალური უპირატესობის ასახსნელად რამდენიმე ფაქტორს გაუსვა ხაზი. პირველ რიგში ლაპარაკია ფლანგებზე მოპოვებულ უპირატესობაზე. განსაკუთრებით ეფექტური იყო **სამირ ნასრი**. სხვა გარემარბებმა ულიმლამოდ ჩაატარეს შეხვედრა ან მხოლოდ იმ როლით დაკმაყოფილდნენ, რასაც მათგან მწვრთნელები ითხოვდნენ. ფრანგი კი ხშირად იწევდა ცენტრისკენ და თავის გუნდს რიცხობრივ უპირატესობას უზევებდა.

ყველასათვის სიურპრიზი იყო **ალექსანდარ კოლაროვის** ასეთი თამაში. იმის მაგივრად, რომ **ანტონიო ვალენსიას** სერბი საკუთარ ნახევარზე გამოეკეტა, სამხრეთამერიკელს აქეთ უხდებოდა თავდასხმაში მეტოქის ჩართვებთან გამკლავება. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ კოლაროვი არც პასების სიმრავლით გამოირჩეოდა და მით უფრო, ზუსტი გადაცემებით. უბრალოდ, როცა გამოსდიოდა, „იუნაიტედი" მას ვერაფერს უხერხებდა. მასპინძელი გუნდი მთელი თამაშის განმავლობაში სახიფათო მომენტების უმრავლესობას სწორედ საკუთარ მარცხენა ფლანგზე ქმნიდა.

„სიტის" თამაშმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა სუსტი წერტილები მასაც ჰქონდა. მაგალითად, საყრდენი ნახევარმცველების ზონა. **იაია ტურე** და **ფერნანდინიო** ხშირად ტოვებდნენ თავიანთ პოზიციას, სტუმრებს კი ამის გამოყენება შეეძლოთ. ამის დამსახურება იყო, რომ „იუნაიტედში" საუკეთესოდ **უეინ რუნი** დასახელდა.

### მატჩის შემდგომ

**მანუელ პელეგრინი** („მანჩესტერ სიტის" მწვრთნელი): *„უმნიშვნელოვანესი შედეგია. ასეთ ანგარიშს ალბათ არავინ ელოდა, მაგრამ ანგარიშზე მნიშვნელოვანი დღეს თამაშის ხარისხი იყო, რითიც ძალიან კმაყოფილი ვარ. დერბისთვის ყველაფერი ცოტა უცნაურად წარიმართა, თუმცა დღეს აშკარად ჩვენი დღე იყო. უპირატესობას თავიდან ბოლომდე ვფლობდით. ბედნიერი ვიქნები, თუკი ყველა შეხვედრაში ამავე ანგარიშით მოვიგებთ, თუმცა წინსვლის საშუალება ყოველთვის დაგვრჩება. გუნდი ახალ ტაქტიკას სწავლობს და იმედია, ის სულ უფრო გაძლიერდება. „ნიუკასლთან" პირველ ტურში უკვე ვაჩვენეთ, თუ როგორ ვაპირებთ თამაშს. დღეს კი ეს ხელახლა გავიმეორეთ. ვფიქრობ, მეორე ტაიმში ასე არ უნდა გვეჩქარა. საერთოდ ფეხბურთელმა ჩვეულებრივ უნდა ითამაშოს იმის მიუხედავად, თუ რა ანგარიშია ტაბლოზე".*

**დევიდ მოიესი** („მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი): *„ძალიან ცუდად ვითამაშეთ. მეტოქე ჩვენზე სახიფათოდ უტევდა და ბევრად უფრო აგრესიული იყო. „სიტი" თამაშს თავიდან ბოლომდე აკონტროლებდა. ჩვენ უბრალოდ ვერაფერი მოვუხერხეთ მის ნახევარდაცვას და დომინირების საფუძველიც სწორედ ეს გახდა. მიუხედავად ამისა, არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ჩემი ფეხბურთელები ბოლომდე იბრძოდნენ. ამ მარცხს აუცილებლად გადავიტანთ. წინ გრძელი სეზონი გვრჩება. მომდევნო შეხვედრების მოსაგებად ყველაფერს გავაკეთებთ".*

### ტურის ფაქტები

**ნორვიჩი-ასტონ ვილა 0:1**

„ასტონ ვილამ" „კეროუ როუდზე" ზედიზედ მესამე თამაში მოიგო. აქედან ორჯერ ეს გასულ სეზონში მოხდა. პირველად ლიგის თასის 1/4-ფინალში 4:1, შემდეგ უკვე მაისში პრემიერლიგის XXXVI ტურში - 2:1.

გასულ წლამდე „იადონებს" „ვილასთან" შთამბეჭდავი საშინაო სტატისტიკა ჰქონდათ - 14 თამაში, 7 მოგება, 5 ფრე და 2 წაგება.

**ვესტ ჰემი-ევერტონი 2:3**

„ევერტონმა" ზედიზედ მე-12 შეხვედრა არ წააგო „ვესტ ჰემთან". სერიაში შედის არამხოლოდ პრემიერლიგის, არამედ თასის თამაშებიც. ბალანსი ასეთია: 8 მოგება, 4 ფრე.

ლონდონელებმა ლივერპულელებთან უკანასკნელი 6 საშინაო შეხვედრიდან მე-5 დათმეს. 2012/13 წლების სეზონში „ევერტონმა" 2:1 იმარჯვა.

მეტოქეთა უკანასკნელ ოთხ დაპირისპირებაში მსაჯმა ოთხ ფეხბურთელს უჩვენა წითელი ბარათი. აქედან ერთ შეხვედრაში ორჯერ. ამჯერად დროზე ადრე გასახდელში **მარკ ნოუბლი** გაეშურა.

**ნიუკასლი-ჰალ სიტი 2:3**

„ნიუკასლსა" და „ჰალს" შორის მხოლოდ სამი შეხვედრა შედგა პრემიერლიგის ეგიდით. „ვეფხვები" მეორედ ეწვივნენ „სენტ ჯეიმს პარკს" და მეორედაც იმარჯვეს, თანაც ისევ ერთი ბურთის სხვაობით.

**ლივერპული-საუთჰემპტონი 0:1**

გუნდების უკანასკნელ ხუთ შეხვედრაში მხოლოდ მასპინძელი ახერხებდა ქულების მოპოვებას.

„ენფილდზე" ზედიზედ მესამე თამაში დასრულდა მინიმალური ანგარიშით. წინა ორ ჯერზე „ლივერპულმა" იმარჯვა.

შაბათის წაგებამდე „ლივერპულს" უკანასკნელი მარცხი იმავე „საუთჰემპტონთან" ჰქონდა განცდილი. „სენტ მერიზე" მაშინ მასპინძელმა 3:1 მოიგო.

**ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი 3:0**

„ვესტ ბრომვიჩმა" „სანდერლენდი" ზედიზედ მეოთხე შეხვედრაში დაამარცხა. სულ უკანასკნელი 8 თამაშიდან „შავმა კატებმა" 7 წააგეს.

„სანდერლენდს" „ჰაუტორნსზე" უკანასკნელი 31 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი თამაში აქვს მოგებული. ეს 2006 წლის იანვარში მოხდა.

**ჩელსი-ფულჰემი 2:0**

„ფულჰემი" უკანასკნელი 34 წლის განმავლობაში „ჩელსის" 34-ჯერ შეხვდა. აქ შედის როგორც ჩემპიონატის, ისე თასის თამაშები და აქედან მხოლოდ ერთხელ იმარჯვა. ეს 2006 წლის მარტში მოხდა. ერთადერთი გოლი მაშინ **ლუიშ ბოა მორტემ** გაიტანა.

„ჩელსიმ" თანაქალაქელთან „სტემფორდ ბრიჯზე" ბოლოს 1979 წლის ოქტომბერში წააგო 2:0. ის შეხვედრა მეორე ლიგაში გაიმართა. ელიტურ ლიგაში კი „ფულჰემმა" გასვლაზე ბოლოს 1964 წელს მოიგო. მეტოქეთა უკანასკნელი 6-დან 4 თამაში ფრედ დასრულდა.

**არსენალი-სტოკი 3:1**

„არსენალმა" „სტოკთან" შინ უკანასკნელი 6-დან მე-6 შეხვედრა მოიგო „ემირეიტსზე".

„მეთიხეებმა" ბოლოს „მეთოფეები" გასვლაზე 1981 წლის აგვისტოში დაამარცხეს. ეს თამაში „ჰაიბერიზე" გაიმართა. მას მერე მოუგებელმა სერიამ უკვე 12-ს უწია.

**არსენ ვენგერი მარკ ჰიუზს** მწვრთნელის რანგში მე-15 ჯერზე დაუპირისპირდა და აქედან 9-ჯერ იმარჯვა. 4 თამაშში უფრო ძლიერი უელსელი იყო. 2 მატჩი ფრედ დასრულდა.

**კრისტალ პალასი-სუონსი 0:2**

„სუონსიმ" „კრისტალ პალასი" ზედიზედ მეოთხედ დაამარცხა, სულ კი 5 თამაშია მისგან გოლი არ მიუღია. 1920 წელს საფეხბურთო ლიგის დაარსების ჟამს ორივე კლუბი არსებობდა, თუმცა ერთმანეთში მათ სულ 17 თამაში აქვთ გამართული და თანაც კვირას ისტორიაში პირველად შეხვდნენ უმაღლეს ლიგაში.

**სიტი-იუნაიტედი 4:1**

შარშანდელ სეზონში მეტოქეებმა ერთმანეთი გასვლაზე დაამარცხეს. „ეტიჰადზე" თამაში 3:2 დასრულდა, „ოლდ ტრეფორდზე" - 2:1. „იუნაიტედმა" ბოლო 11 თამაშიდან 6-ჯერ იმარჯვა, „სიტიმ" 4-ჯერ, თუმცა 4-დან 2-ჯერ თამაში „ქალაქელებმა" დიდი ანგარიშით მოიგეს 2011/12 წლებში 6:1, ამჯერად - 4:1.

**კარდიფი-ტოტენჰემი 0:2**

1977/78 წლების სეზონიდან მოყოლებული ეს მეტოქეთა პირველი დაპირისპირება იყო. მაშინ ისინი ერთმანეთს ძველ მეორე ლიგაში (ამჟამინდელ ჩემპიონშიპში) შეხვდნენ.

„ტოტენჰემი" „კარდიფს" გასვლაზე 1957 წლიდან მოყოლებული მეექვსედ შეხვდა და პირველად დაამარცხა. უკანასკნელად ისინი ერთმანეთს ასოციაციის თასზე 2007 წელს შეხვდნენ. გასვლაზე 0:0-ის შემდეგ „ტოტენჰემმა" გადათამაშება 4:0 მოიგო.

### სტატისტიკა V ტურის შემდეგ

საუკეთესო ბომბარდირები: 4 - კრისტიან ბენტეკე (ასტონ ვილა), ოლივიე ჟირუ (არსენალი) დენიელ სტარიჯი (ლივერპული); 3 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), იაია ტურე (მანჩესტერ სიტი), აარონ რემსი (არსენალი)

საუკეთესო მეპასეები: 3 - მესუთ იოზილი (არსენალი), 2 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), ალვარო ნეგრედო (მანჩესტერ სიტი), პაბლო საბალეტა (მანჩესტერ სიტი), პაპის სისე (ნიუკასლი), პაბლო ერნანდესი (სუონსი), დონ კოუი (კარდიფი), გაბრიელ აგბონლაჰორი (ასტონ ვილა), მეტ ჯარვისი (ვესტ ჰემი)

### მომდევნო ტური

28 სექტემბერი: ტოტენჰემი-ჩელსი, ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი, ფულჰემი-კარდიფი, ჰალ სიტი-ვესტ ჰემი, მანჩესტერ იუნაიტედი-ვესტ ბრომვიჩი, საუთჰემპტონი-კრისტალ პალასი, სუონსი-არსენალი

29 სექტემბერი: სტოკ სიტი-ნორვიჩი, სანდერლენდი-ლივერპული

30 სექტემბერი: ევერტონი-ნიუკასლი

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




ამბები


პაოლო დი კანიომ „სანდერლენდში" მხოლოდ 13 მატჩი დაჰყო

## დი მატეო დი კანიოს ნაცვლად?

„სანდერლენდის" ოფიციალურმა ვებგვერდმა ინფორმაცია **პაოლო დი კანიოს** პოსტიდან გათავისუფლების შესახებ კვირას გვიან ღამითვე გაავრცელა. რა გახდა ამის მიზეზი, გულშემატკივარმა ისედაც იცის. 45 წლის იტალიელის ხელმძღვანელობით „შავი კატები" პრემიერლიგის საწყის 5 ტურში 4-ჯერ დამარცხდნენ. საშინელ სტარტს თავი რომ დავანებოთ, აპენინელს ურთიერთობა გაუფუჭდა წამყვან ფეხბურთელებთან, რადგან ის საკუთარ შეგირდებს საჯაროდ აკრიტიკებდა. დი კანიოს ყველაზე რეალურ შემცვლელად 2012 წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული მწვრთნელი **რობერტო დი მატეო** მიიჩნევა. „უილიამ ჰილი" ტოტალიზატორზე მოთამაშეებს 1,6 ფსონს სთავაზობს. განიხილება სხვა კანდიდატურებიც. მაგალითად, **ალექს მაკლიში** (5.0), **გუსტავო პოიეტი** (6.0), **ტონი პულისი** (10.0), **ჯანფრანკო ძოლა** (15.0) და **სტივ მაკლარენი** (21.0).

## უოლკოტის ამოუცნობი ტრავმა

„არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა **არსენ ვენგერმა** უქმეებზე „სტოკთან" მოგებული თამაშის შემდეგ ჟურნალისტებთან **თეო უოლკოტის** უთამაშებლობის მიზეზებზე ისაუბრა: *„თეოს მუცლის კუნთები აწუხებს. რამდენად სერიოზულია დაზიანება, ვერაფერს გეტყვით, რადგან ამ კითხვაზე პასუხი ექიმებსაც კი არ აქვთ"*. 24 წლის გარემარბმა დისკომფორტი „მარსელთან" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრის დაწყებამდე იგრძნო, თუმცა ვენგერმა ის მაინც ათამაშა და 78-ე წუთზე იძულებული გახდა, მოედნიდან გაეყვანა. დარჩენილი წუთები მის ნაცვლად **ნაჩო მონრეალმა** ითამაშა.

აქვე გეტყვით, რომ „მეთოფეებს" იანვარში სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე სურთ შემადგენლობის შევსება. ერთ-ერთი, ვისაც ჩრდილოლონდონელები უმიზნებენ, „ბაზელისა" და შვეიცარიის ნაკრების 21 წლის ცენტრალური მცველი **ფაბიან შერია**. ფეხბურთელს მოქმედი კონტრაქტი 2015 წლის ივლისამდე აკავშირებს. ტრანსფერი 7-8 მილიონი ევრო დაჯდება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**


talizi
თმის გადანერგვის ცენტრი
ტაშკენტის 27. ტელ: 2141515
www.talizi.ge

● გერმანია. ბუნდესლიგა. VI ტურის შეჯამება

# გოლუხვი ბუნდესლიგა

## 6 ტური, 54 მატჩი და არც ერთი 0:0 - ბუნდესლიგის ისტორიას ასეთი რამ არ ახსოვს

**მიუხედავად** იმისა, რომ 6 ტურის შემდეგ „ლევერკუზენი" „დორტმუნდს" და „ბაიერნს" მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩება, საფეხბურთო გერმანიაში სერიოზულად შიშობენ, რომ ბუნდესლიგას, ისევე, როგორც ესპანეთის პრიმერადივიზიონს, ორი გუნდის მარათონად გადაქცევის საფრთხე ემუქრება - „ბაიერნის" და „დორტმუნდის", რა თქმა უნდა. ამ მოსაზრებას ნაწილობრივ აქვს არსებობის უფლება, ნაწილობრივ კი იმის ბრალია, რომ „ლევერკუზენს" ჯეროვან პატივს არ სცემენ. ამრიგად, გასული შაბათ-კვირის შემდეგ, გერმანიაში ყველა იმაზე საუბრობდა, რომ „ბაიერნი" „დორტმუნდს" წამოეწია, „ლევერკუზენს" კი, რატომღაც, არავინ ახსენებდა. ყველას გაუხარდა ბასტიან შვაინშტაიგერის დაბრუნება, რომელმაც ტრავმის შემდეგ პირველად ითამაშა ძირითად შემადგენლობაში და გარდა იმისა, რომ გოლი გაიტანა („შალკესთან" ტოპ-მატჩში ანგარიში სწორედ მან გახსნა), რეკორდმაისტერის ნახევარდაცვის შეფადაც მოგვევლინა. რაც შეეხება ტურის სხვა პოზიტიურ და ნეგატიურ ფაქტებს:

### პოზიტივები

- პოზიტივების სიაში მოხვედრას იმსახურებს „ვერდერის" თავდამსხმელი **ნილს პეტერსენიც**, რომელმაც ჩრდილოეთის დერბიში „ვერდერის" წაგებათა და მშრალი სერია დაასრულა - „ჰამბურგის" კარში ორივე გოლის ავტორი პეტერსენია. წინა კვირას პეტერსენი ბრემენელთაგან ყველაზე თვითკრიტიკული გახლდათ და როგორც ხედავთ, თვითკრიტიკა მართლაც პროგრესის პირველი ნაბიჯი ყოფილა.

- „ლევერკუზენმა" „მანჩესტერ იუნაიტედთან" განცდილი მარცხი უმტკივნეულოდ გადაიტანა - „ფარმაცევტებმა" მაინცში ზედმეტად იოლად (4:1) გაიმარჯვეს. ლევერკუზენელთა მწვრთნელი **სამი ჰიიპია** ავსტრალიელ **რობი კრუსს** ენდო და ამ უკანასკნელმაც მადლობა დუბლით გადაუხადა.

- „ლევერკუზენიდან" ასევე პოზიტივების სიაში უნდა ჩავწეროთ **შტეფან კისლინგიც**, რომელიც ამ სეზონშიც საგოლე მანქანაა. ბუნდესლიგის წინა სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა მაინცში მიმდინარე სეზონის მეხუთე გოლი გაიტანა და ისევ ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორია.

- ბუნდესლიგის ისტორიაში პირველად მოხდა ისე, რომ საწყისი ექვსი ტური ისე მიილია, ერთი უგოლო ფრეც კი არ დაფიქსირებულა! შესაბამისად, გერმანიის ჩემპიონატის შეხვედრებში უკვე ძალიან ხშირად გაისმის სტვენა პირველი ტაიმის შემდეგ - თუკი იმ მატჩში 0:0-ია. თუმცა ეს არ ეხება მაინცის პუბლიკას, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები პირველი ნახევრის შემდეგ 0:3-ს აგებდნენ, ფანები საყვარელ კლუბს მაინც მხურვალედ ქომაგობდნენ.

- „ნიურნბერგის" დაცვის ბურჯმა **პერ ნილსონმა** „დორტმუნდთან" თავისი საქმე ხუთიანზე გააკეთა - დაცვაში „ბორუსიას" წინახაზელები არ გაახარა, წინ კი გოლი შეაგდო, რომელმაც ფრანკებს „დორტმუნდთან" უმნიშვნელოვანესი ქულა მოუტანა. მატჩის შემდეგ ნილსონმა აღიარა, რომ გოლის მომენტში ბურთი ხელზე მოხვდა, რაც ასევე აქტივში უნდა ჩავუთვალოთ.

- „გლადბახის" წინახაზელებმა, **რაფაელმა, მაქს კრუზემ, ხუან არანგომ** და **პატრიკ ჰერმანმა** „ბრაუნშვაიგთან" 4:1-ზე მოგებულ შეხვედრაში „ბორუსია პარკის" მომთხოვნ პუბლიკას საუკეთესო სპექტაკლი შესთავაზეს. სამი მატჩი საკუთარ მოედანზე, სამი მოგება, 11 გოლი - „გლადბახი" სახლის გუნდია...

- ...ისევე, როგორც „ჰანოვერი"! „წითლებს" შინ 4 შეხვედრა აქვთ ჩატარებული და ოთხივე მოიგეს, მათი გმირი კი დისკვალიფიკაციამოხდილი **საბოლჩ ჰუსტი** გახდა, რომელმაც „აუგსბურგთან" გამარჯვების გოლი 89-ე წუთზე, პენალტით შეაგდო. ამრიგად, სწორედ უნგრელის დამსახურებაა, რომ „ჰანოვერმა" ბოლო 44 წელიწადში ზედიზედ 4 საშინაო მატჩი პირველად მოიგო.

- „ვოლფსბურგის" ვეტერანმა თავდამსხმელმა **ივიცა ოლიჩმა** „ჰოფენჰაიმთან" 2:1-ზე მოგებულ შეხვედრაში დუბლი შეასრულა და ამ სეზონში გატანილი გოლების აქტივი ოთხამდე გაზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ 34 წლის ოლიჩი ზუსტად ყოფილ კლუბთან, „ბაიერნთან" მატჩის წინ შევიდა ფორმაში.

- 17 წლის **ტიმო ვერნერი** „შტუტგარტის" მომავალია! „ჰოფენჰაიმთან" ორი საგოლე პასის შემდეგ, ახალგაზრდა ფეხბურთელმა „აინტრახტთან" გოლის გატანაც შეძლო და დაამტკიცა, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა 17-წლამდელთა თაობის უნიჭიერეს ტალანტად ტყუილად არ დაასახელა.



17 წლის ტიმო ვერნერი ყველაზე ახალგაზრდა შტუტგარტელია, რომელმაც ბუნდესლიგაში გოლი გაიტანა

### ნეგატივები

- ნეგატივების სერიას კი „შალკე" ხსნის. უფრო სწორად, გელზენკირხენული კლუბის დაცვა, რადგან „შალკემ" ამ სეზონში უკვე მეორედ გაუშვა 4 გოლი. 6 ტურის შემდეგ გელზენკირხენელებს უკვე 13 გოლი აქვთ მიღებული და მათზე უარესი შედეგით მხოლოდ „ჰამბურგი" (17) და „ჰოფენჰაიმი" (15) „დაიკვეხნიან".

- „მაინციც" კრიზისში ჩაიძირა. კარგად დაწყებული სეზონის შემდეგ **თომას ტუხელის** შეგირდები ეტაპობრივად ჩაფლავდნენ და „ლევერკუზენთან" კატასტროფულად გამოიყურებოდნენ (1:4). ამიტომაც თქვა **ნიკოლჩე ნოვესკიმ**, თუ ასე გავაგრძელებთ, მეორე ბუნდესლიგაში დავქვეითდებითო.

- „დორტმუნდის" თავკაცმა **იურგენ კლოპმა** „ნიურნბერგთან" ტაქტიკაც შეცვალა და შემადგენლობაც. 4-3-3 სქემით „ბორუსიას" საგოლე მომენტების შექმნა უჭირდა, ხოლო ახალგაზრდა თავდამსხმელი **მარვინ დუკში** 90 წუთის მანძილზე ბურთს უფრო იშვიათად შეეხო, ვიდრე მოგვიანებით გამოყვანილი **რობერტ ლევანდოვსკი** 25 წუთში.

- „ნიურნბერგს" „დორტმუნდთან" მოგებაც შეეძლო, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ დროში ფრანკების თავდამსხმელმა **ალექსანდერ ესვაინმა** რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. ამიტომაცაა, რომ ესვაინი „ნიურნბერგის" ძირითადში ვერ ხვდება.

- „გლადბახმა" კარგად ითამაშა და არც მიონხენგლადბახელთა საყრდენ ნახევარმცველ **გრანიტ ჯაკას** დაეწუნებოდა რამე, მაგრამ მან მე-6 თამაშში მეხუთე გაფრთხილება მიიღო და დისკვალიფიკაცია აიკიდა. ამით მან **ბერნჰარდ ტრარესის** (მიუნხენ 1860) ანტი-რეკორდი გაიმეორა.

- აუგსბურგელი **საშა მიოლდერსი** ცენტრფორვარდია, მაგრამ უკვე 13 საათია, გოლი არ გაუტანია.

- „შტუტგარტის" გოლეადორ **ვედად იბიშევიჩს** „აინტრახტთან" მატჩის (1:1) დამატებულ წუთებზე შვაბებისთვის უმნიშვნელოვანესი გამარჯვების მოტანა შეეძლო, მაგრამ პენალტი კარს ააცილა. გაგახსენებთ: ვედოს ასეთი რამ წინა სეზონშიც დაემართა, ოღონდ მაშინ თერთმეტმეტრიანი დამატებულ დროში „ვოლფსბურგს" ვერ გაუტანა.

**გოტფრიდ ლენცი**

### სეზონის საუკეთესო ფეხბურთელები

„კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. რაფაელ შეფერი | ნიურნბერგი | 6 | 2.00 |
| 2. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 6 | 2.10 |
| 3. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 6 | 2.30 |
| 4. მაქს კრუზე | გლადბახი | 6 | 2.33 |
| 5. კევინ ფოლანდი | ჰოფენჰაიმი | 6 | 2.33 |
| 6. არიენ რობენი | ბაიერნი | 5 | 2.38 |
| 7. ტონი კროოსი | ბაიერნი | 6 | 2.40 |
| 8. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 6 | 2.42 |
| 9. მარკო როისი | დორტმუნდი | 6 | 2.42 |
| 10. სვენ ულრაიხი | შტუტგარტი | 6 | 2.42 |

| ფეხბურთელი | კლუბი | თ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 6 | 5 | 3 | 8 |
| 2. პიერ-ემერიკ ობამეიანგი | დორტმუნდი | 6 | 5 | 2 | 7 |
| 3. მაქს კრუზე | გლადბახი | 6 | 3 | 4 | 7 |
| 4. სიდნი სემი | ლევერკუზენი | 6 | 4 | 3 | 7 |
| 5. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 6 | 4 | 2 | 6 |
| 6. ალექსანდრუ მაქსიმი | შტუტგარტი | 4 | 2 | 4 | 6 |
| 7. ანტონი მოდესტე | ჰოფენჰაიმი | 6 | 5 | 1 | 6 |
| 8. რობერტო ფირმინო | ჰოფენჰაიმი | 5 | 3 | 3 | 6 |
| 9. კევინ ფოლანდი | ჰოფენჰაიმი | 6 | 4 | 2 | 6 |
| 10. ხუან არანგო | გლადბახი | 6 | 2 | 3 | 5 |

### VI ტურის გმირი

## რობი კრუსი (ლევერკუზენი)



რობი კრუსი „ლევერკუზენში" თავის შანსს დიდხანს და მოთმინებით ელოდა. ამ ტურამდე „ბაიერს" 7 ოფიციალური მატჩი ჰქონდა ჩატარებული, 24 წლის ავსტრალიელს კი მოედანზე მხოლოდ 24 წუთი ჰქონდა გატარებული. მაინცში სამი ჰიიპიამ კრუსი ძირითად შემადგენლობაში გაამწესა და რობიმ, რომელიც „ლევერკუზენში" ზაფხულში დიუსელდორფის „ფორტუნადან" გადავიდა, დუბლი შეასრულა და ერთი საგოლე პასიც მიითვალა.

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით






ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა. ინტერვიუ რევაზ მინდორაშვილთან

# შრომა, მონდომება, ხასიათი

## მინდორაშვილის აზრით, რაც ბიჭებს აკლდათ

**საქართველოს** თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ბუდაპეშტიდან ერთი ბრინჯაოთი დაბრუნდა, რომელიც მძიმეწონოსანმა გენო პეტრიაშვილმა მოიპოვა. კიდევ სამმა ჩვენებურმა ანალოგიური შანსი ვერ გამოიყენა და მეხუთე ადგილს დასჯერდა. სამივე მათგანი ტურნირის დებიუტანტი იყო და, ერთი შეხედვით, ეს ურიგო შედეგი არაა. გუნდურ ჩათვლაში მესამეზეც გავედით, თუმცა როცა ერთის მეტი ჯილდო არ გაქვს, თან უმედლოდ გრჩებიან ვლადიმერ ხინჩეგაშვილისა და დავით მარსაგიშვილის დონის ვარსკვლავები, შედეგით კმაყოფილი ვერ ვიქნებით. ამასთან, გუნდის ჭიდაობის ხარისხმაც ვერ დატოვა კარგი შთაბეჭდილება, ოლონდ ამაზე ნაკრების მთავარ მწვრთნელ რევაზ მინდორაშვილს საწინააღმდეგო აზრი აქვს. როგორ აფასებს ის მსოფლიოს ჩემპიონატს და რას მიიჩნევს ასეთი შედეგის მიზეზად, ამას ქვემორე ინტერვიუდან შეიტყობთ.

**- როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ასეთი არასახარბიელო შედეგი ბუდაპეშტში?**

- საერთოდ, არ მიყვარს მიზეზებზე ლაპარაკი და თავის მართლება, მაგრამ რამდენიმეს დასახელება მაინც შეიძლება. მაგალითად, ზოგიერთმა ლიდერმა წონა შეიცვალა, რასაც ახალი წესებიც დაემატა...

**- თუმცა ახალ წესებთან ადაპტაციისთვის საკმარისი დრო იყო. თან ევროპაზეც ეს წესები მოქმედებდა...**

- გეთანხმებით, რომ დრო იყო, მაგრამ ამას მსაჯთა არაობიექტურობაც დაემატა. მაგალითად. გიორგი ედიშერაშვილს რუს ნარიმან ისრაპილოვთან ერთი სამქულიანი გდება არ შეუფასეს. თუმცა თვითონაც შეცდა, როცა ბოლოსკენ ცოტა აირია და ჭიდაობა ვერ დაალაგა. ლადო ხინჩეგაშვილთან და ლევან ქელეხსაშვილთანაც იყო ფრიად საკამათო ეპიზოდები...

**- ყველაზე მეტად ვინ გაგაწბილათ?**

- ჩემპიონატზე ყველაფერს უნდა ელოდო, მაგრამ ოქროს მედალი ჩემი ყველაზე დიდი სურვილი იყო. შანსიც ჰქონდათ - ედიშერაშვილს, ხინჩეგაშვილს, მარსაგიშვილს, მაგრამ როგორც ტურნირის მიმდინარეობამ დაგვანახა, ჩემპიონობა ყველაზე მეტად ქელეხსაშვილს შეეძლო. შეიძლება ითქვას, ეს ბიჭი პირდაპირ ხაშურის დარბაზიდან წავიყვანეთ მსოფლიოზე, მხოლოდ ერთი ტურნირი იჭიდავა სომხეთში, თუმცა იქაც დავინახე, რომ ოქროსთვის ბრძოლა შეეძლო. ბუდაპეშტში ნახევარფინალში სომეხ ევროპის ჩემპიონთან და ტურნირის მომავალ გამარჯვებულ დავიდ საფარიანთან მსაჯებმა სამი წუთის შემდეგ, პრაქტიკულად, არ აჭიდავეს. სომეხი არც ქულა+გაფრთხილებით დასაჯეს და ლევანმა მინიმალური სხვაობით წააგო. დარწმუნებული ვარ, ქელეხსაშვილს წინ ბევრი წარმატება ელოდება. მან კარგი ხასიათი გამოავლინა, მთელ შეჯიბრებას გაუძლო და წესებსაც კარგად შეეწყო, ეს თვისებები კი ძალიან მნიშვნელოვანია წარმატებისთვის.

**- მსაჯთა ფაქტორზე ხინჩეგაშვილის შემთხვევაშიც შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ, განა ყველაფერი არბიტრთა ბრალია? იყო კი თვითონ მზად ბოლომდე? მას ძალიან კარგი ბადე ჰქონდა და თქვენი აზრით, რატომ ვერ გამოიყენა ეს შანსი?**

- მომხდარის ანალიზი ლადომ თავად უნდა გააკეთოს, ჩემი აზრით კი, ვფიქრობ, შეეძლო ბოლო მომენტში მონღოლი ნიამ-ოჩირ ენკსაიკანის გადაყვანა და ქულის აღება, როცა ფეხში შევიდა. დროც ცოტა რჩებოდა, მაგრამ მაინც უფრო მეტად უნდა მოენდომებინა. მისგან მედალს უეჭველად ველოდით და, ცხადია, არ ვარ კმაყოფილი.

**- მარსაგიშვილმა ისევ გამოავლინა ძველი პრობლემები - კონცენტრაციის დაკარგვა თითქოს მოგებულ შეხვედრაში, ნაკლოვანებები სუნთქვის და ფიზმომზადების მხრივ...**

- მოგეხსენებათ, მოსამზადებელ პერიოდში მარსაგიშვილს ტრავმების გამო გარკვეული დრო, გარკვეული ეტაპები გაუცდა. სამწუხაროდ, ამ პრობლემებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთად იჩინეს თავი... მწვრთნელებმა ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო...

**- ალბათ, გენო პეტრიაშვილი ერთადერთია, ვინც დადებითი ემოციები დაგიტოვათ.**

- არც კი ვიცი, გენოზე რა ვთქვა. წლეულს ამ ბიჭმა გმირობა ჩაიდინა - დიდებში ჯერ ევროპის პრიზიორი გახდა, როცა ჯერ კიდევ 18 წლისა იყო, მერე თავის ასაკში ყველაფერი მოიგო, ახლა კი მსოფლიოზე მოიპოვა ბრინჯაო. იქაც ნახევარფინალში ჰაჯიმურატ გაცალოვთან შემთხვევით დამარცხდა, თორემ დარწმუნებული ვიყავი მის გამარჯვებაში და იგებდა კიდეც. ოღონდ გაცალოვი ძალიან გამოცდილია და ის ერთადერთი შანსიც წარმატებით გამოიყენა, რაც მიეცა. იმ მომენტში გამოცდილებით აჯობა გენოს - შეგნებულად მისცა ხელი, რითაც მოადუნა და დაუხურა გდება.



ფოტო: ჭიდაობის ფედერაცია

რევაზ მინდორაშვილი მომავალზე დაფიქრდა

**- თითქოს გუნდი ადრინდელზე ცოტა უფრო ცუდად გამოიყურებოდა. თუნდაც - ევროპის ჩემპიონატთან შედარებით. ამას რითი ხსნით?**

- გუნდმა არაჩვეულებრივი შეკრება გაიარა ჯერ მთაში - ბაკურიანში, მერე კი ბარში გავაგრძელეთ მზადება. უბრალოდ, ევროპის პირველობა და საერთაშორისო ტურნირები სულ სხვა დონეა, მსოფლიოს ჩემპიონატი კი მათზე ბევრად ძლიერი შეჯიბრებაა. ხინჩეგაშვილზე გეთანხმებით - ცოტა გამოფიტულივით იყო, სხვებზე კი ვერ დაგეთანხმებით, თითქოს ადრინდელზე ცუდად იყვნენ მომზადებულები. თან ბევრი პირველად გამოდიოდა მსოფლიოზე და გამოუცდელებიც იყვნენ. გუნდურში მესამეზე გავედით, რაც მისი სტაბილურობის მანიშნებელია, მომზადების გარეშე კი ამას ვერ შევძლებდით. ფუნქციონალურად ყველა მზად იყო. მაგალითისთვის იაკობ მაქარაშვილი ავილოთ - ექვსი შეხვედრა მოუწია, ყველაში იბრძოლა და გაუძლო ამხელა დატვირთვას. გუნდმა 4 ბრინჯაოსთვის იჭიდავა, რასაც მოუმზადებელი ვერ შეძლებდა.

**- ანუ მწვრთნელთა კორპუსი საკუთარ შეცდომას გამორიცხავთ?**

- გარკვეული შეცდომები ჩვენც დავინახეთ და გამოცდილებაც მივიღეთ - შეჯიბრება ყველაფერს გაჩვენებს. უპირველესად ის დავინახეთ, რომ საჭიროა უფრო მეტი მუშაობა, ხასიათი, მონდომება და თავდადება. ვფიქრობ, ეს თვისებები დაგვაკლდა ბუდაპეშტში. ბიჭებს უფრო მეტი მებრძოლი ხასიათი უნდა გამოევლინათ.

**- თუმცა როცა შესაძლებლობები ბოლომდე არ გყოფნის, მაშინ ამ თვისებებს ვერ გამოავლენ.**

- გეთანხმებით და კიდევ ვიმეორებ, რომ ბევრი შრომაა საჭირო.

**- ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ბიჭებს ტურნირებიც დააკლდათ ანუ არ ეყოთ სატურნირო პრაქტიკა? მათ ხომ წლეულს შედარებით ცოტა იასპარეზეს.**

- არ მიმაჩნია ასე. ახლანდელი მიდგომით, ვინც მოიგებს შესარჩევ შეჯიბრებას, დიდი შანსია, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზეც ის წავიდეს. ასეთი მიდგომა შედეგს აუცილებლად გამოიღებს, რადგან შრომა არავის დაეკარგება. თან თაობათა ცვლა ხდება და ახლები მოდიან.

**- ანუ ნაკრების დაკომპლექტების ახლანდელი წესი გამართლებულად მიგაჩნიათ, როცა კონკრეტული ტურნირის ჩემპიონები ნაკრებში ინაღდებენ ადგილს?**

- ამ მსოფლიოსთვის მარსაგიშვილზე გამონაკლისი დავუშვით. შანსი ყველას ეძლევა, თუმცა უპირატესობა იმ ტურნირის ჩემპიონებს ენიჭებათ, ოღონდ მაინც მგონია, რომ ეს მიდგომაც შესაცვლელია.

**- ფედერაციის პრეზიდენტს ლუკა კურტანიძეს უცხოურ მედიასთან არ დაუმალავს გაწბილება ამ შედეგის გამო. ალბათ, ფედერაციის ხელმძღვანელები თქვენც გაგესაუბრებოდნენ...**

- არა, ჯერ არ გვისაუბრია და არც ის ვიცი, რა თქვა პრეზიდენტმა უცხოურ მედიასთან. სულ ორი დღეა, რაც თბილისში დავბრუნდით, ხელმძღვანელობა ამ დღეებში ჩამოვა ბუდაპეშტიდან და დავილაპარაკებთ, გავაანალიზებთ ყველაფერს.

**ირაკლი თავაძე**

ძალოსნობა

# ტალინური ოქრო და ორი ვერცხლი




**ესტონეთის** დედაქალაქში დაიწყო 20 და 23-წლამდელ ძალოსანთა ევროპის პირველობა, რომელშიც საასპარეზოდ საქართველოს შვიდი წარმომადგენელი გაემგზავრა: 20-წლიანებში - **რამინ შამილიშვილი** (აჭარა, 62 კგ), **შოთა მიშველიძე** (ქუთაისი, 69), **ირაკლი გაბრიჭიძე** (საჩხერე, 77), **ზურიკო თავაძე** (ქუთაისი, 77), **ვილიამინ ალექსიძე** (აჭარა, 105), **ლაშა ტალახაძე** (საჩხერე, +105) და 23-წლამდელებში **გიორგი ლომთაძე** (ქუთაისი, 77).

გუშინ 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში შოთა მიშველიძემ იყოჩაღა - ერთი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ქართველმა ათლეტმა 143 კილოგრამი აიტაცა და ამ მოძრაობაში მცირე ოქრო ერგო. მეორე ადგილზე გასულ ელხან ალიგულიზადეს (აზერბაიჯანი) მთელი 8 კილოგრამით აჯობა. ეს კი ორჭიდში ჩემპიონობისთვის არცთუ ურიგო ფორა იყო, მით უმეტეს, რომ შოთამ აკვრაც კარგად დაიწყო - ჯერ 160-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა, შემდეგ 165 კილოსაც იოლად გაუმკლავდა, ალბათ, ამან უბიძგა მწვრთნელებს, 170 კილოგრამი შეეკვეთათ. ქართველმა ძალოსანმა ეს წონა ვერ დაძლია და როგორც აკვრაში, ისე ორჭიდში (308 კგ) ვერცხლის მედალს დასჯერდა. ელხან ალიგულიზადე მესამე ცდაზე 174-კილოგრამიან შტანგას მოერია და ორჭიდში 309 კილოგრამით ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. 286 კილოგრამით (130+156) მესამე იყო ვლადიკ კარაპეტიანს (სომხეთი).

ასპარეზობის პირველ დღეს შეჯიბრებაში ჩაება რამინ შამილიშვილი. ქართველმა ათლეტმა 113 კილო აიტაცა, 135 კილოგრამი აკრა (ორი ცდა 139 კილოზე უშედეგო აღმოჩნდა) და ორჭიდში 248 კილოგრამით მე-8 ადგილი დაიკავა. 282 კილოგრამით (127+155) ჩემპიონობა რუმინელმა იონუთ ფლორინ კროიტორუმ მოიპოვა. მეორე-მესამე ადგილებზე რუსი ასალი აბდულგაშუმოვი (275=123+152) და მოლდოველი იონ ტერნა (271=121+150) გავიდნენ. ორჭიდში 271 კილო მოაგროვა ალექსანდრ მიშოვმაც (რუსეთი), მაგრამ დამატებითი მაჩვენებლებით მას ტერნამ აჯობა.

დღეს ფიცარნაგზე 77 კილოგრამი წონითი კატეგორიის ათლეტები გავლენ.

**ვაჟა დანელია**



შოთა მიშველიძე

ჭადრაკი



ბელა ხოტენაშვილი

# განახლება და გამარჯვება

**ერთდღიანი** შესვენების შემდეგ ტაშკენტში განახლდა ფიდეს ქალთა გრან პრის მესამე რაუნდი. მე-5 ტურში **ბელა ხოტენაშვილმა** 43-ე სვლაზე დაამარცხა გულისხან ნახბაიევა (ყაზახეთი). დანარჩენი პარტიები კი ასე დასრულდა: კატერინა ლაგნო (უკრაინა) - ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) 1:0, ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) - ჰამფი კონერუ (ინდოეთი) 0,5:0,5, ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი) - ელინა დანიელიანი (სომხეთი) 1:0, ნაფისა მუმინოვა (უზბეკეთი) - ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი) 1:0, ჟაო სიუე (ჩინეთი) - ოლგა გირია (რუსეთი) 1:0. თეთრებმა 6 შესაძლებლიდან 5,5 ქულა აიღეს.

ხუთი ტურის შემდეგ: კონერუ, დრონავალი - 4-4, ჟაო სიუე, ლაგნო - 3,5-3,5, ხოტენაშვილი - 3, სტეფანოვა - 2,5, მუმინოვა, ვენძიუნი, გირია - 2-2, კოსტენიუკი - 1,5, ნახბაიევა, დანიელიანი - 1-1 ქულა.

დღეს მე-6 ტურში ითამაშებენ: გირია - ხოტენაშვილი, კოსტენიუკი - ნახბაიევა, ვენძიუნი - ჟაო სიუე, დანიელიანი - მუმინოვა, კონერუ - დრონავალი, ლაგნო - სტეფანოვა.

**ვაჟა დანელია**

# შვიდიანით შვიდეულში

**კოჯაელში** (თურქეთი) 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე **მერი არაბიძე** გუშინ მე-10 ტურში შავი ფიგურებით ალინა კაშლინსკაიას (რუსეთი) დაუზავდა და 7 ქულა მოაგროვა. ქართველი დიდოსტატი ქულით ჩამორჩება რუმინეთის ქალთა ნაკრების წევრ ირინა ბულმაგას, რომელიც გუშინ, ასევე, შავებით ალექსანდრა გორიაჩკინას (რუსეთი) შეუთანხმდა ყაიმზე. 7,5 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ პერუელი დეიზი კორი (რუთ რადმინის (ინდოეთი) აჯობა) და ალექსანდრა გორიაჩკინა. ოთხ მოჭადრაკეს - არაბიძეს, კაშლინსკაიას, აულია მედინას (ინდონეზია) და ჟანსაი აბდუმალიკს (ყაზახეთი) - 7-7 ქულა აქვს. **ანა კუჭავამ** გუშინ ზივილე არბონავიჩიუტეს (ლიტვა) სძლია და 5 ქულას მოუყარა თავი.

ვაჟებში **ზურაბ ჯავახაძემ** ნიკო გეორგიადისს (შვეიცარია) მოუგო. აქ 8,5-8,5 ქულით თურქეთის სახელით მოასპარეზე ალექსანდრ იპატოვი (გუშინ პერუელ ხორხე კორის დაუზავდა) და ჩინელი იი იანი (სერბ ალექსანდ ინდიჩს სძლია) მეწინავეობენ. ჯავახაძეს 6 ქულა აქვს.

შეჯიბრების დამთავრებამდე 3 ტური დარჩა.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ძირითადი ბადის ექვსეული ცნობილია

**თელავში** გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი). საკვალიფიკაციო ეტაპზე 10 ჩვენებური ჩაება. მათგან ძირითად ბადეში გაღწევის შანსი მხოლოდ **ლანა როსტიაშვილს** შერჩა. პირველ წრეში მან **კლეოპატრა ქარუმაშვილს** აჯობა (4:6, 6:3, 6:4), მეორეში კი ეკატერინა იაშინას (რუსეთი) შეხვდება. ასპარეზობის სტარტზე **მარიამ ლოლელაშვილმა შორენა თათელიშვილი** ჩამოიშორა გზიდან - 6:2, 6:4, მაგრამ შემდეგ თავადაც წააგო ბელარუს სვიატლანა პირაჟენკასთან - 1:6, 3:6. **მარგალიტა ჭიჭაშვილმა** რუსეთის სახელით მოასპარეზე ეკატერინა წიკლაურთან დათმო პაექრობა - 2:6, 1:6, **თინათინ ყავლაშვილმა**, როგორც გაუწყეთ, პირველი წრე წარმატებით განვლო, მაგრამ მეორეში ალონა ფომინას (უკრაინა) დანებდა - 6:3, 3:6, 1:6. **ანა ჯიქია** ნასტია კოლართან (სლოვენია) დამარცხდა - 1:6, 0:6, **ესთერ სარქისიანს** (საქართველო) იასმინ შტაინჰერმა აჯობა- 6:3:, 6:1, ხოლო **ბაბილინა მაჩაიძეს** - ანია პრისლანმა (სლოვენია) - 6:0, 6:3.

ძირითად ბადეში ექვსი ქართველი ჩოგბურთელია დაშვებული. პირველ წრეში ისინი მეტოქეებს ასე დაუწყვილდნენ: **მარიამ ბოლქვაძე** - მასა ზეკ-პესკირიჩი (სლოვენია), **სოფიო ქვაცაბაია** - ოლგა იანჩუკი (უკრაინა), **სოფიო შაფათავა** - კატარზინა კავა (პოლონეთი), **ეკატერინე გორგოძე** - მისა ეგუჩი (იაპონია), **თამარ ჭალაგანიძე** - ირინა ხრომაჩევა (რუსეთი), **მარგალიტა ჩახნაშვილი** - ალექსანდრა პანოვა (რუსეთი).

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფიგურული ციგურაობა

# ობერსდორფში 5 საგზურისთვის

გერმანულ ობერსდორფში დღეს დაიწყება და 28 სექტემბერს დამთავრდება ფიგურულად მოციგურავეთა სალიცენზიო ტურნირი. სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საგზურისთვის საქართველოს მოცეკვავეთა წყვილიც (**ოთარ ჯაფარიძე** და **ანგელინა ტელეგინა**) იბრძოლებს. 26 წლის ოთარ ჯაფარიძე ცნობილი მოციგურავეების - საბჭოთა კავშირის ორგზის თასის მფლობელ **მარინე ცერცვაძისა** და ახალგაზრდებში საბჭოთა კავშირის 1963 წლის ჩემპიონ **ირაკლი ჯაფარიძის** ვაჟია. ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადის, ორი მსოფლიოს და სამი ევროპის ჩემპიონატის მონაწილეს სხვადასხვა წლებში პარტნიორობას უწევდნენ მარინა შელცინა, ეკატერინა ზაიკინა, იზაბელა ტობიასი და ელისონ რიდი. ამჟამად მეწყვილეობას უწევს 21 წლის უკრაინელი ანგელინა ტელეგინა, რომელთანაც ერთად წლეულს ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა, ფინალშიც მოხვდა და საბოლოოდ მე-20 ადგილი დაიკავა.

ფიგურული ციგურაობის საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში საასპარეზოდ ნორმატივები დააწესა. ჯაფარიძე-ტელეგინას მოცეკვავე დუეტმა ზაგრების სარეიტინგო საერთაშორისო ტურნირზე საევროპე ქულები მოაგროვა, მსოფლიოსთვის კი ტურნირების რაოდენობა არ ეყო. არადა, კანადაში, სადაც პლანეტის საუკეთესო მოციგურავეებმა მოიყარეს თავი, ცეკვებში სოჭის ოლიმპიადის 19 საგზური გათამაშდა. 5 ვაკანტური ადგილის მფლობელი კი სწორედ გერმანულ ობერსდორფში გაირკვევა.



გუშინ ევროპაში გამომგზავრებამდე ოთარ ჯაფარიძეს ამერიკაში შევეხმიანეთ.

- ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირისთვის მზადება მარტში დავიწყეთ, - გვითხრა ოთარმა. - ჩემს უცვლელ მწვრთნელთან, ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონ ევგენი პლატოვთან და ქორეოგრაფ ჟანა პალაგინასთან ერთად ახალი პროგრამა და მუსიკა შევარჩიეთ. მთელი ზაფხული ნიუ ჯერსის შტატ მაუნ ლაურელში ვვარჯიშობდით. 1-2 აგვისტოს ლეიკ პლესიდში (ნიუ იორკის შტატი) გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში ვიასპარეზეთ. ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ოლიმპიური საგზურებისთვის ჩვენი მომავალი კონკურენტებიც მონაწილეობდნენ. მოცეკვავეთა 15 წყვილს შორის მოკლე პროგრამით მე-10 ადგილზე გავედით, ხოლო თავისუფალი პროგრამით მე-3 ადგილი გვერგო. 11-14 სექტემბერს ციგურაობის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით სოლთ ლეიქ სითიში (აშშ) გამართულ შეჯიბრებაში მე-11 ადგილი დავიკავეთ.

**- გერმანიის სალიცენზიო ტურნირზე რას იტყვი?**

- ობერსდორფში 18 მოცეკვავე წყვილი სოჭის ოლიმპიადის 5 საგზურისთვის იბრძოლებს. მართალია, მძაფრი კონკურენცია იქნება, მაგრამ მე და ანგელინა შანსებს რეალურად ვაფასებთ, რადგან საქართველოს სპორტის სამინისტროს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ფიგურული ციგურაობის ეროვნული ფედერაციის მატერიალური და მორალური თანადგომით საკმაოდ ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდი გვქონდა. თუმცა, გადაჭრით რამის თქმა და პროგნოზი მაინც გამიჭირდება. ყველაფერს ობერსდორფის ყინული გადაწყვეტს...

სალიცენზიო ტურნირზე მოცეკვავე წყვილები (მათ შორის ჯაფარიძე-ტელეგინას დუეტი) 26 სექტემბერს მოკლე პროგრამით, 28 სექტემბერს კი თავისუფალი პროგრამით იასპარეზებენ.

**ვაჟა დანელია**

● ხალხური ცხენოსნობა. საქართველოს პირველობა



# ილიაუნი ეროვნული საუნჯის ქომაგი

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან საქართველოში ინტენსიურად დაიწყო ცხენოსნობის ეროვნული სახეობების გაცოცხლება-აღორძინება, რაშიც განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანეს დასავლეთ საქართველოს რაიონებისა და აფხაზეთის საცხენოსნო კლუბებმა. სისტემატურად ტარდებოდა საქართველოს პირველობები. სამწუხაროდ, 1990-იანი წლების მოვლენებმა სპორტის, მათ შორის ეროვნული სახეობებისა და ხალხური თამაშობების განვითარებაც შეაფერხა, ზოგან საერთოდ ჩაკვდა კიდეც. ამიტომ ის, რაც ბოლო წლებში ხდება, ნამდვილად მისასალმებელია - რაიონებმა კვლავ იბრუნეს პირი ცხენოსნობისკენ, შეიქმნა საქართველოს ხალხური ცხენოსნობის ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი **ალექსანდრე ვადაჭკორია**), რომელსაც ამ უაღრესად მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეში მხარში ამოუდგა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (რექტორი **გიგი თევზაძე**). სწორედ ამ სასწავლებლის ფინანსური მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი ამ დღეებში ჩვენი ერთ-ერთი ეროვნული საუნჯის - ცხენოსნობის ტრადიციულ ხალხურ სახეობებში საქართველოს პირველობის ჩატარება სამტრედიაში. ადგილობრივი საცხენოსნო კლუბის მხედრებთან ერთად ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სამტრედიის, აბაშის, სენაკის, ფოთისა და მარტვილის წარმომადგენლები.

პროგრამით გათვალისწინებულ სახეობებში - ცხენბურთში, ისინდში, დოღსა და მარულაში გამარჯვებულები გუნდური სისტემით გამოვლინდნენ. ყველაზე მეტი ქულა სენაკელმა ცხენოსნებმა მოაგროვეს. ცხენბურთსა და ისინდში მათ დაუმარცხებლად იასპარეზეს, მარულაში კი მხოლოდ V ადგილს დასჯერდნენ, მაგრამ საერთო გუნდურ ჩათვლაში ქულათა ჯამით ყველა მეტოქეს აჯობეს. მეორე ადგილზე სენაკელები გავიდნენ, მესამეზე - აბაშელები.

სასიამოვნოა ისიც, რომ ამ შეჯიბრებაზე ვიხილეთ კერძო მფლობელთა მერნებიც. მართალია, ეს ცხენ-მხედრები უკონკურსოდ მონაწილეობდნენ, მაგრამ პრიზები, წესისამებრ, დაისაკუთრეს. ასეთი მიდგომა, იმედია, სტიმულს მისცემს ცხენისა და ცხენოსნობის სხვა მოყვარულებსაც საკუთრებაში იყოლიონ მერნები და შეჯიბრებებშიც მიაღებინონ მონაწილეობა, ხელი შეუწყონ ჩვენში ცხენოსნობის უძველესი ტრადიციების აღორძინებას.

**გაგაცნობთ ცალკეულ სახეობებში გამარჯვებულებს და პრიზიორებს. ცხენბურთი:** 1. სენაკი, 2. მარტვილი, 3. აბაშა; **ისინდი:** 1. სენაკი, 2. სამტრედია, 3. აბაშა; **დოღი 2000 მ:** 1 ელისე ბასილია-ცხენი ჯონს მინისტრი (კერძო მფლობელი, უკონკურსოდ), 2. ალიკა მირუაშვილი - ცხენი პირველი (ფოთი), 3. პაატა ხვედელიძე - ცხენი ფოთი (ოზურგეთი); **მარულა 6000 მ:** 1. ელისე ბასილია ცხენი ჯონს მინისტრი (კერძო მფლობელი, უკონკურსოდ), 2. ედვარდ ბახტაძე - ცხენი მანია (სამტრედია), 3. ალიკა მირუაშვილი - ცხენი პირველი (ფოთი).

**თორნიკე ბაჩეჩილაძე**
სამტრედიიდან

● ფარიკაობა

# სარბიელზე... 71 წლის ვეტერანი

თბილისის, რუსთავის, ქუთაისისა და ზესტაფონის 80-მდე მოფარიკავე ქალ-ვაჟი მონაწილეობდა საქართველოს თასის გათამაშებაში. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველა უძლიერესი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. ახალგაზრდებში ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **სანდრო ბაზაძე** მწვრთნელებმა დაასვენეს, რადგან უნგრეთში მსოფლიო ჩემპიონატისას მიღებული ტრავმა ჯერ არ მოშუშებია; რუსთაველი **მარიამ ცუხიშვილი** საკუთარი სახსრებით გაემგზავრა მანჩესტერში (ინგლისი), სადაც 1997 წელს და უფრო გვიან დაბადებულ რაპირისტთა ევროპის თასის ეტაპზე გამოვიდა. 200 მონაწილეს შორის 50-ე ადგილი დაიკავა. მეთექვსმეტედფინალში შესასვლელი შეხვედრა იტალიელ მურაჩოსთან ერთი ჩხვლეტით დათმო - 14:15. მოხმალავეთა თასის შარშანდელ გათამაშებაში ქუთაისელმა **ანა სინატაშვილმა** გაიმარჯვა. მერე იგი გათხოვდა და საფარიკაო ბილიკებზეც აღარ გამოჩენილა. თასისთვის ბრძოლაში ამჯერად არც საქართველოს მოხმალავეთა ნაკრების წევრი **საბა სულამანიძე** ჩაბმულა. მიზეზი შეჯიბრების ორგანიზატორებმა ვერ გვითხრეს. სამაგიეროდ, რაპირისტთა პაექრობისას სარბიელზე ვიხილეთ... 71 წლის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ნიკოლოზ (გივი) ანდრიაძე,** ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი და ვეტერანთა შორის წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი. ბატონმა გივიმ შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინა და 17 მონაწილეს შორის მე-10 ადგილი დაიკავა.

ახლა კი თასის მფლობელთა და პრიზიორების შესახებ. ასპარეზობის პირველ დღეს შეჯიბრებაში მოხმალავენი ჩაებნენ. შარშან მსგავს შეჯიბრებაში **სანდრო ბაზაძემ** გაიმარჯვა: ნახევარფინალში ძმას - **ბექას** აჯობა, გადამწყვეტ პაექრობაში კი მიხეილ მარდალეიშვილი დაამარცხა. ამჯერად ფინალში უპრობლემოდ გავიდნენ ბექა ბაზაძე და **მიხეილ მარდალეიშვილი.** ოჯახური ტრადიცია არც ბექამ დაარღვია და თანაგუდელი 15:11 დაამარცხა. გოგონებში შეუდარებელი იყო **ქრისტინე ნოზაძე**, რომელმაც **ელენე ნანობაშვილს** დიდი უპირატესობით აჯობა - 15:6.

რაპირაში შარშანდელი ფინალი გამეორდა. **არჩილ უგულავამ** ორი წლით უმცროსი მეტოქე **ლუკა ლალანიძე** ამჯერადაც დაამარცხა 15:10 და თასი შეინარჩუნა. რაც შეეხება 16 წლის ლუკას, იგი ორიოდე დღის წინათ დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც თანატოლ **თეონა გოგლიძესთან** ერთად ორკვირიან საწვრთნელი შეკრებაზე იმყოფებოდა. ისინი ნოტრდამის უნივერსიტეტის მოფარიკავეთა კლუბში მიიწვია ჩვენმა თანამემამულემ, გასული საუკუნის 80-იან წლებში მოფარიკავეთა საქართველოს ნაკრების წევრმა **გია კვარაცხელიამ.** იგი დიდი ხანია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და ამ ქვეყნის საუნივერსიტეტო სპორტის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად მიიჩნევა ფარიკაობაში. ამჟამად იგი ნოტრდამის უნივერსიტეტის მუშკეტერთა კლუბის მთავარი მწვრთნელია. საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **ლუდვიგ ლალანიძემ** გვითხრა, რომ მისი აღზრდილი გია კვარაცხელია რაპირაში საქართველოს არაერთგზის ჩემპიონია. უცხოეთში დამკვიდრების შემდეგ მას სამშობლოსთან კონტაქტი არ გაუწყვეტია - ბოლო რვა წელიწადია, ქართველ რაპირისტებს საფარიკაო ფორმა-ინვენტარით ეხმარება. გოგლიძისა და ლალანიძის ამერიკაში გამგზავრების სახსრები თბილისის მერიამ გაიღო, დანარჩენი ხარჯები ნოტრდამის საფარიკაო კლუბმა დაფარა. 20 ოქტომბერს გია კვარაცხელია თბილისში ჩამოვა და თანამემამულე კოლეგებისთვის ლექცია-სემინარებსა და საჩვენებელ მეცადინეობებს ჩაატარებს. ამერიკაში წრთობაგავლილმა გოგლიძემ საქართველოს თასი მოიგო - ფინალში ნუცა იაგორაშვილი დაამარცხა - 15:11.



მარცხნიდან - ბექა ბაზაძე, თეონა გოგლიძე, ქრისტინე ნოზაძე, ქრისტინე მიქაძე, დავით ელბაქიძე

**ქვარცხლბექი**

**ხმალი**

**გოგონები.** 1. ქრისტინე ნოზაძე, 2. ელენე ნანობაშვილი, 3. ანა აფრასიძე (სამივე-თბილისი), მარიამ ფხაკაძე (ქუთაისი).

**ვაჟები.** 1. ბექა ბაზაძე, 2. მიხეილ მარდალეიშვილი, 3. ლუკა ობოლაძე (სამივე-ქუთაისი), ტატო ბარათაშვილი (თბილისი).

**რაპირა**

**გოგონები.** 1 თეონა გოგლიძე, 2. ნუცა იაგორაშვილი, 3. ანა მელია, ლიკა ჯიჯეიშვილი (ოთხივე - თბილისი).

**ვაჟები.** 1. არჩილ უგულავა, 2. ლუკა ლალანიძე, 3. ლაშა გალუაშვილი (სამივე-თბილისი), აკაკი ხორხომელიძე (ქუთაისი).

**დაშნა**

**გოგონები.** 1. ქრისტინე მიქაძე, 2. მარია ზაკირჩენკო, 3. ანა წირღვავა, ნათია ჩუბინიძე (ოთხივე-ქუთაისი).

**ვაჟები.** 1. დავით ელბაქიძე (თბილისი), 2. დავით არველაძე (ქუთაისი), 3. ნიკოლოზ ზურაბიშვილი, ირაკლი კნიაზევი (ორივე-თბილისი).

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

● სუმო. აკი ბაშო. 15-29 სექტემბერი



# არის დადებითი!

სექტემბრის ბაშოზე ცუდი სტარტის შემდეგ, **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)** გამოცოცხლდა და ზედიზედ ოთხი ორთაბრძოლა მოიგო. რისი წყალობითაც სუმოს ელიტას შემორჩენილმა ერთადერთმა ქართველმა ბაშოზე პირველად უწია დადებით ბალანსს - 9 ორთაბრძოლიდან 5 მოიგო და 4 წააგო.

ასპარეზობის მე-9 დღეს ჩვენებურის მეტოქე ოსი **არანი** გახლდათ, ტრადიციულად, უხერხული მეტოქე. თავიდან ინიციატივა ოსმა იგდო ხელთ, მაგრამ ქართველის დოჰიოს რკალიდან გაყვანა ვერ შეძლო. შემდეგ ჩვენებურის ჯერი დადგა, მისი შეტევა კი წარმატებული გამოდგა.

ახლა გაგამარუს მეტოქე მე-12 მაეგაშირა **სადანოფუჯია**, რომელიც ანალოგიური ბალანსით (5-4) ასპარეზობს შემოდგომის ბაშოზე. ურთიერთშეხვედრებში სადანოფუჯი წინაა - 4:2.

**IX დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ტოიოჰიბიკი (ცუკიოტოში), ჰარუმაფუჯი-მიოგირიუ (ოშიდაში), კოტოშოგიკუ-კაკურიუ (იორიკირი), ჩიოტაირიუ-კისენოსატო (ცუკიდაში), **გაგამარუ**-არანი (იორიკირი).

**სატურნირო მდგომარეობა**

**9-0**: ჰაკუჰო (იოკოძუნა).

**7-2**: ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა), კისენოსატო (ოძეკი), კიოკუტენჰო (მაეგაშირა 6), ჰომაშო (მ 13)... **5-4**: **გაგამარუ** (მ 9).

**X დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰარუმაფუჯი-კაისეი, ჰაკუჰო-გოეიდო, კისენოსატო-კოტოშოგიკუ, კაკურიუ-ჩიოტაირიუ, **გაგამარუ**-სადანოფუჯი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## გიო და კატალონიელები

საქართველოს ნაკრების ცენტრმა **გიორგი შერმადინმა** ესპანეთში ჩასვლის შემდეგ მეორე საკონტროლო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ამჯერად მისი „სარაგოსა“ კატალონიაში „ხუვენტუდს“ დაუპირისპირდა და დაძაბულ ბრძოლაში 81:86 დამარცხდა.

გიორგიმ მატჩი 12 ქულით დაასრულა, ხოლო ხუვენტუდის გამარჯვება უმთავრესად **შურნას** დამაჯერებელმა თამაშმა განაპირობა, რომელმაც 27 ქულა ჩააგდო. სარაგოსელთაგან ყველაზე მეტი, 22 ქულა ისლანდიელი **სტეფანსონის** ანგარიშზეა. შეგახსენებთ, რომ წინა მატჩში შერმადინმა 21 ქულა მიითვალა.



გიორგი შერმადინი (მარცხნივ) და ვიქტორ სანიკიძე

## ვიქტორი და ტაბუ

„ხუვენტუდთან“ თამაშს **ვიქტორ სანიკიძემ** თვალი გვერდიდან მიადევნა, მოედანზე არ გასულა, რადგან ახალი ჩასული იყო.

არაგონული „სარაგოსას“ ოფიციალურ ვებ-საიტზე ერთ-ერთ მთავარ თემას ვიქტორ სანიკიძისა და **ჯონათან ტაბუს** ფოტო ახლავს. ქვემოთ ვკითხულობთ: *„ჩვენი გუნდი ნელ-ნელა ივსება, შემოგვიერთდა კიდევ ორი კალათბურთელი, რომლებიც 2013 წლის ევრობასკეტზე მონაწილეობდნენ - ქართველი სანიკიძე და ბელგიელი ტაბუ.“*

შეგახსენებთ, რომ ტაბუ ქართველებს კარგად იცნობს, ჩვენი ნაკრები ბელგიელებს 2010-11 წლებში ხომ სამჯერ დაუპირისპირდა, პარალელურად ჯონათანი **მანუჩარ მარკოიშვილთან** იტალიური „კანტუს“ ღირსებას იცავდა.

პრეზენტაცია



# ახალი წამოწყება: კალათბურთი ყველასათვის

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში „კალათბურთის სამოყვარულო ლიგის“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ ლიგის დამფუძნებლები - **გიორგი ალავიძე, ერეკლე ამაშუკელი, ლაშა ბერუაშვილი** და **მიხეილ ამაშუკელი.** ასევე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილეები - **აკაკი ლოდია** და **თამაზ თევზაძე,** საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგის დირექტორი **გიორგი ზაბახიძე.** ლიგის საპატიო პრეზიდენტად ეროვნული ნაკრებისა და „მილუოკი ბაქსის“ ცენტრი **ზაზა ფაჩულია** აირჩიეს.

პრეს-რელიზში ვკითხულობთ:

„კალათბურთის სამოყვარულო ლიგის“ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით, 2 ნოემბრიდან ჩემპიონატი აიღებს სტარტს, სადაც მონაწილეობა 17 და უფროსი ასაკის მოყვარული მოთამაშეებით დაკომპლექტებულ გუნდებს შეეძლებათ. ტურნირი თბილისის „დინამოს“ საკალათბურთო ბაზაზე ჩატარდება.

მონაწილე გუნდების რეგისტრაცია 25 სექტემბრიდან დაიწყება და 20 ოქტომბრამდე გაგრძელდება. რეგისტრაციის გავლა შესაძლებელი იქნება „კალათბურთის სამოყვარულო ლიგის“ ვებ-საიტზე - www.gabl.ge. სამოყვარულო ლიგის პარტნიორი და მხარდამჭერები არიან - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ასევე საქართველოს კალათბურთის ფედერაცია, რომელიც ლიგას მსაჯებით და მდივნებით უზრუნველყოფს.

პროექტის მთავარი არსი ისაა, რომ შეიქმნება საქართველოს საკალათბურთო „სუპერლიგის“ პარალელური ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლებათ, როგორც ყოფილ პროფესიონალებს, ასევე ნებისმიერ მსურველს, ამ სპორტის მოყვარულსა თუ გულშემატკივარს.

პროექტი - „კალათბურთის სამოყვარულო ლიგა“ უპრეცედენტოა, რადგან იგი გულისხმობს არა ერთჯერადი სახის ღონისძიებას, არამედ სრულფასოვან მასშტაბურ ტურნირს, რომელიც მაისამდე გასტანს.

პროექტი კიდევ უფრო დააახლოვებს ადამიანებს კალათბურთთან, ხელს შეუწყობს მის პოპულარიზაციას და განაპირობებს საზოგადოების კიდევ უფრო მაღალ ჩართულობას. ლიგის სლოგანია - კალათბურთი ყველასათვის.“

ქართველი უკრაინაში

# ბუმ ოქტომბრელები დაამარცხა

## დებიუტიც ასეთი უნდა

**გიორგი ცინცაძის** დებიუტი უკრაინულ „დონეცკში“ შედეგიანი გამოდგა. საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა სავჩუკის მემორიალზე მარიუპოლში ამ სეზონში პირველად მოირგო დონეცკელთა მაისურა, ნახევარფინალში გაიმარჯვა, ცოტა რომ გამართლებოდა, ფინალურ შეხვედრაშიც იგივეს გაიმეორებდა.

■ ■ ■

ახლა, უფრო კონკრეტულად. ნახევარფინალში „დონეცკის“ მეტოქე ვოლგოგრადის „კრასნი ოქტიაბრი“ იყო, რომელმაც მანამდე ამხანაგურად დაამარცხა **ლევან ფაცაციას** „დნიპრო-აზოტი“. შემტევ თამაშში „ოქტომბრელებმა“ ვერაფერი გააწყვეს „ბუს“ „დონეცკთან“ და 92:100 დამარცხდნენ.

ცინცაძემ მატჩი 14 ქულით დაასრულა. დონეცკელთა უპირატესობა კი მეფარეებმა განაპირობეს: **კილინგსვორტმა** 31 ქულა ჩააგდო, ხოლო **მაკკოლიმ** 18 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა.

■ ■ ■

მეორე ნახევარფინალში უკრაინელი სპეციალისტების მოულოდნელად მასპინძელმა „აზოვმაშმა“ „კიევთან“ 76:84 დათმო. როგორც „დონეცკთან“ გამართულმა ფინალმა გვიჩვენა, კიეველებს აზოვისპირელები შემთხვევით არ დაუმარცხებიათ - **ვიტალი ჩერნის** მართლაც გამართული და ბრძოლისუნარიანი გუნდი ჰყავს, რომელმაც ფინალიც მოიგო - 80:77.

ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია „დონეცკის“ საიტზე თვალი პირდაპირ ეთერში ადევნოს გუნდის თამაშებს (კომპიუტერიზაციის ეპოქაში დროა, ყველამ მიბაძოს). მხოლოდ სტატისტიკას თუ გადავხედავთ, თვალისმომჭრელს ვერაფერს ვნახავთ: გიორგი ცინცაძის გასწვრივ ოქმში 8 ქულა და 5 შედეგიანი გადაცემა წერია. თუმცა მატჩის დასრულებამდე წუთით ადრე „ბუს“ ერთი შორეული სამქულიანი კალათზე დატრიალების შემდეგ ბადეში რომ ჩაშვებულიყო, იგი მატჩის გმირად იქცეოდა. მხოლოდ ერთი ტყორცნა, ცხადია გმირობას იშვიათად განაპირობებს, გიორგიმ მთელი შეხვედრა დამაჯერებლად ჩაატარა და წაგებული თამაში ორჯერ შემოატრიალა. თავად განსაჯეთ: მესამე პერიოდში „კიევი“ 10 ქულით რომ დაწინაურდა, მწვრთნელმა **ვალერი პლეხანოვმა** მოედანზე ცინცაძე დააბრუნა და სხვაობა მესამე ათწუთეულშივე მინიმუმამდე შემცირდა. ამ მეოთხედის ბოლოს ერთ-ერთი გადამწყვეტი ტყორცნა ქართველმა საკუთარ თავზე აიღო და ბურთმა მიზანს ვერ მიაღწია. შესაძლოა, ამ ეპიზოდის გამო სცადა მწვრთნელმა ცინცაძისთვის იმის ჩვენება, ვინ არის გუნდში მთავარი და მეოთხე რაუნდში გაჭირვების მიუხედავად, ცინცაძე მოედანზე აღარ გამოჰყავდა. გაჭირვება კი მართლაც ჰქონდა - „კიევმა“ კვლავ 10-ქულიანი ფორა დაიბევა. პლეხანოვმა გიორგი საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე მოედანზე შეუშვა და უმალ დაუფასდა - ბურთთან შეხება და ზუსტი სამქულიანი ერთი იყო (63:70). ამას მოჰყვა ცინცაძის ორი შედეგიანი გადაცემა, კიდევ ერთი შორეული სამქულიანი და „დონეცკმა“ სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა - 77:80.

მატჩის დასრულებამდე 6 წამი რჩებოდა, ბურთი კიეველებს საკუთარი პირითი ხაზიდან გამოჰქონდათ, როცა ცინცაძემ კიდევ ერთი დიდი საქმე გაუკეთა თანაგუნდელებს - მეტოქე შეტევაში დააჯარიმა. ბურთი თამაშში თავად შეიტანა და მისმა უკრაინელმა თანაგუნდელმა სამქულიანით მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა სცადა, მაგრამ...

■ ■ ■

ასე და ამგვარად, მემორიალზე პირველი ადგილი „კიევმა“ დაიკავა, მეორე იყო „დონეცკი“, მესამე - „აზოვმაში“, მეოთხე - „კრასნი ოქტიაბრი“.

დონეცკელთა მწვრთნელმა ვალერი პლეხანოვმა „ოქტიაბრთან“ მატჩის შემდეგ გიორგი ცინცაძეზე თქვა: ხასიხარულოა, რომ მას გუნდთან შერწყმა არ გასჭირვებიაო.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



რიკი რუბიო (მარცხნივ) და გიორგი ცინცაძე

გეგმები



# ყველა კანდიდატი თანაბარ პირობებში უნდა იყოს

25 სექტემბერს გაიმართება საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობის სხდომა. რა თემებს მოიცავს შეხვედრა, ამაზე მკითხველს **პაატა გურასპაული** მოუთხრობს, რომელიც ამავე დროს „თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის“ ხელმძღვანელია და სწორედ მისი ორგანიზებით ჩატარდება შესარჩევი ეტაპები სხვადასხვა ასაკობრივ ჩემპიონატში.

ამ ორ საკითხთან დაკავშირებით კალათბურთის ფედერაციის საიტზე გამოქვეყნდა პაატა გურასპაულის ინტერვიუ.

- რეგიონის შიდა ჩემპიონატები რეგულარულად უნდა ტარდებოდეს. ეს ხელს უწყობს გუნდებს შორის ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას, ზრდის თამაშების რაოდენობას. ასევე გამოავლენს საქართველოს ჩემპიონატისთვის ძლიერ გუნდებს და ქვეყნის პირველობაში თავს კონკურენტუნარიანი კლუბები მოიყრიან. ოქტომბრის დასაწყისში სტარტს აიღებს 16-წლამდელთა ჩემპიონატი, ხოლო მალევე მას 18-წლამდელთა ჩემპიონატი მოჰყვება. ნოემბერში 13 და 14-წლამდელთა თბილისის პირველობებსაც გავმართავთ, ხოლო 20-წლამდელებში ქალაქის ჩემპიონატის ჩატარება არ იგეგმება. თბილისის პირველობებს კალათბურთის ფედერაციის დახმარებით და მასთან მიმდინარე წლის დასაწყისში გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ვატარებთ.

ახლა, გამგეობის სხდომის შესახებ.

- გამგეობა იმ საკითხებზე იმსჯელებს, რომლებიც დღესდღეობით აქტუალურია. დაადგენს კალათბურთის ფედერაციის მომავალი ყრილობისა და არჩევნების თარიღებს. გაიმართება მუშაობა ახალ წესდებაზე, რომელიც ფედერაციის მომავალმა ყრილობამ უნდა მიიღოს. აღნიშნულ წესდებას მთელი საქართველოს მასშტაბით გავაცნობთ ყველა იმ ჯგუფს, რომელსაც ქართულ საკალათბურთო სამყაროში დამსახურება აქვს და სიტყვა ეთქმის. ეს საფუძველი იქნება იმისა, რომ ყველასთვის მისაღები წესდება შემუშავდეს და მომავალი არჩევნები თანაბარ პირობებში ჩატარდეს. მართალია, ჯერ ფედერაციაში ოფიციალურად არავის შემოუტანია განაცხადი, რომ პრეზიდენტობის არჩევნებში მონაწილეობა სურს, თუმცა ეს მალე მოხდება და ყველა კანდიდატი აბსოლუტურად თანაბარ პირობებში უნდა იყოს. ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიოს იმ საკალათბურთო სამყარომ, რომელსაც სიტყვა ეთქმის და ამას იმსახურებს.

● ლეგიონერები

# ჩხაიძის პირველი ლელო ახალ სეზონში

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-7 ტურის შეხვედრები გაიმართა. საგულისხმოა, რომ ამის შემდეგ სატურნირო ცხრილის პირველი ცხრა საფეხური ქართველ მორაგბეთა გუნდებს უკავიათ და თითოეულ მათგანს პლეი ოფისთვის ბრძოლის უნარი რეალურად გააჩნია.**



გიორგი ჩხაიძის სალელოვე შეტევა

ამჯერად პირველ დივიზიონში ორხელისუფლებიანობაა. „ტულონმა" და „სტად ფრანსემ" 22-22 ქულა დააგროვეს და სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცნენ. **ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონმა" ერთ-ერთ აუტსაიდერს, ბასკურ „ბაიონს" უმასპინძლა და დიდი გაჭირვებით დაამარცხა - 18:12. ბაიონელთაგან ასეთ კადნიერებას სტუმრად მრისხანე „სტად დე მაიოლზე" არავინ ელოდა. ანგარიში 27-ე წუთზე გაიხსნა და ისიც სტუმრებმა მოახერხეს. მართალია, მასპინძლებმა პირველი ტაიმი მაინც მოიგეს, მაგრამ შესვენების შემდეგ, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ანგარიშში წინ ისევ ბასკები იყვნენ.

საბოლოოდ ტულონელებს ინგლისელი მგეზავის, **ჯონი ვილკინსონის** ფეხჩუბინობამ უშველათ. მიქაუტაძე განაცხადში იყო, თუმცა მოედანზე არ გამოჩენილა, ჩილაჩავა განაცხადში არ ყოფილა.

ცხადია, სასიამოვნო მოულოდნელობაა ლიდერთა შორის **დავით ქუბრიაშვილისა** და **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსეს" ხილვა. პარიზელებმა სტუმრად დაამარცხეს უმძიმეს ბრძოლაში დივიზიონის დებიუტანტი „ოიონაქსი" - 16:15. ოიონაქსელები შინაურ არენაზე თითქმის უძლეველები არიან და „სტად ფრანსეს" ეს წარმატება ნათელი დასტურია, რომ ამ გუნდს მართლაც შეუძლია ჩემპიონობისთვის ბრძოლა. ქართველ მორაგბეებს „ოიონაქსთან" დაპირისპირებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ლიდერებს ერთი ქულით ჩამორჩება **მამუკა გორგოძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე", რომელმაც შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა ფრანგული რაგბის ერთ-ერთი გრანდი, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი" - 43:3. ანგარიში „ვულკანებმა" მატჩის მე-2 წუთზე საჯარიმოთი გახსნეს. თუმცა მერე მთავარი მოქმედი პირები მონპელიელთა ცხრა ნომერი **ჯონათან პელისიე** და მგეზავი **ფრანსუა ტრინ-დუკი** იყვნენ. მასპინძელთა გუნდისთვის ქულები მხოლოდ მათ მოჰქონდათ. ქართველი მორაგბეები განაცხადში არ იყვნენ.

„მონპელიეს" მსგავსად 21 ქულა აქვს **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზს", რომელმაც შინ შეძლო საფრანგეთის ჩემპიონის **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრის" დამარცხება - 26:9. სამივე ქართველი პირველხაზელი ტრავმირებულია.

უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა შინ **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგმა". პარიზელებმა ამჯერად **ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდოს" სძლიეს - 26:19. ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენობაში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს, ნავროზაშვილს არ უთამაშია.

საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა **გოდერძი შველიძისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ბრივმა", რომელმაც შინ დამაჯერებლად დაამარცხა **გიორგი ჟღენტის** „პერპინიანი" - 31:6. ჟღენტი მე-40 წუთზე შეცვალეს, ასეიშვილმა მოედანზე 13 წუთით მეტი დაჰყო, შველიძე ტრავმირებულია.

**I დივიზიონი**

**VII ტური**

**მონპელიე-კლერმონი 43:3, ტულუზი-კასტრი 26:9, ბრივი-პერპინიანი 31:6, ბიარიცი-გრენობლი 21:27, მეტრო რასინგი-ბორდო 26:19, ტულონი-ბაიონი 18:12, ოიონაქსი-სტად ფრანსე 15:16.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულონი - 22 ქულა, 2. სტად ფრანსე - 22, 3. მონპელიე - 21, 4. ტულუზი - 21, 5. მეტრო რასინგი - 20, 6. კლერმონი - 19, 7. კასტრი - 16, 8. პერპინიანი - 16, 9. ბორდო - 16, 10. გრენობლი - 16, 11. ბრივი - 15, 12. ოიონაქსი - 13, 13. ბაიონი - 12, 14. ბიარიცი - 7.**

**VIII ტური**

**სტად ფრანსე-მონპელიე, ოიონაქსი-ტულონი, ბაიონი-ბიარიცი, კასტრი-მეტრო რასინგი, გრენობლი-ბრივი, პერპინიანი-ტულუზი, კლერმონი-ბორდო.**

მეორე დივიზიონში ოთხი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს სათავეში ქართველ მორაგბეთა სამი გუნდი უდგას. ამათგან ლიდერის, **გურამ კავთიძისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „ლიონი" ჯერაც დაუმარცხებელია. ჩვენებურთა ამ გუნდმა ერთ-ერთ კონკურენტს, იქამდე დაუმარცხებელ „პოს" უმასპინძლა და 39:7 მოუგო.

კოლელიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 61-ე წუთზე შეცვალეს, რვა წუთით ადრე თამაშში კავთიძე ჩაერთო.

„ლიონს" კვალში უდგანან **ლექსო ყაულაშვილის** „ლა როშელი" და **ტარიელ რატიანიძის** „აჟენი". ლაროშელელებმა სტუმრად მოუგეს **თორნიკე ლომიძის** „ოშს" - 17:13. „აჟენმა" კი შინ უშუალო კონკურენტი „ბურგუენი" დაამარცხა - 29:12. რატიანიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს.

ლიდერთა შორის გაერია **გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბი". ჩვენებურთა ამ გუნდმა მეოთხე ტურში ყველაზე „ქართულ ფრანგულ კლუბს", **კახაბერ კობერიძის, ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის ვახტანგ ახობაძის, გიორგი თეთრაშვილისა** და **ხვიჩა ბუჯიაშვილის** „ალბის" მოუგო - 42:19.

ჩხაიძემ სრულად ითამაშა და 26-ე წუთზე ლელო გაიტანა, ნემსაძე 79-ე წუთზე შეცვალეს, მირცხულავა 25 წუთით ადრე ჩაერთო თამაშში. „ალბის" შემადგენლობაში ფულბეკის პოზიციაზე ითამაშა საქართველოს ნაკრების გარემარბმა ალექსანდრე თოდუამ. ალსანიშნავია, რომ კარიერის დასაწყისში ის სწორედ ამ პოზიციაზე ირჯებოდა და ურიგო არ იქნება ოდინდელ ამპლუას ნაკრებშიც თუ დაუბრუნდება. თოდუა 55-ე წუთზე შეცვალეს, ძირითად შემადგენლობაში იყო თეთრაშვილიც, რომელიც თამაშს პირველი ტაიმის დასრულებისთანავე გამოეთიშა.

**ლევან დათუნაშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკმა" შინ დაამარცხა **თამაზ მჭედლიშვილის, მერაბ შარიქაძისა** და **გიორგი სულუაშვილის** „ბურგ ან ბრესი" - 34:7. დათუნაშვილმა სრულად ითამაშა და 79-ე წუთზე არბიტრმა სინბინში გაუშვა, ნაცარაშვილი 47-ე წუთზე შეცვალეს.

პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე", რომელმაც სტუმრად წააგო „დაქსთან" - 13:27, რითაც ლანგედოკელების მდგომარეობა გაუარესდა. შეყლაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 51-ე წუთზე შეცვალეს.

**II დივიზიონი**

**IV ტური**

ორიაკი-ბურგ ან ბრესი 34:7, ოში-ლა როშელი 13:17, დაქსი-ბეზიე 27:13, ტარბი-ალბი 42:19, ლიონი-პო 39:7, ნარბონი-მონ დე მარსანი 19:13, კოლომიე-კარკასონი 29:13, აჟენი-ბურგუენი 29:12.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლიონი - 18 ქულა, 2. ლა როშელი - 14, 3. აჟენი - 14, 4. კოლომიე - 13, 5. პო - 13, 6. ტარბი - 11, 7. ორიაკი - 10, 8. ბურგუენი - 9, 9. ბეზიე - 9, 10. ნარბონი - 8, 11. დაქსი - 8, 12. ოში - 6, 13. მონ დე მარსანი - 6, 14. ბურგ ან ბრესი - 6, 15. კარკასონი - 5, 16. ალბი - 1.

**V ტური**

აჟენი-ნარბონი, ალბი-კოლომიე, ბეზიე-ლიონი, ბურგუენი-ტარბი, კარკასონი-ორიაკი, ბურგ ან ბრესი-დაქსი, მონ დე მარსანი-ოში, პო-ლა როშელი.



ბურთით ვიქტორ კოლელიშვილი

● შვიდკაცა რაგბი



გიორგი შკინინის გარღვევა

# გრან პრიზე დავრჩით

**საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა წლევანდელი სეზონის ბოლო ოფიციალურ ტურნირზე ბუქარესტში, გრან პრის ეტაპზე იასპარეზა. ჩვენმა მორაგბეებმა რუმინეთის დედაქალაქში გამართულ შეჯიბრება მე-6 ადგილი დაიკავეს.**

ამ ტურნირის წინ საქართველოს ნაკრები მძიმე მდგომარეობაში იყო. ჩვენს მეშვიდკაცეებს ლიონის ტურნირის შემდეგ მხოლოდ ერთი სარეიტინგო ქულა ჰქონდათ და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილი ეკავათ. შეჯიბრება „შვიდკაცა ბორჯღალოსნებმა" პორტუგალიის ნაკრებთან მარცხით დაიწყეს - 0:7. თუმცა მერე მასპინძლებს სძლიეს უმძიმეს ბრძოლაში - 19:14. როგორც ჩანს, ამ მატჩს ჩვენმა მორაგბეებმა ზედმეტი ძალები შეალიეს და იტალიასთან მომდევნო შეხვედრაში 5:14 დავმარცხდით. სამაგიეროდ, პირველი დღის ბოლო მატჩი უელსის ნაკრებთან შესანიშნავი გამოდგა. ჩვენმა გუნდმა 24:7 გაიმარჯვა და A ჯგუფში მეორე ადგილზე დამკვიდრდა.

ამ პოზიციის შესანარჩუნებლად საქართველოს ნაკრებს მეორე დღეს, ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში ინგლისის შვიდკაცა რაგბის ნაკრების დამარცხება მართებდა. ეს ძალიან რთული განსახორციელებელი გამოდგა და ჩვენი მორაგბეები 7:24 დამარცხდნენ. საბოლოოდ ჯგუფში მე-4 ადგილზე გავედით და ტურნირში მე-5 ადგილისთვის ბრძოლა განვაგრძეთ.

სინისთვის ნახევარფინალში საქართველოს ნაკრებმა გერმანიას 22:7 მოუგო. ამ გამარჯვების შემდეგ ნათელი გახდა, რომ ჩვენმა გუნდმა გრან პრიზე ადგილი შეინარჩუნა, თუმცა მსოფლიოს სერიაში ასპარეზობის უფლება ვერ მოიპოვა. სინისთვის ფინალში კი ჩვენმა მეშვიდკაცეებმა პორტუგალიის ნაკრებთან წააგეს - 10:24 და მეექვსე ადგილს დასჯერდნენ.

ტურნირი ინგლისის ნაკრებმა მოიგო, რომელმაც ფინალში საფრანგეთის გუნდს სძლია - 31:7. საქართველოს ნაკრებში ყველაზე შედეგიანები **გიორგი კალმახელიძე, ლევან გოგოლაშვილი** და **ზურაბ ძნელაძე** იყვნენ, რომლებმაც სამ-სამი ლელო მიითვალეს.

**გრან პრი**

**A ჯგუფი**

**საქართველო-პორტუგალია 0:7, უელსი-რუმინეთი 14:10, ინგლისი-იტალია 19:0, საქართველო-რუმინეთი 19:14, პორტუგალია-იტალია 17:19, ინგლისი-უელსი 40:7, საქართველო-იტალია 5:14, ინგლისი-რუმინეთი 14:7, უელსი-პორტუგალია 7:10, საქართველო-უელსი 24:7, რუმინეთი-იტალია 21:14, ინგლისი-პორტუგალია 26:14, საქართველო-ინგლისი 7:24, უელსი-იტალია 12:20, პორტუგალია-რუმინეთი 7:0.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ინგლისი - 15 ქულა, 2. პორტუგალია - 11, 3. იტალია - 11, 4. საქართველო - 9, 5. რუმინეთი - 7, 6. უელსი - 7.**

**V ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| საქართველო-გერმანია | 22:7 |
| პორტუგალია-შოტლანდია | 19:12 |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| საქართველო-პორტუგალია | 10:24 |

**საბოლოო მდგომარეობა**

**1. ინგლისი, 2. საფრანგეთი, 3. რუსეთი, 4. იტალია, 5. პორტუგალია, 6. საქართველო, 7. შოტლანდია, 8. გერმანია, 9. რუმინეთი, 10. უელსი, 11. ესპანეთი, 12. უკრაინა.**

**საქართველოს ნაკრები:** ბიძინა სამხარაძე (ტიმიშოარა), ლევან გოგოლაშვილი, შავლეგ მახარაშვილი (ორივე-ყოჩები), რამაზ ხარაზიშვილი, დიმიტრი კალანდაძე (ორივე-ჯიქები), რატი ნუცუბიძე, გიორგი კალმახელიძე, გიორგი ჯიმშელაძე, ბახვა კობახიძე, გიორგი შკინინი (ყველა-არმია), ზურაბ ძნელაძე (აია), თორნიკე ცერცვაძე (ლელო).

● ევროპის თასები

# რაგბის ჩემპიონთა თასი?

„ჰაინეკენის თასის" გათამაშება შესაძლოა წარსულს ჩაბარდეს. საფრანგეთისა და ინგლისის რაგბის კავშირების ხელმძღვანელები დიდი ხანია მოლაპარაკებებს აწარმოებენ. ახალხან კი ერთობლივი განცხადება გააკეთეს, რომლის მიხედვითაც ცნობილი გახდა, რომ ეს ორი ფედერაცია ახალი საკლუბო ტურნირის, ევროპის ჩემპიონთა თასის დაარსებას აპირებენ.

*„ჩემპიონთა თასზე ელიტური სამი სარაგბო ლიგის გუნდები იასპარეზებენ. თუმცა, ამასთან ერთად აუცილებლად ვეცდებით ახალი ევროპული ქვეყნებიც მოვიზიდოთ, რაც კონტინენტზე რაგბის განვითარებას შეუწყობს ხელს. ინგლისურმა და ფრანგულმა კლუბებმა უკვე თანხმობა განაცხადეს ამ ტურნირში მონაწილეობის თაობაზე. ახლა ჯერი „კელტთა ლიგის" გუნდებზეა, სადაც უელსის, ირლანდიის, შოტლანდიისა და იტალიის რეგიონების ნაკრებები ასპარეზობენ. პირველი შეჯიბრება ჩვენი ვარაუდით უკვე მომდევნო წლის სექტემბერში დაიწყება"* - ნათქვამია ინგლისისა და საფრანგეთის რაგბის კავშირების ერთობლივ კომუნიკეში.

**გვერდი მოამზადა**
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი


ფილ ჯექსონი და ჯინი ბასი

# ოჯახური განხეთქილება ლეიკერსში

## კალიფორნიელები კობისთან მოლაპარაკებას არ ჩქარობენ

„ლოს ანჯელეს ლეიკერსში" საკალათბურთო ოპერაციების ვიცე-პრეზიდენტმა და ამავდროულად, ლეგენდარული მწვრთნელის **ფილ ჯექსონის** საცოლემ **ჯინი ბასმა** ლალატი უწოდა შარშან, მთავარი მწვრთნელის პოსტზე **მაიკ დ'ენტონის** დანიშვნას. გარდა ამისა, ბასმა თავის მემუარებში დაწვრილებით აღწერა მოვლენები, რომელიც წინ უძღვოდა **მაიკ ბრაუნის** განთავისუფლებას. როგორც ირკვევა, ჯინის ძმა - **ჯიმ ბასი**, რომელიც ასევე კლუბის ვიცე-პრეზიდენტია, სწორედ დ'ენტონის კანდიდატურას ლობირებდა. ასე კი იმიტომ ხდებოდა, რომ ჯიმს დაძაბული ურთიერთობა აქვს ფილ ჯექსონთან.

*„მე გამასულელეს. რატომ მოიქცა ასე ჯიმი? როგორ გაუკეთა ასეთი რამ ფილს? ის არ ეძებდა სამსახურს, მაგრამ 36 საათი მოანდომა იმას, რომ უკეთ მომზადებულიყო ამ სამუშაოს მისაღებად. თურმე, ჩემი ძმა არ აპირებდა მის მიწვევას"*, - ამბობს ჯინი ბასი.

როგორც ცნობილია, ამის შემდეგ დარეკა **მიტჩ კუპჩაკმა** და შეატყობინა, რომ ხელმძღვანელობას ყველაზე ხელსაყრელ კანდიდატურად სწორედ დ'ენტონი მიაჩნია.

*„მან განაცხადა, რომ ესმის ასეთი გადაწყვეტილებით კლუბის იმიჯისთვის მიყენებული ზარალის მასშტაბი. თუმცა იქვე დაამატა, რომ ერთი თვის შემდეგ ყველაფერი დავიწყებას მიეცემა"*, - წერს ჯინი.

■ ■ ■

ამასობაში, „ლოს ანჯელეს თაიმსი" წერს, რომ „ლეიკერსის" შეფობას ჯერ არ განუხილავს **კობი ბრაიანტთან** კონტრაქტის გაგრძელების შესაძლებლობა. კალიფორნიელებმა ლოდინის პოზიცია აირჩიეს და დააკვირდებიან, თუ როგორ აღიდგენს 35 წლის ვეტერანი კონდიციებს აქილევსის მყესის გაწყვეტის შემდეგ.

2013-14 წლების სეზონი - ბოლოა ბრაიანტის მოქმედი კონტრაქტის მიხედვით. ახალ სეზონში კალიფორნიელთა ლიდერი 30.4 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. კობის შეუძლია უარი თქვას 2014-15 წლების სეზონისთვის მაქსიმალურ კონტრაქტზე, რაც კლუბს ვარსკვლავური თავისუფალი აგენტის გაფორმების საშუალებას მისცემს.


პოლ პირსი

# პირსს ბოსტონი სულ ახსოვს

ამ დღეებში სერიოზული სიტყვიერი ომია გაჩაღებული „ნიუ იორკ ნიქსისა" და „ბრუკლინ ნეტსის" კალათბურთელებს შორის. ამ ომში „ბრუკლინის" ვეტერანი ახალწვეული **პოლ პირსიც** იყო ჩართული, თუმცა ის დროებით გაერიდა ამ ამბებს და ამჯერად განაცხადა, რომ ძალიან მიჯაჭვულია ქალაქ ბოსტონს, რომელსაც თავისი პროფესიული კარიერის 15 წელი შესწირა. უფრო მეტიც, მას სურს ამ ქალაქში საკუთარი საქმე წამოიწყოს, როგორც ამას NBA-ის სხვა ვარსკვლავები აკეთებენ.

*„იდეალური ვარიანტი იქნებოდა რაიმეს გახსნა. შესაძლოა, ეს იყოს სპორტბარი. რატომაც არა? რატომღაც, „სელტიქსის" ვერც ერთმა დიდმა კალათბურთელმა ვერ მოიფიქრა ეს. დონ შულსა და მაიკლ ჯორდანს რესტორნები აქვს, მეჯიქ ჯონსონი ლოს ანჯელესში თეატრებს ფლობს... ბოსტონს უდიდესი საკალათბურთო ისტორია და საჩემპიონო ტრადიციები აქვს, მაგრამ ასეთი რამ არავის გაუკეთებია"*, - აცხადებს პირსი.

გარდა ამისა, ვეტერანმა არ გამორიცხა კალათბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ თავის ყოფილ კლუბთან თანამშრომლობა. ლაპარაკია თუნდაც სამწვრთნელო კარიერაზე.

# მაკგრეიდი ბოლომდე არ წასულა

სამწუხაროდ, **ტრეისი მაკგრეიდი** ისე წავიდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციიდან, რომ ვერ შეძლო დამსახურებული ტიტულის მოპოვება „სან ანტონიო სპურსთან" ერთად. მან ამ ზაფხულს კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა, თუმცა NBA-ის ვარსკვლავი არ კარგავს მოედანზე გასვლისა და თამაშის იმედს. სავარაუდო სამუშაო ადგილად უფრო ხშირად ჩინეთს ასახელებენ.

*„იქ მე ბევრი თაყვანისმცემელი მყავს, ასე რომ ვნახოთ, რა გამოვა უახლოეს სეზონში ჩინეთში გადაბარგებისგან"*, - კომენტარი გაუკეთა შექმნილ სიტუაციას ტი-მაკმა.

მანამდე კი 34 წლის მცველი საკუთარ ფულს ახარჯავს დაბალი ლიგის ბეისბოლის კლუბს - „ბილოკსი კონსილს". გუნდს ესაჭიროება 21 მილიონი დოლარი ახალი სტადიონისა და სხვა ხარჯების დასაფარად.

კალათბურთი. ევრობასკეტის შემდეგ

# ტონი პარკერი: პოპოვიჩი რჩევებით მეხმარებოდა

## ფრანგი გამთამაშებელი პირველი ევროპელია, ვინც NBA-ის ფინალისა და ევრობასკეტის MVP გახდა


ტონი პარკერი

ევრობასკეტის საუკეთესო მოთამაშის, საფრანგეთის ნაკრების გამთამაშებლის **ტონი პარკერის** მამამ - **ტონი პარკერ-უფროსმა** განაცხადა, რომ მისმა ვაჟმა, შესაძლოა, უარი განაცხადოს მომავალ წელს მსოფლიოს ჩემპიონატში თამაშზე, რომელიც ესპანეთში გაიმართება.

უფროსი პარკერის სიტყვებით, კალათბურთელი დასვენებასა და ძალების აღდგენას აპირებს იმისთვის, რომ ოპტიმალურ ფორმაში იყოს 2015 წლის ევრობასკეტისთვის, რომელსაც უკრაინა უმასპინძლებს. სწორედ ამ ტურნირზე გათამაშდება 2016 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურები.

ადრე „სან ანტონიო სპურსის" კალათბურთელმა განაცხადა, რომ ეროვნულ ნაკრებში კარიერას სწორედ რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადის შემდეგ დაასრულებს.

აღსანიშნავია, რომ ფრანგების ლიდერი პირველი ევროპელი მოთამაშე გახდა ისტორიაში, ვინც არა მხოლოდ ევროპისა და NBA-ის ჩემპიონი გახდა, არამედ MVP-ის ტიტული მოიპოვა როგორც NBA-ის ფინალურ სერიაში, ასევე კონტინენტის პირველობაზე.

ცნობისთვის, აქამდე ერთადერთი არაამერიკელი, ვინც MVP გახდა NBA-ის ფინალსა და ევრობასკეტზე, გერმანელი **დირკ ნოვიცკი** იყო, თუმცა მას არასოდეს მოუგია ევროპის ჩემპიონატი.

■ ■ ■

ფინალის შემდეგ, ტონი პარკერმა რამდენიმე საინტერესო განცხადება გააკეთა ჟურნალისტებისთვის. მაგალითად, მან განაცხადა, რომ მეოთხედფინალისა და ნახევარფინალის შემდეგ, სატელეფონო საუბარი ჰქონდა „სან ანტონიოს" მწვრთნელ **გრეგ პოპოვიჩთან**.

*„მე მიყვარს ჩემი ქვეყნისთვის თამაში და ვამაყობ ამით. უფრო მეტიც, მიხარია, რომ NBA-ის საუკეთესო კლუბში - „სან ანტონიოში" გამოვდივარ. იქ უფლებას მაძლევენ ყოველ წელს ჩამოვიდე ნაკრებში სათამაშოდ. მე უბრალოდ ვალმერთებ გრეგ პოპოვიჩს. ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც მეოთხედფინალისა და ნახევარფინალის შემდეგ დამირეკა. რაზე მელაპარაკა? წარმატება მისურვა, რამდენიმე რჩევა მომცა. მე მიყვარს ის იმის გამო, რომ ეროვნულ გუნდში გამოსვლის უფლება მიმცა. წესით და რიგით, ახლა „სპურსის" საწვრთნელ ბანაკში უნდა ვიმყოფებოდე, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ევრობასკეტის ოქრო - კარგი მიზეზია ოდნავ შეყოვნებისთვის"*, - განაცხადა პარკერმა პრესკონფერენციაზე.

ტონიმ ასევე აღიარა, რომ ფინალის წინ ყველა თანაგუნდელს ოთახში ეწვია, ხოლო ევრობასკეტზე გამარჯვება სამი თვის წინ იწინასწარმეტყველა...

*„ამ ოქროსკენ გზა ფანტასტიკური იყო. 2000 წელს, ჩვენ მოვიგეთ ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. მაშინ მივხვდი: მომწონს ის, რასაც ვაკეთებთ. მე, ბორის დიაო, ფლორან პიეტრუსი, რონი ტურიაფი - ეროვნულ გუნდში თამაშის დიდ სურვილს გამოვთქვამდით. მაშინ ბიჭებს ვუთხარი: „ჩვენ ვიქნებით პირველები, რომლებიც საფრანგეთისთვის ევროპის ჩემპიონატს მოვიგებთ". მაგრამ, ამ მომენტში ესპანეთში გამოჩნდა პაუ გასოლი... მე მუდმივად ვეუბნებოდი მას, რომ სწორედ ის იყო მიზეზი იმისა, რომ ჩვენ ერთი ნაბიჯი გვაკლდებოდა ტიტულამდე. მე ეს მაგონებდა „დეტროიტისა" და „ჩიკაგოს" დაპირისპირებას: ერთი გუნდი უარესი იყო, მაგრამ ის ყოველდღიურად უმატებდა და ბოლოს, ტიტულს იგებდა.*

*სამი თვის წინ, სარეკლამო ვალდებულებებით ბარსელონაში ვიყავი და პაუსთან ერთად ვისადილე. მე მას ვუთხარი: „ეშმაკმა დალახვროს, 13 წელია შენ დაგსდევ, უკვე მომბეზრდა! მაგრამ წელს აუცილებლად გავაკეთებთ ამას! ჩვენ ჩემპიონატს მოვიგებთ". სწორედ პაუ მაიძულებდა დამეხვეწა საკუთარი ოსტატობა. ყოველთვის, როცა ნაკრებში ჩამოვდიოდი, ვცდილობდი საკუთარი შესაძლებლობების ზღვარზე მეთამაშა. 2005 წელს დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ, როცა ბრინჯაოს მედლები ავიღეთ. გავაგრძელეთ მუშაობა და 2011 წელს ფინალამდე მივაღწიეთ, რაც მაშინ კარგი შედეგი იყო. გუშინ საღამოს სასტუმროს ნომრებში დავდიოდი და ბიჭებს ვეუბნებოდი: „სხვა შესაძლებლობა აღარ გვექნება, ვალდებულნი ვართ მოვიგოთ ეს ფინალი".*


იონას კაზლაუსკასი

# კოლე დარჩება, კაზლაუსკასი წავა

ევრობასკეტის შემდეგ გაირკვა, რომ საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ვენსან კოლე** დარჩება თავის თანამდებობაზე 2016 წლის ოლიმპიადის შემდეგ, - ამ ინფორმაციას საფრანგეთის კალათბურთის ფედერაცია ავრცელებს.

*„ჩვენ მოველაპარაკეთ ვენსანს იმ სამუშაოს გაგრძელებაზე, რომელიც ბოლო წლებში გავწიეთ და რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე ტიტულის მოპოვების საშუალება მოგვცა. ჩვენ მოვიპოვეთ ვერცხლი 2011 წელს, კარგად გამოვედით 2012 წელს, ლონდონის ოლიმპიადაზე და ისტორიულ გამარჯვებას მივაღწიეთ 2013-ში. იმედია, ასევე გავაგრძელებთ 2016 წლის თამაშებამდე. მინდა მადლობა გადავუხადო „სტრასბურის" პრეზიდენტსაც, რომელთანაც ასევე მოვახერხეთ მოლაპარაკება"*, - ამბობს საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ჟან-პიერ სიუტა**.

ვენსან კოლე საფრანგეთის ნაკრებს 2009 წლიდან ავარჯიშებს.

■ ■ ■

საფრანგეთისგან განსხვავებით, ევრობასკეტის შემდეგ მთავარი მწვრთნელის ძებნა მოუწევს ლიტვის კალათბურთის ფედერაციას. ამ გუნდის დამრიგებელმა **იონას კაზლაუსკასმა** ჯერ კიდევ საფრანგეთთან ფინალამდე განაცხადა, რომ არ დარჩება თავის ამჟამინდელ პოსტზე.

*„მე არვიდან საბონისს ვალი დავუბრუნე. სწორედ მან მთხოვა ჩამებარებინა ეროვნული გუნდი. ფედერაციასთან გაფორმებული ოთხწლიანი კონტრაქტი - მხოლოდ ფორმალობაა"*, - განაცხადა კაზლაუსკასმა, რომელმაც 10-წლიანი შესვენების შემდეგ პირველად გაიყვანა ლიტვა ევრობასკეტის ფინალში.

კაზლაუსკასი ამ განცხადებაში მიანიშნებს 1999 წელზე, როცა მან სთხოვა ნაკრებიდან ოფიციალურად წასულ საბონისს გუნდში დაბრუნება და ევრობასკეტზე თამაში. ლეგენდარული ცენტრი, რომელიც ახლა ლიტვის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტია, დათანხმდა მწვრთნელის წინადადებას.

# 500 ათასი უაილდ-ქარდისთვის

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, მსოფლიოს საგაისო ჩემპიონატის 24 მონაწილედან 20 ცნობილია, დარჩენილ ოთხ ვაკანსიას კი FIBA-ის მიერ არჩეული გუნდები შეავსებენ - ისინი საერთაშორისო ფედერაციისგან უაილდ-ქარდს მიიღებენ.

გუშინ, იტალიურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ ქვეყნის კალათბურთის ფედერაცია მზად არის მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის უაილდ-ქარდისთვის 500 ათასი ევრო გადაიხადოს.

შეგახსენებთ, რომ იტალიის ნაკრებმა ევრობასკეტზე მერვე ადგილი დაიკავა და ვერ მოხვდა პლანეტის პირველობაზე. ამ ტურნირზე ევროპას წარმოადგენენ - საფრანგეთი, ლიტვა, ხორვატია, სლოვენია, უკრაინა და სერბეთი, აგრეთვე მასპინძელი ესპანეთი.

იტყობინებიან, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ოთხი დარჩენილი ვაკანსიისთვის იბრძოლებენ - ბრაზილია, ჩინეთი, თურქეთი, საბერძნეთი, იტალია, რუსეთი, ვენესუელა, ნიგერია, ტუნისი, კანადა და ტაივანი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# ცონგას დაბრუნება გაუფუჭეს

დევისის თასის მატჩების შემდეგ, განახლდა ჩვეულებრივი ცხოვრება ATP-ის ტურში: გასულ კვირას გაიმართა ATP 250-ის კატეგორიის ორი ტურნირი.

ერთ-ერთს მასპინძლობდა რუსეთის ქალაქი სანკტ-პეტერბურგი, სადაც ბევრ ცნობილ ჩოგბურთელს გაუმარჯვია, მათ შორის, ბრიტანელ **ენდი მარეის**. თუმცა, ამჯერად, სატურნირო ბადის შემადგენლობა ძლიერი არ ყოფილა.

ადგილობრივ პუბლიკას საკუთარი ჩოგბურთელების წარმატების იმედი ჰქონდა, მაგრამ მეორე წრის შემდეგ, ტურნირზე რუსეთი მხოლოდ **დმიტრი ტურსუნოვით** იყო წარმოდგენილი. ძალიან შორს წასვლა ვერც მან შეძლო და ნახევარფინალში გადასასვლელი მატჩი წააგო პორტუგალიელ **ჟოაო სოუზასთან**. ეს უკანასკნელი კარიერაში პირველად გავიდა ATP-ის ტურნირის ნახევარფინალში.

სოუზამ ვერ შეძლო შემდეგი ბარიერის გავლა - წააგო **მიხაილ იუჟნის** მძლეველთან **გილერმო გარსია ლოპესთან**. ესპანელი წელს მეორედ გავიდა ფინალში. მისი პირველი ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა - მან ბუქარესტში წააგო გადამწყვეტი მატჩი ჩეხ **ლუკაშ როსოლთან**.

ბადის ზედა ნახევარში ტურნირის პირველი ნომრის **ფაბიო ფონინის** გამოთიშვის შემდეგ, ფავორიტის სტატუსი **ერნესტ გულბისმა** მოიპოვა. ლატვიელს მხოლოდ ესტონელ **იურგენ ზოპთან** მატჩში გაუჭირდა, დანარჩენ შეხვედრებში კი ძალების ზედმეტი დაძაბვის გარეშე გაიმარჯვა და ფინალში გავიდა.

გადამწყვეტ მატჩში გულბისი აშკარა ფავორიტად მიიჩნეოდა. ის ძალიან დამაჯერებლად გამოიყურებოდა და უსაფუძვლოდ არ ფიქრობდა სეზონში მეორე და კარიერაში მეოთხე ტიტულის მოპოვებას. ფინალმა გაამართლა მაყურებლის მოლოდინი. გარსია ლოპესი პირველ პარტიაში კარგად იცავდა თავს და მეტოქის შეცდომების ხარჯზე მიიწევდა წინ. გილერმომ სამი ბრეიკი გააკეთა, რასაც გულბისმა ერთით უპასუხა.

მეორე სეტში გაგრძელდა ესპანელის კარგი თამაში და როცა ის 4:1 დაწინაურდა, ფინალის ბედი ყველას გადაწყვეტილი ეგონა. იმ მომენტში ვერავინ წარმოადგენდა, რომ გარსია ლოპესი დარჩენილ დროში ვერც ერთ გეიმს ვერ აიღებდა. მაგრამ თამაშის სურათი მკვეთრად შეიცვალა. ლატვიელმა ჯერ ნულზე მოიგო თავისი მოწოდება, შემდეგ კი მაქსიმალური სარგებელი ნახა მეტოქის შეცდომებზე. ესპანელმა მოულოდნელად დაუჯერებელი რაოდენობის შეცდომების დაშვება დაიწყო, თანაც საკმაოდ უბრალო სიტუაციებში. გულბისმა 1:4-დან ზედიზედ ხუთი გეიმი აიღო მოიგო მეორე სეტი. მესამე სეტში კი კორტზე მხოლოდ ერნესტს ვხედავდით, რომელმაც ზედიზედ მოგებული გეიმების რაოდენობა 11-მდე აიყვანა – 3:6, 6:4, 6:0. როგორც გითხარით, ლატვიელმა ამ სეზონში მეორე ტიტული მოიგო. პირველად ეს თებერვალში დელრეი ბიჩში გააკეთა.

■ ■ ■

გასული კვირის მეორე ტურნირს საფრანგეთის ქალაქი მეცი იღებდა. ორგანიზატორებმა სცადეს შეეკრიბათ ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელები, მაგრამ **რიშარ გასკე** ვერ დაითანხმეს.

ტურნირის მთავარი ინტრიგა იყო **ჟო-ვილფრიდ ცონგას** გამოსვლა, რომელიც პირველად გავიდა კორტზე უიმბლდონის შემდეგ. ტრავმით გამოწვეულმა ორთვიანმა პაუზამ, ბუნებრივია, სერიოზულად იმოქმედა ფრანგის მზადყოფნაზე, თუმცა მეცში ჟო თანდათანობით შედიოდა ფორმაში. ფინალამდე ბოლო ორი რაუნდი მან გერმანელების - **ტობიას კამკესა** და **ფლორიან მაიერის** წინააღმდეგ ჩაატარა და ორივეში სამ სეტში მოიგო.

ტურნირის პირველ ნომრის მეტოქე ფინალში მეორე ნომერი – **ჟილ სიმონი** გახდა. მან, ჟოსგან გასხვავებით, ფინალამდე ყველა მატჩი ორ სეტში მოიგო. ფრანგულ დაპირისპირებაში ბრძოლა არ გამოვიდა. სიმონი საათსა და 11 წუთში გაუმკლავდა ნომინალურ ფავორიტს – 6:4, 6:3. რა თქმა უნდა, ცონგა შორს არის ოპტიმალური ფორმისგან და ასეთი თამაშით მას გაუჭირდება წლის შემაჯამებელი ტურნირის საგზურის მოპოვება. რაც შეეხება ფინალის მსვლელობას, ცონგა ძალიან ბევრს ცდებოდა, ამასთან, აგრესიული თამაში არ შველოდა მას მიღებაზე - მხოლოდ ერთი ბრეიკი გააკეთა ჩოგბურთელთან, რომლის ძლიერი მხარე არასოდეს ყოფილა მოწოდება. სიმონმა კარიერაში მე-11 ტიტული მოიპოვა, 2013 წელს კი ეს მისთვის პირველი გამარჯვება იყო.


ჟო-ვილფრიდ ცონგა

ჯოკოვიჩის 100 კვირა



აგნიეშკა რადვანსკა

# შარაპოვა და რადვანსკა სტამბოლში მიდიან

გუშინ, WTA-მ გამოაქვეყნა განახლებული რეიტინგები და კიდევ ორმა ჩოგბურთელმა მოიპოვა წლის შემაჯამებელ ტურნირზე თამაშის უფლება. სეზონის ბოლო ტურნირი 22-27 ოქტომბერს სტამბოლში გაიმართება.

ეს მოთამაშეები არიან რუსი **მარია შარაპოვა** და პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკა**. მარია ამჟამად მესამე ადგილს იკავებს WTA-ის რეიტინგში და წელს ორ ტურნირი მოიგო - ინდიან უელსსა და შტუტგარტში. სამჯერ ის ფინალამდე მივიდა - მაიამიში, მადრიდსა და როლან გაროსზე.

რაც შეეხება აგნიეშკა რადვანსკას, მან ამ სეზონში სამი ტიტული მოიგო - ოკლენდში, სიდნეისა და სეულში. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, წლის შემაჯამებელ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეს მსოფლიოს პირველმა და მეორე ნომერებმა - ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** და ბელარუსმა **ვიქტორია აზარენკამ**.

■ ■ ■

ATP-ის განახლებულ რეიტინგში პირველი პოზიცა კვლავ სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს** უკავია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ჩოგბურთელის ლიდერობა უკვე 100 კვირას უტოლდება და 26 წლის ჯოკოვიჩი მეცხრე ჩოგბურთელი გახდა ისტორიაში, ვინც ამდენი ხანი შემორჩა კლასიფიკაციის უმაღლეს საფეხურს.

მამაკაცთა რეიტინგში მინიმუმ 100 კვირა ლიდერები შემდეგი ჩოგბურთელები იყვნენ:

| | |
|---|---|
| როჯერ ფედერერი | 302 |
| პიტ სამპრასი | 286 |
| ივან ლენდლი | 270 |
| ჯიმი კონორსი | 268 |
| ჯონ მაკინროი | 170 |
| ბიორნ ბორგი | 109 |
| რაფაელ ნადალი | 102 |
| ანდრე აგასი | 101 |

ამბები

## აზარენკა: მარტო მე არ ვყვირი

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **ვიქტორია აზარენკამ** უცნაური უწოდა წინადადებას, რომლის მიხედვითაც ქალ ჩოგბურთელებს კორტზე გათამაშებების დროს აეკრძალებათ ხმამაღლა წამოძახება.

*„ჩემი აზრით, ცოტათი უცნაურია ამ დონეზე ყურადღების გამახვილება ჩოგბურთელთა შეძახილებსა და ყვირილზე. ადამიანები სპორტის სხვა სახეობებშიც ყვირიან. შეხედეთ თუნდაც მამაკაცთა ჩოგბურთს - ბიჭებიც ძალიან ხმაურობენ. ნადალი და ჯოკოვიჩი ამერიკის ღია პირველობის ფინალის დროს ყოველი დარტყმის შემდეგ ყვიროდნენ, მაგრამ ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. როცა შენ აშშ-ის ღიას ფინალში თამაშობ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელის წინააღმდეგ, ცდილობ აჩვენო ყველაფერი, რაც შეგიძლია. მე არ შემიძლია ყურადღება მივაქციო საკუთარი ხმების სიძლიერეს"*, - ამბობს აზარენკა ტოკიოს ტურნირის ოფიციალურ ვებგვერდზე.

## ნადალის 12 მილიონი თაყვანისმცემელი

Facebook-ის სოციალურ ქსელში მსოფლიოს მეორე ჩოგანის, ესპანელი **რაფაელ ნადალის** თაყვანისმცემელთა რიცხი 12 მილიონამდე გაიზარდა. „დიდი სლემის" ტურნირების 13-გზის ჩემპიონი ATP-სა და WTA-ის მოთამაშეებს შორის ამ მაჩვენებლით მხოლოდ შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს** ჩამორჩება.

ნადალს საკმაოდ აქტიური ურთიერთობა აქვს გულშემატკივრებთან Facebook-ის მეშვეობით. ის პრაქტიკულად ყოველდღე აქვეყნებს საკუთარი ცხოვრებიდან ფოტოებსა და ახალ ამბებს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევრო 2014** | |
| **UNDER 17** | |
| სლოვენია-შოტლანდია | 1:3 |
| უნგრეთი-უელსი | 5:5 |
| სლოვაკეთი-ისლანდია | 2:4 |
| რუსეთი-აზერბაიჯანი | 1:0 |
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ბრენტფორდი-ლეიტონი | 0:2 |
| **ესპანეთი** | |
| ესპანიოლი-ბილბაო | 3:2 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| სტ. პაული-ფორტუნა | 1:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ტური-ლანსი | 3:1 |
| **პორტუგალია** | |
| ფერეირა-სეტუბალი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ბრაგა B-ბენფიკა B | 1:3 |
| **დანია** | |
| ვესტსიელანდი-ესბერგი | 1:3 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამ კამი-სანდეფიორდი | 3:0 |
| **შვედეთი** | |
| გიოტებორგი-აიკ | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ანგელჰოლმი-ოსტერსუნდი | 0:0 |
| დეგერფორსი-იორგრიტე | 2:1 |
| ლანდსკრონა-ასირისკა | 0:4 |
| ვარბერგი-ლიუნგსკილე | 0:4 |
| სუნდსვალი-ვარნამო | 2:2 |
| **ფინეთი** | |
| ჰონკა-იუვიასკიულა | 3:3 |
| **ავსტრიის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| კლაგენფიურ.-ჰარტბერ. 2:2 დ.დ. | 4:2 |
| ლინცერი-სტ. პოლტენი | 3:4 |
| ვილახი-კაპფენბერგი | 0:3 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ლუგანო-ლოკარნო | 0:2 |
| **საბერძნეთი** | |
| ქსანტი-არისი | 2:0 |
| **თურქეთი** | |
| კაისერი-ტრაბზონი | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ბუიუქსეჰირი-მერსინი | 2:3 |
| **კვიპროსი** | |
| აპოელ-აეკ | 1:1 |
| აპოლონი-ომონია | 1:0 |
| **ჩეხეთი** | |
| პრშიბრამი-ტეპლიცე | 0:4 |
| **პოლონეთი** | |
| პოგონი-პოდბესკიძი | 2:1 |
| პიასტი-ლეხი | 0:2 |
| **რუმინეთი** | |
| კონკორდია-ოცელული | 1:1 |
| ასტრა-ჩახლაული | 0:0 |
| **ბულგარეთი** | |
| ცსკა-ლიტექსი | 1:0 |
| **ლიტვა** | |
| სუდუვა-ტაურასი | 3:1 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (ჰ)-მაკაბი (თ-ა) | 0:3 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| დინამო (რ)-ტორპედო | 2:3 |
| ლევი-აკ ბარსი | 1:2 |
| სლოვანი-დინამო (მ) | 4:5 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-პელიკანსი | 2:1 (ო) |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ლინჩოპინგი | 2:3 (ბ) |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ბანგკოკი** | |
| ჰაასე-ხიმენო ტრავერი | 6:2, 6:4 |
| სისლინგი-ნიემინენი | 6:3, 7:6 |
| ფ. ლოპესი-ჯერე | 6:3, 6:3 |
| **ATP. კუალა ლუმპური** | |
| ბრანდსი-მანარინო | 3:6, 4:6 |
| ჩუნგი-დელ ბონისი | 4:6, 2:6 |
| **WTA. ტოკიო** | |
| მლადენოვიჩი-დელაკუა | 5:7, 1:6 |
| ბეკი-ივანოვიჩი | 1:6, 1:6 |
| ბუშარი-პუიგი | 6:0, 6:4 |
| დოი-ლეპჩენკო | 6:7, 6:0, 7:5 |
| მორიტა-რობსონი | 7:6, 6:3 |
| პენეტა-ჰანტუხოვა | 6:3, 6:3 |
| დატე-როდიონოვა | 6:2, 4:1 |
| ვოზნიაკი-სკიავონე | 2:6, 6:4, 6:2 |
| პენგი-ოზაკი | 6:2, 6:1 |
| რიბარიკოვა-ჰსიე | 6:2, 5:7, 6:0 |
| სუარეს ნავარო-კისი | 7:5, 5:7, 2:6 |
| პეტკოვიჩი-ვესნინა | 4:6, 7:6, 6:4 |
| ბენჩიჩი-კვიტოვა | 5:7, 4:6 |
| ვინჩი-საფაროვა | 5:7, 4:6 |
| ჰალეპი-პავლიუჩენკოვა | 3:6, 7:6, 3:0 |
| კერბერი-ტორო ფლორი | 6:0, 6:1 |

TV პროგრამა

**24 სექტემბერი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. VII ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. VI ტური. ნიურნბერგი-დორტმუნდი.
14:00 არგენტინის ჩემპიონატი. VIII ტური. ესტუდიანტესი-ხიმნასია.
16:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. V ტური. გიმარაეში-ბენფიკა.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. VII ტური. ვიტესი-ცვოლე.
21:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
22:00 გერმანიის ჩემპიონატი. VI ტური. შალკე-ბაიერნი.
00:00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მარსელი-არსენალი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-დენვერი.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო.
17:00 რაგბი. ოთხი ერის თასი. ავსტრალია-არგენტინა.
19:00 საჩოგბურთო მიმოხილვა.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მილანი-სელტიკი.
22:00 რალი-კროსი. გერმანია. მიმოხილვა.
23:00 NBA ACTION.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-დენვერი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი. სერბეთი-კანადა.
15:00 სპორტ-NEWS.
15:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტოკიო. იაპონია.
19:35 სპორტ-NEWS.
20:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტოკიო. იაპონია.
22:45 ჩოგბურთი. დევისის თასი. ჯოკოვიჩი – რაონიჩი

ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 13 | 24 | (მზე) |
| ქუთაისი | 15 | 22 | (წვიმა) |
| ბათუმი | 15 | 23 | (წვიმა) |
| ფოთი | 14 | 23 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 12 | 24 | (წვიმა) |
| გორი | 9 | 21 | (წვიმა) |
| თელავი | 13 | 24 | (მზე) |
| სიღნაღი | 12 | 23 | (მზე) |
| ბაკურიანი | 5 | 16 | (მზე) |
| ბორჯომი | 7 | 18 | (წვიმა) |
| მესტია | 4 | 14 | (წვიმა) |

ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2534 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6681 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6761 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2274 |

ფორმულა 1

# ხუმრობა თუ საშიში მანევრი?

სინგაპურის გრანპრის დასრულების შემდეგ, ერთ საინტერესო ინციდენტს ჰქონდა ადგილი. როგორც იცით, „რედ ბულის“ პილოტმა **მარკ უებერმა** მანქანის გაუმართაობის გამო ფინიშამდე ვერ მიაღწია. ავსტრალიელს დაეზარა ბოქსებამდე ფეხით მისვლა და იქამდე მიყვანა „ფერარის“ პილოტ **ფერნანდო ალონსოს** სთხოვა, რომელიც ნელი სვლით მიემართებოდა პიტლეინისკენ. საბოლოოდ, მარკი ტრასაზე გავიდა, წითელ ბოლიდზე შემოჯდა, ალონსომ კი „ტაქსისტის“ როლი მოირგო.

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ განიხილა ეს ინციდენტი და ორივე პილოტს გაფრთხილება მისცა, ხოლო იმის გამო, რომ მარკ უებერისთვის ეს იყო სეზონში მესამე გაფრთხილება, მომდევნო გრანპრიზე ავსტრალიელი 10 ადგილს დაკარგავს სასტარტო ბილიკზე იმ პოზიციასთან შედარებით, რომელსაც კვალიფიკაციის დროს მოიპოვებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალურად უებერმა გაფრთხილება იმის გამო მიიღო, რომ ტრასაზე გადაირბინა ისე, რომ რბოლის მარშლებისთვის ნებართვა არ უთხოვია. ერთ-ერთ ვიდეოჩანაწერზე ჩანს, რომ მარკმა სახიფათოდ გადაჭრა ტრეკი, ალონსომ კი მკვეთრად დაამუხრუჭა, რითაც ორივემ საავარიო სიტუაცია შექმნა.

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ მიმართა მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეებს, რომ აღარ მიმართონ ასეთ ნაბიჯს, თუ არ სურთ მკაცრი სასჯელი დაიმსახურონ. გარდა ამისა, ფედერაციამ დააზუსტა, რომ პილოტებს ეკრძალებათ ტრასაზე გასვლა, თუ შესაბამისი უფლება არ ექნებათ მიღებული რბოლის მომსახურე პერსონალისგან.



უებერს ფერარით გასეირნება ძვირად დაუჯდა



კიმი რაიკონენი

# კიმი შემდეგ რბოლას გამოტოვებს?

„ლოტუსის“ პილოტი **კიმი რაიკონენი** არ გამორიცხავს, რომ, შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპის - კორეის გრანპრის გამოტოვება მოუწიოს. შეგახსენებთ, რომ ფინელს სინგაპურის უქმეებზე ზურგთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მან მონაწილეობა მიიღო რბოლაში, რომელშიც მესამე ადგილი დაიკავა.

„მაკლარენის“ ექიმი **აკი ჰინტსა** დაეხმარა რაიკონენს რბოლაში მონაწილეობისთვის - ინექცია გაუკეთა ფინელს პილოტს. როგორც ჰინტსამ ჟურნალისტებს განუცხადა, კიმიმ დაიზიანა სახსარი ერთ-ერთ ნეკნსა და ხერხემალს შორის.

სააგენტო AFP-ის კითხვაზე, შეძლებს თუ არა შემდეგ რბოლაში მონაწილეობას, რაიკონენმა უპასუხა: *„არ ვარ დარწმუნებული. ვნახოთ, როგორ წარიმართება აღდგენითი პროცესი“.*

# ალონსოს მხოლოდ ფერარი უნდა

## ესპანელი პილოტი კარიერის ბოლომდე სკუდერიაში გამოსვლას აპირებს



ფერნანდო ალონსო

ესპანელმა პილოტმა **ფერნანდო ალონსომ** განაცხადა, რომ „ფერარიში“ 2016 წლის შემდეგ დარჩენის იმედი აქვს. სწორედ ამ დროს იწურება ნანდოს მოქმედი კონტრაქტი „სკუდერიასთან“. შეგახსენებთ, რომ სინგაპურის სარბოლო უქმეების წინ გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ალონსოს თავის რიგებში ეპატიჟება ბრიტანული საჯინიბო „მაკლარენი“.

*„ჩვენ ძალიან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ და იმედია, ფორმულა 1-ში კარიერას „ფერარიში“ დავასრულებ. ჩვენ ერთად დავსხედით და ყველაფერი გავარკვიეთ. მე ჩემი სურვილი გავანდე მათ და გუნდიც მეტნაკლებად ასეთ სურვილს გამოხატავს. კარგი იქნება, თუ ამ საკითხში შეთანხმებას მივაღწევთ.*

*აქ იყვნენ პილოტები, რომლებიც 38-39 წლის ასაკამდე შემორჩნენ ფორმულა 1-ს და ამის გამო პრობლემა არ შექმნიათ. მარკ უებერი ამის ერთ-ერთი შესანიშნავი მაგალითია. ის ძალიან კონკურენტუნარიანია. და მიხაელ შუმახერიც არ იყო ცუდი დაბრუნების შემდეგ. ასე რომ, 35 წელი - კვლავაც კარგი ასაკია. მთავარი მოტივაცია შევინარჩუნო და სპორტისგან სიამოვნება მივიღო“,* - მოჰყავს ალონსოს სიტყვები Sky Sports.

■ ■ ■

ამასობაში ირკვევა, რომ ფერნანდო ალონსო შეიძლება ვერ გახდეს ველოსაჯინიბო Euskaltel-Euskadi-ის მფლობელი. ადრე გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ესპანელი პილოტი ამ გუნდის გადარჩენას აპირებდა - ფერნანდოს უნდა გამოესყიდა მსოფლიოს ტურის ლიცენზია Euskaltel-Euskadi-თვის, რომელსაც ფინანსური პრობლემები გააჩნია. გარიგების თანხად 6 მილიონი ევრო სახელდებოდა.

მაგრამ გუშინ ესპანულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გუნდის შეძენაზე მოლაპარაკება ჩიხში შევიდა. უთანხმოება წარმოიშვა ინფრასტრუქტურის, ხელმძღვანელობისა და თანამშრომლების შენარჩუნებასთან დაკავშირებით. ესპანელი გუნდის ასტურიაში გადაყვანას აპირებდა.

კრივი

# ტაისონის 13 სკანდალი

ამას წინ, ამერიკული კრივის ლეგენდამ **მაიკ ტაისონმა** განაცხადა, რომ სიკვდილის პირას იმყოფება ალკოჰოლთან დაკავშირებული პრობლემების გამო. *“მე საშინელი ლოთი ვარ, - განაცხადა ყოფილმა ჩემპიონმა. - მაგრამ მინდა შევცვალო საკუთარი ცხოვრება. მინდა ჯანსაღი ცხოვრება და არ მინდა სიკვდილი. ხანდახან ცუდი ბიჭი ვარ. ბევრი ცუდი გამიკეთებია და მინდა ღმერთმა შემინდოს”.*

ტაისონის სურვილში - მოიხსნას სტრესი ნარკოტიკებისა და სპირტიანი სასმელების საშუალებით - გასაოცარი არაფერია. მთელი მისი ცხოვრება სავსეა სკანდალური სიტუაციებით. დღეს ჩვენ 13 სკანდალს გავიხსენებთ...

**1978.** 12 წლის ასაკში ბავშვთა კოლონიაში ხვდება ქურდობისთვის.

**1987.** სასწაულებრივ გადაურჩა დაპატიმრებას ავტოსადგომზე ჩხუბის გამო.

**1990.** **ჯეიმს დაგლასთან** სენსაციური მარცხის შემდეგ, 24 წლის ასაკში გადის კურსს ალკოჰოლზე დამოკიდებულების სამკურნალოდ. მოგვიანებით აღიარებს, რომ ის ჩხუბის წინ ერთობოდა იაპონელ მეძავებთან და ეწეოდა მარიხუანას.

**1992.** ექვსწლიან პატიმრობას იღებს ყოფილი “მის შავი ამერიკას” - **დეზირე ვაშინგტონის** გაუპატიურების გამო. ციხიდან ვადაზე ადრე გამოდის.

**1997.** ტაისონს ჩამოართვეს საკრივო ლიცენზია და 3 მილიონი დოლარის ოდენობის ჯარიმა დაუწესეს იმის გამო, რომ ბრძოლის დროს **ევანდერ ჰოლიფილდს** ყური მოაჭამა.

**1999.** ერთწლიანი პატიმრობა და საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაო მიუსაჯეს საავტომობილო ავარიის მონაწილეთა ცემის გამო.

**2000.** **ანჯეი გოლოტასთან** ბრძოლის შემდეგ, ტაისონის დოპინგ-სინჯში მარიხუანას კვალი აღმოჩნდა. ბრძოლის შედეგი გაუქმებულად გამოცხადდა.

**2002.** ჩხუბი აუტეხა **ლენოქს ლუისს** პრესკონფერენციაზე.

**2003.** გამოაცხადა იმის შესახებ, რომ 300 მილიონი დოლარის ოდენობის ქონება გაანიავა და ბანკროტი გახდა, აგრეთვე მისი ვალების რაოდენობამ 25 მილიონს გადააჭარბა.

**2004.** მიესაჯა საზოგადოებრივი სამუშაო ქუჩის ჩხუბში მონაწილეობისთვის.

**2007.** მორიგი პირობითი პატიმრობა ნარკოტიკების შენახვისა და ავტომობილის არაფხიზელ მგომარეობაში მართვის გამო.

**2009.** უბედური შემთხვევის გამო დაიღუპა მაიკის ოთხი წლის ქალიშვილი - **ექსოდუსი**.

**2009.** დააპატიმრეს აეროპორტში ფოტოგრაფზე თავდასხმის გამო, მაგრამ მოხერხდა სკანდალის მიჩქმალვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



მაიკ ტაისონი

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44 (შიდა ნომ. 413); 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608